დ. უზნადის აზრით, მხატვრული შემოქმედების (ისევე როგორც თამაშის) იმპულსიც ფუნქციონალური ტენდენციის წიათიდან გამომდინარეობს და, ინტროგენური ქვეყნის ფორმას წარმოადგენს. იხილავს კი მხატვრული შემოქმედების წყაროს საკითხს, დ. უზნადი შენიშნავს: ...იმ ბირობად წყაროს, საიდანაც მხატვრული შემოქმედება, როგორც ხელოვნება გამომდინარეობს, თავისი სათავე ერთ-ერთ შოვად ადამიანურსა და საყოველთაოდ გავრცელებულ მოთხოვნილებაში აქვს. ეს მოთხოვნილება შინაგანად განცდილობს გარეთ სწრაფვის, მისი საგნობრივი განსახიერების, მისი ობიექტივაციის ტენდენციის ნიადაგზე ადობენეწეწული. მას თქმა უნდა, ეს ტენდენცია ყველას ერთნაირისა და იმავე ძალით არა აქვს, მაგრამ ამა თუ იმ დონეზე ყველას აქვს განვითარებული.“<sup>12</sup>

თუ შედეგობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ფუნქციონალური ტენდენცია საფუძვლად უდევს როგორც თამაშს, ასევე მხატვრულ შემოქმედებას, მაშინ გარკვეული რაციონალური აზრის შეცველი უნდა იყოს შილორ-სპენსერის მოსაზრება, რომ „ესთეტიკური გრძნობები სათავეს იღებენ იმ იმპულსებიდან, რომელნიც თამაშისადმი აღძრავენ“.

საენსერმა და გროსმა სცადეს შეცვინერულად დაესაბუთებინათ კანტისა და შილორის ესთეტიკური თეაოსაზრისი, რომლის მიხედვით ხელოვნება თამაშის სახეა. მათ შორის ფსიქოლოგიური თეორიაც ხელოვნებაზე გაავრცელეს;

შეცადუნე დაესაბუთებინათ, რომ როგორც თამაშს, ასევე მსატკრულ შემოქმედებას საერთო საფუძველი გააჩნია. რომ ზელოვნულ თამაშიდან უნდა გამოიშინარებოდეს და ამიტომ ისინი, როგორც გარკვეული მოქმედებანი, არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთან დაკავშირებით დ. უსნაძე შენიშნავს: „რამდენადღაც ორივე — ზელოვნური შემოქმედებაც და თამაშიც — არარაგონებულ განწყობათა და ფუნქციონალური ტენდენციების ნიადაგზე აღმოცენებული ქვეყნის ფორმის წარმოადგენენ, ამ თეორიას საღი მოსაზრება უდევს საფუძველზე.“<sup>13</sup>

მსატკრულ შემოქმედებას და თამაშს ის გარკვევაც ახსენებს, რომ მოქმედების ორივე ფორმის პ რ ო ც ე ლ უ რ ი ს სახიათა აქვს. როგორც თამაშში, ასევე მსატკრულ შემოქმედებულ სიამოვნებისა და კმაყოფილების გრძობისას საბოლოოდ აქტივობის შედეგი კი არ იწყვეს, არამედ მისი (ე. ი. თვით აქტივობის, ქვეყნის) პროცესი.

ამ თვალსაზრისით თითქოს აქვე იმდენა ზღვარი თამაშსა და მსატკრულ შემოქმედებას შორის. მაგრამ სინამდვილეში მსატკრული შემოქმედება სპეციფიკურად განსხვავდება ყველა დახარჩენი ინტროფუნქური ქვეყნის ფორმებისა და მათ შორის თამაშისაგან, კერძოდ; მსატკრულ შემოქმედებაში პრობლემა, ნაწარმოების გაკვირვებით მტკიროლი აქვს მთელი ქვეყნის მიმდინარეობისა და ხასიათისათვის, ვიდრე თამაშის შემთხვევაში. პიროვნების ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გამოვა შემოქმედების პრობლემატიკა, რამდენად დამაკმაყოფილებელია სუბიექტისათვის შემოქმედების პროცესუალური მხარე, ეს საბოლოოდ იმავად დამოკიდებული, თუ რამდენად ადეკვატურ განსახიერებას წარმოადგენს მისი შინა განცდების ზელოვნური ნაწარმოებები. — აღნიშნავს დ. უსნაძე.<sup>14</sup> მსატკრული ნაწარმოები იდგა არა მარტო ყოველ წაშს განსასაზღვრავ შემოქმედებით პროცესს, არამედ დამთავრებისა და დასრულებისაგანაც მოწყობდეს მას.

მსატკრული შემოქმედების პროცესი, — აღნიშნავს დ. უსნაძე, — ღირებულება ეკარგება, თუ იგი წყდება მანამ, სანამ ზელოვნური ნაწარმოები დასრულდებოდა. თამაშის შემთხვევაში ასეთ მდგომარეობათთან არა გვაქვს საქმე. აქ პროცესის ყოველ მიმავლთს თავისი დამოუკიდებელი ღირებულება აქვს და ამიტომაც შესაძლებელია, რომ იგი ყოველ წაშს შეწყდეს.

მსატკრულ შემოქმედებას და თამაშს შორის განსხვავების საბოლუტარაციოდ დ. უსნაძეს შემდეგი მაგალითი მოაქვს; ავიღოთ ორი შემთხვევა; 1) ბავშვები „ომობანას“ თამაშობენ და 2) სენანუ წარმოადგენენ ომს. ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში ქვევა არსებითად იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული. „ომობანას“ დროს თამაში თავისუფლად მიმდინარეობს. თითოეული მონაწილე რამდენიმე განსაზღვრულ ფარგლებში იწეოქვევა, როგორც მას მოეხსიათება. ამასთან ერთად მას ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშს თავი დაანებოს. ამით თამაშს არც აზრი ეკარგება და არც მნიშვნელობა.

სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მსახიობის მიერ სენანუ ომის წარმოდგენის შემთხვევაში. აქ მისი ქვევა ობოლუტულია თავისუფლებას და მკაცრად განსაზღვრულია ომის მაქსიმალურად ადეკვატური განსახიერებისა. ამასთან ერთად, წარმოდგენის მონაწილეს არ შეუძლია თავისი სურვილისამებრ შეწყვიტოს „თამაში“.

ჩვეულებრივი „ომობანას“ შემთხვევაში თამაშის თითოეული მომხმტკი თავისთავად დამოუკიდებელ ღირებულებას წარმოადგენს. იგი არც არსებითად განსაზღვრავს მხოლოდს და არც არსებითად განსაზღვრება იმით, რასაც ადგილი აქვს მსატკრულ შემოქმედებაში. მოტანალი მაგა-

ლითი ნათელიყოფს, რომ ფსიქოლოგურად „წარმოდგენას“ ან ხელოვნური შემოქმედება და თამაში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მართალია, როგორც შემოქმედება, ასევე თამაში პირველ (ესეულურ) ხასიათს ატარებს და ორივე შემთხვევაში მსწავლითა განსწავლითი თვით აქტივობას, მოქმედება დგას, მაგრამ თამაშის დროს ეს აქტივობას ფსიქოლოგიურად ყოველ მოცემულ მომენტში დამოუკიდებელია, ხოლო შემოქმედებისას იგი მთელმა განსაზღვრულად ჩაქსოვლად და მისგანათავიდან ბოლომდე განსაზღვრული.

თუ თამაშის შემთხვევაში ცალკეული აქტები თავისთავად ღირებულებას წარმოადგენენ, მსატკრულ შემოქმედებაში ისინი მხოლოდ საშუალებებია, რომელნიც მთელის განსახიერების იდეას ემსახურებიან. ამასთან ერთად, მსატკრული შემოქმედებისას სუბიექტი ქვეყნის ქტების რიტმით კი არ მიმართავს, რომ მათი შედეგები აინტერესებს, არამედ იმით, რომ თვითონ ამ მთლით განსაზღვრული აქტების შესრულების იმავლს გრძნობს.<sup>15</sup>

თამაშის ფანტაზია ფანტაზიის განვითარების დაბალი საფეხურია. თამაშის შინაარსი არ წარმოადგენს ბავშვის ცალკესუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ ნაყოფს. თამაშის ფანტაზიის უფრო რეპროდუქციის პროცესია (წაბატავს წარმოადგენს), ვიდრე ახლის ფანტასტიკული შექმნის, რასაც ადგილი აქვს მსატკრული შემოქმედების ფორმაცში.

განსხვავებს რა ადამიანის ქვეყნის ფორმებს ერთმანეთისაგან, დ. უსნაძე ამავე დროს შენიშნავს, რომ ქვეყნის ეს ფორმები ურთიერთისაგან გარდაუტყალი ზეუდგებით არ არიან გამოყოფილი, პირიქით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ხშირად ერთიმეორესე გადდიან. „რამდენადაც ქვეყნის ფორმათა კლასიფიკაცია, — აღნიშნავს დ. უსნაძე, — ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აქვს დადებული, უნდა ვიფიქროთ, რომ იმის გადასაწყვეტად, თუ უმთავრესად ვიფიქროთ, რომ იმის გადასაწყვეტად, თუ უმთავრესად ვიფიქროთ, მხოლოდ სუბიექტურ ძირითად განცდას აქვს გადაწყვეტილი მნიშვნელობა.“<sup>16</sup>

ამრიგად, ქვეყნის ფორმები აბსოლუტურად არ არიან ურთიერთისაგან მოწყვეტილი — ასე მაგალითად, ჩვენ წყნობი ლაპარაკი გვეხდება განსხვავებას მსატკრულ შემოქმედებას და შრომას შორის. ადამიანის ეს ქვეყნები საპირისპირო ქვეყნის ფორმებს მიეკუთვნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შრომის პროცესში მსატკრული შემოქმედების ელემენტებსაც ვხვდებით და ამდენად შრომის პრობლემატიკა საბოლოოდ ისეთიგეორი ღირებულების შემცველიც არის, ჩვენ არ შევითბობია, — აღნიშნავს დ. უსნაძე, — უარი ვთქვით ჩვენს ვითარებებში მოთხოვნილებას და ამიტომაც, რომ ყველაფერს, რაც კი ჩვენი ხელოვნად გამოდის, მსატკრული შემოქმედების დადი აქვს.“<sup>17</sup> მსატკრული შემოქმედება ამ შემთხვევაში შრომითი პროცესის დამატებით მომენტად გვევლინება. თვით ის გარემოება, რომ შრომისა და მსატკრული შემოქმედების დახასიათებისას დ. უსნაძე ხშირბას ტერმინებს „წარმოშობით შრომას“, „მსატკრული შემოქმედების შრომას“ იმის მაჩვენებელია, რომ შრომა და მსატკრული შემოქმედება ურთიერთისაგან აბსოლუტურად არ არიან მოწყვეტილი, რომ ისინი გარკვეული საერთო ელემენტების ფორმაციას არიან.

მაგრამ კავშირი ადამიანის ქვეყნის ფორმებს შორის არ გვაძლევს საფუძველს, ქვეყნის ამ განსხვავებულ ფორმათა და მათ უმეტეს, მსატკრული შემოქმედებისა და თამაშის გაიფიქრებისათვის.

ცხადია, ჭეშმარიტი შემოქმედების პროცესი თამაში არ არის. მიუთითებს რა მსატკრული შემოქმედების პროცეს-

სის არაჩვეულებრივ ინტენსიურ ხასიათზე, დ. უზნაძე წერს:

„...ზოგიერთ შემთხვევაში, რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების დამთავრების შემდეგ, ავტორის ჯანმრთელობა, როდესაც იგი ისედაც სუსტი იყო, ისე ძირიან-ფესვიანად უარესდება, რომ იგი შემდგომი მუშაობის უნარს კარგავს, ხოლო ზოგჯერ ასეთი მუშაობა ნაადრევი სიკვდილითაც კი თავდება. ყველაფერი ეს იმავსე მიუთითებს, თუ რაოდენ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს გემმარტი შემოქმედების პროცესი. ამრიგად, მხატვრული შემოქმედების პროცესი „ინტენსიურ, წინასწარ განზრახულს, სისტემატურ მუშაობას მოითხოვს, რომელშიც ნებელობითი და ინტელექტუალური აქტები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ“.<sup>18</sup>

ამრიგად, დ. უზნაძის აზრით, თამაშის ესთეტიკური თეორია, რომელიც ხელოვნებას თამაშის სახედ თვლის (ნიუსედავად ზოგიერთი „სალი მოსაზრებებისა“) ძირითადში მდგარ თეორიას წარმოადგენს, ფსიქოლოგიურად ხელოვნური შემოქმედება და თამაში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან; შექმნილი ნაწარმოების ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მხრივ, შემოქმედება უფრო შრომის უახლოვდება, ვიდრე თამაშს.

შენიშვნები:



ქართული  
ენციკლოპედია

- 1 К. Грос. Душевная жизнь ребенка, Киев, 1916.
- 2 იქვე, გვ. 187.
- 3 К. Грос. Введение в эстетику, Киев-Харьков, 1899, стр. 38—42.
- 4 იქვე, გვ. 128.
- 5 დ. უზნაძე. „შრომები“, ტ. V, გვ. 155.
- 6 იქვე გვ. 435.
- 7 იქვე, გვ. 435-436.
- 8 იქვე, გვ. 451.
- 9 იქვე, გვ. 159.
- 10 იქვე, გვ. 459.
- 11 იქვე.
- 12 იქვე, გვ. 537.
- 13 იქვე, გვ. 460.
- 14 იქვე.
- 15 იქვე, გვ. 461.
- 16 იქვე, გვ. 463.
- 17 დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 479-490.
- 18 იქვე, გვ.483-484.

ჰ. პარტიი.

ვოლგოგრადის - მემორიალი








საპოთა შებრძოლის ძეგლი ტრებტოე-პარკში (ბერლინი)

გაღვივდით მათელები სახსიეად



საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო



საბჭოთა კავშირის მარშალი კ. როკოსოვსკი



ნ. კანდელაკი



აპ. ქუთათელაძე  
(შეგობრული შარვი)



მეელი თბილისი



# ვიცოდეთ სტალინის ფასი

წარსულის შესახებ ცნობების ძებნაში ძველი გაზეთების კომპლექტების ქექვისას ვინ არ დაფიქრებულა ნაბეჭდი კრიტიკული სიტყვის განუთმელ პასუხისმგებლობაზე, რომელსაც დროის ნებით უწერია პირველწყაროდ, მოწმედ, დოკუმენტად ქცევა?

რასაკვირველია, ამ ამადღევებელი ისტორიული მისიია: წინასწარი ტკობისათვის როდი იქმნებოდა და იქმნება სახელოვნებათმცოდნეო გამოკვლევები, მონოგრაფიები, კრიტიკული მიმოხილვები, რეცენზიები. მაგრამ ამ თითქოსდა ახლანდელი საკიროების — გამოხმაურება, აღბეჭდვა, განხილვა — ამოსავალი წერტილი იგივეა: გატაცებით ზრუნვა მხატვრული კულტურის განვითარებაზე.

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის პასუხისმგებლობის ნათელი სიღრმე სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განვითარებისათვის კიდევ უფრო ნათლად გადაგვეშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ახლახან მიღებული დადგენილებით.

როგორც ამ დადგენილებაშია აღნიშნული, პარტიული კომიტეტები, კულტურის დაწესებულებანი, შემოქმედებითი კავშირები, ბეჭდვითი ორგანოები თავიანთ აქტიურ ძალებს მიმართავენ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის დონის ამაღლების, სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა რეალიზაციისაკენ. მაგრამ კრიტიკის მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს დროის მოთხოვნილებებს და ეს დარაჯერებლადაა ნაჩვენები დადგენილებაში.

ჩაიფიქრე რა ფანქრით ხელში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ წყვილზე, პირველ რიგში ავიღე გასული წლის აგვის-


ტის ნომერი. მაგრამ ალაღებზე კი არა, სწორედ ჟურნალის მეშვე ნომერია მკითხველისა და თვით რედაქციისათვის განსაკუთრებით საინტერესო.

ამ ნომრიდან ჟურნალი იწყებს საკუთარი პოზიციების გადახედვას, ვინაიდან იგი იხსნება სათაურით: „ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სერიოზულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა შესახებ“. აღნიშნა რა გამოქვეყნებული მასალების არც თუ მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, ქართული კულტურის კარდინალური საკითხებისადმი უყურადღებობა, ჟურნალის ფურცლებზე პრინციპული, პარტიული კრიტიკის უქონლობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სერიოზულად გააკრიტიკა ჟურნალის მოღვაწეობა.

ჟურნალის მომდევნო ნომრებს მისი რედაქციეა და მთავარი რედაქტორი ოთ. ევაშე ალბათ განიხილავდნენ, როგორც საქმიან პასუხს სამართლიან კრიტიკაზე და მას ახმარდნენ მთელ ძალასა და შესაძლებლობას.

მეშ სმ, შხსპკშპლშბანი. ჟურნალის პროფილია სასოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, სამეცნიერო-თეორიული. ფართო დიაპაზონია. აშუქებს რა კანონს, ტელევიზიის, არქიტექტურის, პოლიგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებს, ჟურნალი გასცდა უწყებრივ ჩარჩოებს. კუთვნილი უნდა მიუვლით ჟურნალს — იგი ცდილობს, რაც შეიძლება ფართო რეალიზაცია გაუკეთოს თავის თემატურ განაცხადს. ტრადიციული რუბრიკების მიღმა ჟურნალში შეიძლება შევხვდეთ პუბლიკაციებს, ასე ვთქვათ, „მოყვარულთათვის“, „დედობის პერსონოლოგიური იდეები რაფაელისა და დე-

1197/11



ონარდო და ვინჩის შემოქმედების მიხედვით, „პანკური მღელვარება, როგორც უარყოფითი ფაქტორი ვოკალურ შემსრულებლობაში“ და სხვ. ყოველივე ეს საინტერესოა და, შესაძლოა, „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდვის ღირსიც.

მაგრამ მრავალგვარობა ყოველთვის არის კი მრავალფეროვნება? ეს განაცხადი, გამოცემის „მოდელი“ ადასტურებს თავის სიფიქსისუნარიანობას პრაქტიკაში? სან-წუხაროდ, „საბჭოთა ხელოვნების“ პრაქტიკა ამაზე დადებით პასუხს ვერ იძლევა. და აი რატომ: მრავალი წლის მანძილზე ჟურნალმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა საკითხი—მასობრივი გამოცემა „საბჭოთა ხელოვნება“ თუ ვცროსპეციალური? და რა უნდა აიღოს კრიტიკიზმად? თუ ტირაჟი (6 ათასი გეგმულად) და სოლიდური მოცულობა (ას გვერდზე მეტი) ნატიფი ყიდითა და ფასით (1 მან.) — მაშინ მკითხველთა წიგნისასაღებრება სპეციალისტებით. თუ ჟურნალის ამოცანები საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ესთეტიკურ-აღმსრულებლობითი, პროპაგანდისტული თემათა ფართო დიაპაზონით, მაშინ იგი მასობრივი უნდა იყოს. და აი, უკლებელეყოფითა და „ფუნქციური შეუთავსებლობას“, რედაქცია ყოველ თვეში ცდილობს მოიკვას მიუღველი.

ჟურნალის ყველა ნომერი ვერ დაიკვეხნის მსატრული კულტურის განვითარების პროცესების დაწვრილებითი კრიტიკული ანალიზით. დიდ ადგილს იკავებს (სხვანაირად არც შეიძლება) ინფორმაციული ხასიათის ანგარიშები, სხვადასხვა სახის ფაქტების კონსტატირება. ნომრის მასალებზე კვლევა აღმართულია „მრავალგვარობის“ დამოკლეს მახვილი.

მინც რაზე შეჩერდა ხუთი თვის მანძილზე ჟურნალის კრიტიკული აზრი? გაკეთდა სოხუმის დრამატული თეატრის დადგმების ფუნდამენტური, არგუმენტირებული განხილვა; რამდენადმე ტენდენციურად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ და გარკვევით არის გამოთქმული აზრი ფილმზე „იყო შაშვი მგალობელი“; მოცემულია სახეიო ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენის დაწვრილებითი რეცენზია;

მწვეველ დასაბუთებულა პოლემიკა „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ ქართული განყოფილების ავტორთან.

და აი, თითქმის, ყველაფერი. ოღონდ ერთი შენიშვნით — აქ დასახელებული არ არის აშკარა კომპლიმენტარული სახის, ანდა პროფესიულად სუსტი სტატები. მათ ხარისხს ჩვენ კიდევ დავებურნდებით, ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მსატრული ცხოვრება გაცილებით უფრო ინტენსიურად ჩქვს, ვიდრე „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზეა ასახული, აქვე დავისახავთ კიდევ ერთ საკითხს. მოვლენა უამრავია, ყველაფრისთვის უნდა მოინახოს ადგილი, თანაც ოპერატიულად (ოპერატიულობა აუცილებელი თვისებაა „სექტანიაში“ ჟურნალისთვისაც კი), მაგრამ განა ეს შემამსუბუქებელი გარემოებაა? გადავურყულეთ ჟურნალი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობის ანგარიში. ქართული საბჭოთა მილიციის 50 წლისთავი. ზაქარია ჭავჭავაძის ნიუილე. საქართველოს კინოკავშირის 50 წლისთავი. ვოკალისტა რესპუბლიკური კონკურსი...

ყველა ამ მოვლენას მკითხველი მეორე დღესვე ენრობოდა რესპუბლიკური გაზეთებიდან. მამ აუცილებელია თუ არა ოფიციალური ანგარიშის გამოქვეყნება ერთი თვის შემდეგ? აი, სად არის რეზერვი, აი, დაკარგული შესაძლებლობა დასახელებულ მოვლენებზე საქმიანი გამოსხაურებისა! სიმა რისის სათქმელი, მავალითად, შემოქმედებით ახალგაზრდობაზე, ქართული კულტურის მომავალზე, კომკავშირულ დღესასწაულთან დაკავშირებით! თეატრალური საზოგადოების ყრილობის დღევატები არ მალავდნენ მწვეველ პრობლემებს, გადაჭრულ ამოცანებს; ყრილობის შედეგების კრიტიკული გაანალიზება სწორად რომ მსგავსი გამოცემის ამოცანა.

ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო დღეებში კომპოზიტორის სამი ძეგლის გასნა ჩინებული საპაბია მოსაზრების გამოთქმისა, მით უმეტეს, რომ ძეგლებზე ლაპარაკობენ და გამოთქამენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. სპეციალისტის რეცენზია იქნებოდა მართებული, ოპერატიული გამოსხაურება ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე მონუმენტურ ხელოვნებაში, რომელიც რთულად და არც თუ უმტკივნეულოდ ვითარდება რესპუბლიკაში.

ერთი სიტყვით, „მრავალთემიანობის“ პირობებშიც კი შეიძლება კრიტიკული რეზერვების ძებნა და მიგნება.

შპარამბულო იქნება, თუ ეს შენიშვნები შექმნიან იმის შთაბეჭდილებას — თითქოს „საბჭოთა ხელოვნება“ დუმილს აშკობინებს და სიმწვავეს გაურბის. მეტსაც ვიტყვი: პოლემიკური მგზნებარება მუდამ ახლავს ჟურნალს. ზემოთ უკვე იყო ნახსენები „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ არგუმენტირებული და ამადლევებელი კრიტიკა (გ. ხარატიშვილი). თავისი ფორმით საინტერესოა და ლოგიკურად დასასრულამდია მიყვანილი ი. ვეპის მწვავე პოლემიკა და ჯანელიძის რეცენზიასთან „სამგროთიან ოპერაზე“, რომელიც „ბერლინერ ანსამბლმა“ აჩვენა თილისში გასტროლებისას. სოსუმელთა რეპეტაციების მიმოხილვა (ნ. გურაბანიძე), ასევე თელავი სხვა მასალები მნიშვნელოვანია კრიტიკურითა სისუსტითა და მსატრული გემოვნების გარკვეულობით.

უახსენებ პოლემიკური მგზნებარება, მინდა აქვე დავამატო, რომ „მგზნებარება“ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვა როდია. ხდება სოლემ, როცა მგზნებარება გადაჭარბებულია და სწორედ ამ დროს იკარგება წონასწორობა. ამის დასტურია ის გატიანურებული დისკუსია, რომლის თავდაპირველი მიზანი იყო ქართული კინემატოგრაფიის დადებითი თარიღის დასუსტება და რომელიც ვნებათა ხანგრძლივ დუღილში ჟურნალისთვის თითქმის პრესტიჟის საგნად იქცა.

ეს ერთობ საინტერესო ამბავია. „საბჭოთა ხელოვნების“ 1970 წლის მე-12 ნომერში ხელოვნებათმცოდნეობის



კანდიდატმა გ. ხარატიშვილმა დაბეჭდა წერილი „შენიშვნები ქართული ენის ისტორიის საკითხებზე“, რომელშიც სხვათა შორის მითითებული იყო კინომოდენე ვ. წერეთლის ნაწარმოებში არსებულ შეცდომებზე. გასული წლის თებერვალში გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ თავი-ს ტირიქსა დაუთმო კინომოდენე თ. თავაშვილის ამ შენიშვნების უარსაყოფად. თებერვალშივე იმავე გაზეთში კინომოდენე გ. დილიძემ უარყო თ. თავაშვილის მოსაზრებანი და მხარი დაუჭირა გ. ხარატიშვილის თვალთახედვას. იმავე თებერვალში და იმავე გაზეთში სიტყვა აიღო კრიტიკოსმა ბ. ძღერტმა, რომელმაც მოუწოდა მოდავეებს იკამათონ „პატიოსნად, სერიოზულად, პრინციპულად“.

„საბჭოთა ხელოვნება“ არ რჩება გარეშე მეთვალყურედ და სთხოვს რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის ჭეშმარიტების საბოლოოდ დასადგენად სათანადო სინაღლზე დაყენების საკითხს. გამგებთა იმავე თებერვალში იწვევს გაფართოებულ პლენუმს, რის შედეგადაც ათი თვის ვიწრო (,,საბჭოთა ხელოვნება“ №12,1971 წ.) საშუალება მოგვეცა გავცნობოდი კინემატოგრაფისტთა კავშირის ზრს რედაქციისადმი გაგზავნილი ოფიციალური წერილით. აზრი ასეთია: გ. ხარატიშვილის პრეტენზიები საპარტიანია, „მაგრამ, სამწუხაროდ, პოლემიკამ პრესის ფურცლებზე მიიღო არაჯანსაღი ხასიათი“ და შეცდომები გ. წერეთლის შრომებში „არ იძლევა საფუძველს ბრალი დადოთ მას... ზოგიერთი საკითხის შეგნებულ გაყალბებაში“.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს პასუხთან ერთად „საბჭოთა ხელოვნება“ აქვეყნებს კინორევიუსორ რ. ჩხეიძის სტატიას, რომელიც ერთი თვის წინ გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტში“, და ამით ამოწურულად თვლის ინიცდენტს.

ნუ გამოგვიცდებთ კამათის არსს, რადგან ჭეშმარიტებამ გაიმარჯვა. ბოლოს და ბოლოს დადგინდა ქართული კინემატოგრაფიის დაბადების თარიღი და აუცილებელი იქნა ფაქტოგრაფიული კითხვასვლავობა.

მაგრამ კამათით დაკავებული სამი რესპუბლიკური აგტორიტეტული გამოცემის მკითხველისთვის სასეებით საკმარისი იყო „საბჭოთა ხელოვნების“ გასული წლის ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი გ. დავითაის მოკრატლებული, მშვიდი სტატია „ქრისტიანულ“ გადაღებისა და გამოშვების თარიღისათვის!!

თუ პატივცემულმა კინომოდენეებმა ისე მიმართეს დახმარებისათვის ბეჭდვითი სიტყვას, რომ თავიანთი სპეციალური საკითხები არ გადაწყვიტეს შრომით, მეცნიერულად (რაც უნდა შეადგენდეს მათი მოღვაწეობის არსს), მაშინ პრესის როლი თვისებრივად სულ სხვა შეიძლება ყოფილიყო. როგორ არ დავეთანხმებო. ჩხეიძის, რომელმაც თავის სტატიაში შემოგვთავაზა „მეტად მაღალი პოზიციებიდან უნდა ვილაპარაკოთ!“ ოღონდ როგორ გავიგოთ

„მაღალი პოზიციები?“ აჰი, გულზე ხელი რომ დავიდოთ, შეუძლებელია არ ვაღიაროთ — ბეჭდვითი სიტყვა ამ შემთხვევაში იქცა მხოლოდ კინომოდენეობითი შინაომის არენად (მოთგონეთ „არაჯანსაღი ხასიათი“, „შეგნებულ გაყალბებას“ და სხვა).

ვიგორებ, ბეჭდვითი სიტყვის როლი სულ სხვანაირი იქნებოდა, თუ გავიგონებდით გონიერულ სიტყვას იმაზე, რომ მსავსები პოლემიკა საზოგადოებრივ ზრს აშორებს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ნამდვილი პირობებებისაგან და რომ დროა ჩვენმა კინომოდენეებმა საქმიანად ჩაიხედინ „მოვლენათა არსში“; საკამათო არაფერი იქნებოდა, თუ გვექნებოდა ქართული ფილმოთეკა, ფილმოგრაფია, ეროვნულ კინოზე შექმნილი ბიბლიოგრაფიული შრომები, დაბოლოს, ქართული კინემატოგრაფის სრული ისტორია.

კრიტიკული აზრის მსავსეი გამოცოცხლება არ გამოუწვევია აქამდე არც ერთ მოვლენას ქართულ კინემატოგრაფიაში, მათ შორის არც საქართველოს კინემატოგრაფისტთა უკანასკნელ ყრილობას, რომელსაც „საბჭოთა ხელოვნება“ მხოლოდ ინფორმაცია აღირსა. ეს ყრილობა იმდენად მძაფრი ყრილობაა, რომ კავშირის სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება ყრილობის სტენოგრაფამ დაეცვა (!) შურნალისტთა ცნობისმოყვარეობისაგან.

ჩამომი რა კოლექტბთან გულახდილ საუბარში, არ შევარბილებ მას ჩვეულებრივი ნუგეშით: არ ცხვება ის, ვინც არ მუშაობს... სულაც არ ვუფიქროს რა ჩემს თავზე „ქვემარტივად უკანასკნელი ინსტანციის“ უფლებას, ვითვალისწინებ საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც. მაგრამ გულწრფელად მაგარა, რომ სწორად გამიგებენ მთავარს: ძვირად უღირს რა მკითხველის ყურადღება, დაფასებს რა მოქალაქეობრივ მგზნებარებას, შურნალმა მთელი თავისი მოღვაწეობა ნამდვილად უნდა შეაფასოს „უფრო მაღალი პოზიციებიდან“.

ეჭვი არ ადის, რომ ქართული შურნალისთვის, ისევე, როგორც ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოსთვის, რომლებიც აქტიურ ზეგავლენას ახდენენ საბჭოთა მხატვრული კულტურის განვითარებაზე, მნიშვნელოვან მიჯნად იქცევა სკვპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ.

...დასასრული ავიგვიგინებს საქმეს. იგი შემომთავაზა შურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ სერგო ზაქარაიძის ბრძოლად აზრის სახით მისი უკანასკნელი ინტერვიუდან:

- როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე?
- მიზილიზაციით.

**იური მისაშვილი,**

„სოვეტსკაია კულტურას“ საქ. კორ. თბილისი.  
 გაზეთი „სოვეტსკაია კულტურა“,  
 1972 წლის 12 თებერვალი.





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გიორგი  
ხარაბიშვილი თავის ახალ შრომაში „კობე მარჯანიშვილი—  
კინორეჟისორი“ იკვლევს დიდი ქართველი რეჟისორის მოღ-  
ვაწევობას, როგორც რევოლუციამდელ რუსულ, ასევე ქარ-  
თულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში.  
გთავაზობთ ამ შრომის პირველ თავს — „რუსეთში“.

# კობე მარჯანიშვილი—კინორეჟისორი

გიორგი ხარაბიშვილი

მრთ ღრუს კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი კინო-  
ფილმების იდენტურ-მხატვრული ღირებულება ხელაღებით  
იყო უარყოფილი. საკმარისია გადავფურცლოთ ა. დუდუ-  
ჩავას 1933 წელს გამოცემული შრომა, სადაც იგი დაუსა-  
ბუთებლად წერს: «Все фильмы, поставленные Мар-  
джановым, оказались с точки зрения кинемато-  
графически, технически, исключительно слабыми,  
а с точки зрения идейного содержания, не вы-  
держивающими никакой критики»<sup>1</sup>.

ეს იყო წინათ, მაგრამ კ. მარჯანიშვილის კინომემკვიდ-  
რეობა დღესაც არ არის სრულყოფილად გამოკვლეული და  
გაერცლებულია მცდარი შეხედულებანი, რომ კ. მარჯა-  
ნიშვილის მისვლა ქართულ კინემატოგრაფიაში განაპირო-

ბა იმ კონფლიქტმა, რომელიც წარმოიშვა მასსა და კორ-  
პორაცია „დურუჯას“ შორის 1924-1926 წლებში. არის  
მოსაზრებაც, რომ კ. მარჯანიშვილი, როგორც რეჟისორი,  
კინოში დამარცხდა. ასეთი შეხედულების გაერცლებას,  
რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო კ. მარჯანიშვილისავე გამოს-  
ვლამ 1929 წლის 22 აპრილს თბილისის მუშათა კლუბთან  
არსებული დრამწერების ხელმძღვანელთა სემინარზე, სა-  
დაც მან განაცხადა: „თეატრის მრავალი რეჟისორი, და  
მეც, მათ შორის, ხშირად დამარცხებულა კინოში“<sup>2</sup>.

ეს მოსაზრებანი, ცხადია, სწორი არ არის.  
კ. მარჯანიშვილი „დურუჯთან“ კონფლიქტამდე შეუდ-  
ვა თავისი პირველი მხატვრული ფილმის „ქარიშხლის წინ“  
გადაღებას. როგორც დანარჩენი ლიტერატურული მასალი-



კ. მარჯანიშვილი, ვ. იურენევა, ა. ვოზ-  
ნესენსკი „ცერემონიის“ დაღმავზე მუშა-  
ობის დროს.

დან ჩანს და რუსთაველის სახელობის თეატრის იმდროინდელი მოღვაწეები გადმოგვცემენ, კინოში მუშაობა, რაც მას ბევრ დროს ართმევდა, გახდა ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმ კონფლიქტისა, რომელიც შემდგე კ. მარჯანიშვილს და „ოურუსს“ შორის დაიწყო.

კ. მარჯანიშვილის მისვლა ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში განპირობეს იმ ძვრებმა, რომლებიც 20-იანი წლების კინოსტუდიებში მოხდა. კინომ იპოვა სინამდვილის ესთეტიკური შემეცნების საკუთარი საშუალებანი და გაემიჯნა თეატრს. ბუნებრივია, რომ კ. მარჯანიშვილი, როგორც ახლის მაძიებელი და სინთეზური ხელოვნებისათვის თავდადებული მებრძოლი, გულგრილი ვერ დარჩებოდა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენისადმი. იგი ქართულ კინემატოგრაფიაში ისეთვე პატრიოტული მკვლევარებით მივიდა, როგორც ქართულ თეატრში და ხანმოკლე დროში (1924-1929 წ. წ.) ეჭვს ი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი შექმნა. ამ ფილმებს, რა თქმა უნდა, ჰქონდა სუსტი მხარეები, ისინი არ იყო შესრულებული თეატრის გენიალური რეჟისორის სპექტაკლების რადიუსით და კ. მარჯანიშვილი — თეატრის რეჟისორი ჩრდილავდა კ. მარჯანიშვილს — კინორეჟისორს, მაგრამ თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების პირველ ეტაპს, ნათელი გახდება ამ ფილმების დიდი მნიშვნელობა ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის ფორმირებასა და განვითარებაში.

რუსეთში

რუსეთში რუსეთში დასავლეთ ევროპის ფირმების კინოფილმების ჩაბრუნება და რუსული სამამულო კინემატოგრაფიის გამოყალიბება დაიწყო, კ. მარჯანიშვილი რუსული დრამატული თეატრის სახელმწიფოებრივი რეჟისორი იყო. კინემატოგრაფიამ მასწავლა მისთვის თეატრის მოღვაწეთა ყურადღება, მაგრამ იმდროინდელი კინოფილმები მშვენივლად თეატრალური სპექტაკლის სურათებს წარმოადგენდნენ და მათ ცხოვრების ასახვის საკუთარი, თეატრისაგან განსხვავებული, საშუალება არ გააჩნდა. ამიტომ კინომ თეატრის მოღვაწეთა აღფრთოვანება ვერ გამოიწვია, თუმცა მასხიბობა დიდმა ნაწილმა (მატერიალური სარგებლობისა და რეკლამისათვის) კინოს მიაშურა. თეატრის ცნობილი მოღვაწეები კინოს არ თვლიდნენ. ხელთვნებდად და არც მისი პერსპექტივები სწამდათ. კ. სტანისლავსკიმ ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბა თეატრის მოღვაწეთა აზრი კინემატოგრაფიისადმი: «Быть может, мне не удалось видеть «Шедеров», о которых начали говорить в последнее время, но в тех картинах, которые мне приходилось видеть, я не нашел ничего-либо оригинального, собственного лишь кинематографу искусства»<sup>3</sup>.

კ. მარჯანიშვილის მამინდელი შეხედულება კინემატოგრაფიაზე ცნობილი არ არის. ამ საკითხის გასარკვევად არც არასოდეს დარჩენილა რაიმე მასალა და უნდა ვთვროთ, რომ მისი შეხედულება კ. სტანისლავსკის აზრის იდენტური იყო. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პერიოდში კინომრეწველობა შორის კონკურენციამ უმალდეს წერტილს მიაღწია, ყოველი კინოფილმი, ამახანაობა თუ საექციონერო საზოგადოება ყველა დროისძივამ ხმამაღალი რეკლამისათვის და დაუჯერებელია, მათ ფილმების გადასაღებად არ მიეწვიათ ისეთი სახელმწიფოები და ნივთიერ რეჟისორი, როგორც იყო კ. მარჯანიშვილი. იგი რუსულ კინოში საშუალოდ მსოლიდ 1916 წელს მივიდა და უმაღლეს ჩამორჩა.

კ. მარჯანიშვილის ურთიერთობა რუსეთის კინემატოგრაფიაში

კოტე

მარჯანიშვილის

დაბადების

ასი

წლისთავისათვის



რადიოსთან იწყება 1913 წელს, როდესაც ა. ხანცონკოვის ფირმამ ევრანზე გადმოიღო კ. მარჯანიშვილის მიერ 1912 წელს დადგმული სპექტაკლი „ცრემლები“ (ა. ვოზნესენსკის უსიტყვოდ დრამა).

ა. ვოზნესენსკის ამ პიესის ევრანიშვილის საკითხი რუსულ კინოფილმდგენობაში დაზუსტებული არ არის. მაგალითად, კინოფ. ს. გინზბურგი თვლის, რომ ა. ხანცონკოვის ფირმამ მოახდინა ა. ვოზნესენსკის პიესის ევრანიშვილი რეჟისორ გ. ბაუერის შემუშავებით. ვ. ვიშნევსკი კი თავის შრომაზე «Художественные фильмы дореволюционной России», 1945 г.) დართულ ფილმოგრაფიულ აღწერაში უჩვენებს, რომ ა. ხანცონკოვმა 1914 წელს ევრანიშვილზე ახლოს მხოლოდ გ. ბაუერის მიერ გადაღებული ფილმი „ცრემლები“<sup>4</sup>.

ეს მოსაზრებანი სწორი არ არის. ა. ხანცონკოვის ფირმამ ა. ვოზნესენსკის „ცრემლები“<sup>5</sup> ორი ვარიანტი შექმნა: პირველად 1913 წელს — კ. მარჯანიშვილის სპექტაკლის ევრანიშვილით და მეორედ 1914 წელს — ა. ვოზნესენსკის სცენარითა და რეჟისორობით (და არაბი). გ. ბაუერის რეჟისორობით).

ა. ვოზნესენსკი რუსეთში პირველი პროფესიონალი კინოსცენარისტი, მაგრამ თავდაპირველად „ცრემლები“ თეატრისათვის დაწერა და მას „უსიტყვოდ დრამა“ უწოდა. დრამატურგს განზრახული ჰქონდა შეექმნა ახალი თეატრალური ფორმა, რომელშიც პიესის პერსონაჟებს აზრი და გრძნობები უნდა გადმოეცათ უსიტყვოდ, მიმიკით, ფესტივალ და პაუზით.

თუ მსახიობი ვ. იურენევს მოგონებას სარწმუნოდ მივიჩნევთ, ა. ვოზნესენსკის პიესის („ცრემლები“) დადგმის ისტორია ასეთია:

„ცრემლები“ მოსწონებია კომპოზიტორ ი. საცს და მუსიკა დაუწერია. კ. მარჯანიშვილი ი. საცთან გაიცნობია პიესას, მოუსმინა მუსიკა და გადაუწყვეტია მისი დადგმა. დეკორაციების დასატვა დაუკლავებიათ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მხატვარ ვ. სიმოვისათვის. 1910-1912 წლებში კ. მარჯანიშვილი, ი. საცი და ვ. სიმოვი ერთად მოღვაწეობდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრში. როდესაც (1911 წელს) კ. მარჯანიშვილი კ. პაშინთან „ცხოვრების ბრტყალებში“ დადგა, სპექტაკლი მხატვრულად ვ. სიმოვმა გააფორმა, მუსიკა კი ი. საცმა დაწერა. 1911-1912 წლების სეზონის დამთავრებისთანავე კ. მარჯანიშვილს მოსკოვის სხვადასხვა თეატრის მსახიობებისაგან შეუდგენია და იმ „ცრემლებში“ დადგმა შესდგობია. ამ სამომავლებიან პიესაში ასახულია ამაღარნა, პატოსთან ქალის ცხოვრება, იგი ბურჟუაზიულ წესწყობილებას წინააღმდეგ დაეცა და იმპაყის და იღუპება. სპექტაკლი როდესაც ასრულებდა

ნენ: გ. იურენკო — კოლი. კომეკვი — ქმარი, ბუტკოვი — მომღერალი, ბაროვი — კომერსანტი, პომერანცევი — პოლკოვნიკი, კრიკორი — მოცეკვავე ბოზა ქალი. სპექტაკლის მსაღმდის შესახებ პირველი ცნობა 1912 წლის 2 მარტს გამოქვეყნა მოსკოვის გაზეთმა „რუსკოე სლოვო“. იგი იტყობინებოდა, რომ პრემიერა დაინიშნული იყო კიევში 19 აპრილს და შემდეგ დასი ეწვეოდა ხარკოვსა და ოდეზას.

ორიგინალურ სპექტაკლს დიდი მოწონება სცემოდა წილად. როგორც ოდესის გაზეთი „ოდეესკიე ნოვოსტი“ წერდა, რეჟის საერთაშორისო სათეატრო სააგენტოს კ. მარჯანიშვილი თავისი დასით საგასტროლოდ მიუწვევია ვენაში, ზელაუშტში, მიანის ფრანკფურტზე, პრადასა და ბელგრადში. სასკოვის გაზეთმა „იუვენაია მოსლვა“ გამოქვეყნა ინტერვიუ კ. მარჯანიშვილთან: «Я с увлечением взялся за дело режиссирования пьесы без слов потому, что почувствовал в ней для сцены новые возможности, подумайте, передать без слов то, что веками людьми передавалось словами, но интересовала меня, конечно, не глубокая пантомима, не «сниматограф» на сцене, а настоящая глубокая и широкая жизнь преобразования в искусстве».

ა. ხანჟონკოვის ფირმამ ეკრანზე გადაიღო სწორედ ის სპექტაკლი, რომელიც კ. მარჯანიშვილმა საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ (1913 წელს) მოსკოვშია აჩვენა.

საინტერესოა, რა პირობებში იქნა ეკრანზებული კ. მარჯანიშვილის სპექტაკლი „ცრემლები“ ა. ხანჟონკოვის ფირმის მიერ?

ამ ისტორიას თვით ა. ხანჟონკოვი გადმოგვცემს შემუშავებულში.

1913 წელს შესრულდა რომანოვების დინასტიის მეფობის 500 წელი. სათუნილო თარიღისათვის მსაღმდის შეუდგა როგორც ა. ხანჟონკოვი, ასევე მოსკოვი ახალდაარსებული „ა. დრანკოვისა და ტადელიკინის ახმანგობა“. დაიწყო კონკურენცია, თუ ვინ და უფრო ადრე გამოუშვებდა უკეთეს ფილმს. „ა. დრანკოვისა და ტადელიკინის ახმანგობას“ უმარჯვანა და სათუნილო ფილმები „1613-1913 წ.წ.“ რამდენიმე დღით ადრე უჩვენებია, ე. ი. კონკურენციამ დაამარცხა ა. ხანჟონკოვი, დამზადებული ფილმის ასლები ვეღარ გაასაღა და იწარღა. მაგრამ ა. ხანჟონკოვმა მალე იპოვა გამოსავალი. იგი წერს: «Вскоре я нашел случай нанести удар конкуренции удачной картиной. Я без изменения перенес на пленку интересную театральную постановку сезона, пантомиму «Слезы». Она принесла фирме много прибыли и славу. История этой постановки такова: К. А. Марджанов организовал небольшую труппу для постановки пьесы без слов в девяти картинах пьесы драматурга А. С. Вознесенского, в декорациях художника Симова, со специальной музыкой композитора Н. А. Саца. Постановка была как бы перенесена с экрана на сцену и поражала оригинальностью и сходством с кинематографией. Эта пьеса и была теперь водворена на экран»<sup>7</sup>.

კ. მარჯანიშვილის სპექტაკლის („ცრემლები“) ეკრანისკის წარმატება იმდენად დიდი ყოფილა, რომ პიესის ავტორს ა. ვოზნესენსკის 1914 წელს პიესიდან სცენარი გაუკეთებია და მისივე რეჟისრობით ა. ხანჟონკოვის ფირ-

მას ხელმოწერდ შეუქმნია ფილმი „ცრემლები“, რის შესახებაც ჟურნალში „ეკსპრესი კინმატოგრაფია“ (1914 წლის № 86 (6) ვითხოვლობთ: «Картина поставленная известным поэтом А. Вознесенским по специально написанному им сценарию».

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საყურადღებო გარემოება: კერძო შწანიშობებულმა სახათმა მონარქისტულ-ბურჟუაზიულ კრესტიუ კინმატოგრაფია მოსწვევით პროგრესულ იდეებს. საჭირო იყო კინო, როგორც ყველაზე მასობრივი საშუალება, გამოეყენებინათ მასების აღზრდის, კულტურისა და მეცნიერების გაფრქვივების იარაღად და აი, ამ მიზნით, ცნობილმა რევოლუციონერმა, იმ დროის სახელმძღვანელო მსახიობმა მარია ანდრეევამ, გ. გორკისთან შეთანხმებით, გადაწყვიტა პროგრესული მინარაისის ფილმების გადასაღებად შექმნა კინო-ფაბრიკა. მ. ანდრეევამ შეიმუშავა „დემოკრატიული კინოსაზოგადოების“ გეგმა და 1913 წლის 26 სექტემბერს მ. გორკის გაუგზავნა კარჩოვე. გეგმით გათვალისწინებული იყო კინოსაზოგადოების მმართველი აპარატი ორი განყოფილებით — ლიტერატურული და სამხატვრო-სასცენო. პირველში შევიდოდნენ მ. გორკი, ი. ლადენკოვი და ა. ტიხონოვი. ხოლო სამხატვრო-სასცენო განყოფილების მუშაობას წარმართავდნენ მ. ანდრეევა, კ. მარჯანიშვილი და რეჟისორი ა. სანინი. მაგრამ ეს დიდი და საინტერესო წამოწყება არ განხორციელდა უსახსრობის გამო, გარდა ამისა, დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერალიზმისტური ომი და მეცენატების პოვნაც შეუძლებელი გახდა.

კ. მარჯანიშვილი პირველად 1916 წელს მოგვევლინა კინორეჟისორად. მოსკოვის „თავისუფალი თეატრის“ ლიკვიდაციის შემდეგ კ. მარჯანიშვილი ერთი სეზონის (1914-1915) განმავლობაში დონის როსტოვი მოღვაწეობდა, სეზონის ბოლოს მოქმედ არმიაში წავიდა მოხალისედ და მხოლოდ 1916 წლის გაზაფხულზე დაუბრუნდა თეატრალურ საქმიანობას. იგი ამჟერად მთავარ რეჟისორად მიიწვიეს პეტროგრადში — „ნარიტონოვის, მოსკოვის, პოლიკაროვოს და სხვათა“ საოპერეტო თეატრში („პალას თეატრი“), სადაც 1917 წლის იანვრამდე დაყო. როგორც ჩანს, ამ შემთხვევით უსარგებლია რუსული სამამულო კინმატოგრაფიის პირველ ორგანიზატორს, ა. დრანკოვს და კ. მარჯანიშვილი პეტროგრადის კინოატელიეს მთავარ რეჟისორად მიუწვევია, რის შესახებაც პირველი ცნობა გამოქვეყნდა გაზეთში „პეტერბურსკი კინოტოკ“ (1916 წ. 22 VIII, № 230). «Одним кинематографическим обществом приглашен режиссер К. Марджанов для постановки 30 картин, к постановке которых он уже приступил в кинематографическом мире по с большим нетерпением ждут появления на экран марджановских постановок». ცნობაში არაა ნათქვამი, რომელმა კინოფირმამ მიიწვია კ. მარჯანიშვილი სამუშაოდ, მაგრამ პეტროგრადის პრესაში შემდეგ ფრჩხილები გახსნილია და 1916 წლის 2 ოქტომბერს ჟურნალში „ტეატრ ი ისუსტვო“ (№ 40, გვ. 180) ვითხოვლობთ: «Акционерным обществом А. О. Дронков и К<sup>0</sup> приглашен в качестве главного режиссера Петроградского ателье общества К. А. Марджанов». იგივე ჟურნალის სხვა ნომერი უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის: «Акционерное общество кинематографических фабрик А. О. Дронков и К<sup>0</sup> выдающийся в искусстве текущего сезона»: «Любовь всеильная» в постановке К. А. Марджанова» და იქვე დასახელებულია ფილმში მთავარი პერსონაჟები



შემსრულებელ მსახიობთა გვარებიც — ე. ტიმი, ო. საროკინა, ე. კრიუვერი, ა. ფეონა, ა. დოროშვინი.

ა. დრანკოვისა და კომპანიის მიერ კ. მარჯანიშვილის მიწვევა და ისიც ატელოის მთავარ რეჟისორად, ადვილად აასახსნელია. პირველმა მსოფლიო ომმა ყოველმხრივ შეუწყუხო ხელი რუსული სამამულო კინემატოგრაფიის აღმავლობას. იმპერიალისტურმა ომმა საგრძნობლად შეამცირა სახელმწიფო კინოფილმების იმპორტი, სრულიად აიკრძალა გერმანიის კინოპროდუქციის ჩვენება. ამ გარემოებაში დიდი კონკურენცია გააჩაღა რუსეთის კინომწიფეველთა შორის, თითოეული ფირმა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა მაყურებლის მისაზიდად. თუ გავითვალისწინებთ რაოდენ დიდი იყო კ. მარჯანიშვილის სახელი მოსკოვის სასმატრო თეატრში მოღვაწეობისა და „თავისუფალი თეატრის“ შემდეგ, ნათელი გახდება ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ა. დრანკოვი და მისი კომპანია კინოატელიეს სათავეში კ. მარჯანიშვილის ჩადგომას ანიჭებდა.

„ყოვლის შემდეგ სიყვარულის“ არც სცენარი და არც ფილმი შემონახული არ არის, რომ მის სიუჟეტზე ამ მხატვრულ ღონისძიებზე ვიმსჯელოთ. არც რეკლამაში გამოცხადებულ მსახიობთა გვარები შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება, თუნდაც ფილმის ჟანრზე მიხედვით, რადგან იმ წლებში ა. ფეონა ოპერეტის ცნობილი კომიკი იყო, ე. ტიმი („ალექსანდრინკა“) და ა. დოროშვინი (ნეჟლომინის თეატრი) — დრამატული როლების შემსრულებლები, ე. კრიუვერი კი — ბალერინა.

ა. დრანკოვისა და კომპანიის პეტროგრადის კინოატელიეებში კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის შესახებ კიდევ ერთი ცნობაა პეტროგრადის პრესაში, რასაც მთლიანად მოვიყვანო: «Неукротимый К. А. Марджанов, ярким метеором промчавшийся через все сферы сценического бытия, от первой драмы и пантомимы до оперетки, — теперь вступает в новую сферу.

Кинематография, соприкосновения с которой теперь не может избежать ни один художник, привлекала к себе и этого режиссера новатора.

Первой крупной постановкой К. А. Марджанова является большая историческая драма: «Дмитрий самозванец». Сценарий написан известным кино-драматургом, к участию в картине привлечены выдающиеся артистические силы.

Говорят на постановку даны неограниченные

средства, как мы знаем, иначе К. А. Марджанов ставить не может и поэтому надо полагать, картина будет интересной.

Но... все-таки нужно принять во внимание, что К. А. Марджанов в кинематографе человек новый.

Хотя Мейерхольд «Не посрамил земли русской» поставив «Дорiana Грея», но и в кинематографии не удержался.

Будем надеяться, что К. А. Марджанов как человек новый, даст что-нибудь новое»<sup>1</sup>.

კ. მარჯანიშვილის დადგმით ა. დრანკოვისა და კომპანიის მხატვრული ფილმი „თვითმარტყია დიმიტრი“ 1916-1917 წლებში ვერანზე არ გამოსულა და უნდა ვიფიქროთ, რომ კ. მარჯანიშვილის ფილმის გადაღება არ დაუსრულებია. შესაძლებელია, არც დაუწყია და ცნობა პრესაში წაადრევად იყო გამოქვეყნებული.

კ. მარჯანიშვილმა 1917 წლის 13 იანვარს, „ბალას თეატრის“ დირექციასთან თანხმობის შედეგად, მუშაობაზე უარი განაცხადა, ამავე თეატრის მსახიობებიდან დასი შეადგინა და 20 თებერვლიდან მოსკოვში დაიწყო გასტროლები, შემდეგ კი კიევის წყვია. 1917 წლის ზაფხულში კოტე პეტროგრადში დაბრუნდა და „ტროიკის თეატრს“ ჩაუდგა სათავეში, მალე 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოხდა, ა. დრანკოვის ფირმა სამუშაოდ სამხრეთ რუსეთში გადავიდა.

ასეთია, მოკლედ კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა რევოლუციამდელი რუსეთის კინემატოგრაფიაში.

## შ ე ნ ი შ ვ ი ა ი ი:

<sup>1</sup> ა. დუღაშვილი, „იეროვნული კინემატოგრაფიის პრობლემები“, 1933 წ. გვ. 34 (რუსულ ენაზე).

<sup>2</sup> კ. მარჯანიშვილი, „მემუარები“, 1967 წ. გვ. 93.

<sup>3</sup> ჯ. «Сине-фоно», 1913 г., № 19, стр. 18.

<sup>4</sup> С. Гинзбург, Кинематография дореволюционной России, 1963 г., стр. 311.

<sup>5</sup> «Одесские новости», 1912 г., 27/IV, № 8707.

<sup>6</sup> «Южная мысль», 1912 г., 26/IV, № 197.

<sup>7</sup> А. А. Ханжонков, Первые годы русской кинематографии, 1937 г., стр. 70.

<sup>8</sup> «Кулисы», 29. I. 1917 г., № 5.



# ხელთქენილი ცისკრთაქლის პოეზია

იური მელენტიევი

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, ბევრი ფერმწერი, მოქანდაკე და მუსიკოსი ცხოვრობს. მათ შორის ცისნიცი, რომელთაც ააღორძინეს და სახელი გაუთქვეს ქართულ ჭედურობას. თუ გსურთ გაიგოთ, სად ცხოვრობენ ეს ადამიანები, საკმარისია შეჩერდეთ ერთ-ერთი ჭიშკართან და გზოს სიღრმიდან უმაღ ჩაქუჩის წყვეტილ კაკუნს გაიგონებთ. თანამდ შეაღეთ კარი, ირაკლი ოჩიაური შემოგვეგებათ და შეიძლება ქართული ჭედური ხელოვნების კიდევ ერთი ნიმუშის დაბადების მომსწრე გახდეთ.

მეგობრებმა გამაფრთხილეს, რომ ირაკლი ოჩიაურის საუბარში ჩათრევა თითქმის შეუძლებელიაო. დასაწყისში ასეც მოხდა. სიტყვაძუწი იყო, რამდენადმე შეფიქრიანებული, ალბათ გადაღალა ექსკურსანტებთან. მხოლოდ მაშინ გამოცხდობდა, როდესაც ჭედურობის ახალი ტემპის, ლითონის ფირფიტის გამოწვის ხერხებზე ვკითხულობდი.

დამამახსოვრდა ერთი პასუხი: „მე არ მაწუხებს ჭედურობის სიმრავლე. ფერწერა არ გადაგვარებულია იმის გამო, რამე მას დაუფულა შრავალი ათასი ადამიანი. მათ შორის იყვნენ ოსტატები და დიდიანტები. პროფესიონალები და მოყვარულები.“

სამწუხარო სხვა რამეა — ჭედურობის გამოყენების ხასიათი, სპეციფიკის ხედვის აუცილებლობა. ყველგან არ შეიძლება გამოჰკიდოთ ჭედური ფირფიტა. ყველა ინტერიერშიც ვერ შეიტან კარგად გაკეთებულ ფერწერულ ნამუშევარს.“

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ძალზე შეიცვალა თბილისის გარეგნული სახე. ნათიყალას ცისნიცი-ლურ ხაზებს, მეტეხისა და სხვათა ძველებურ ნაგებობებს დადებდა ფიჯულტურის ინსტიტუტის, სასტუმრო „ივერიისა“ და ათობით ახალი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლების ცაში აჭრელი კომპლექსი. ახალი მშენებლობა ბუნებრივია სახეს უცვლის საქართველოს ძველქალას. ზოგჯერ ავსებს, ზოგჯერ კი ანგრევს მის დიდ სილუეტს. მხოლოდ რეტროგრადულ ბუღუღუნებს არ უხარიათ ახალი მშენებლობის გაქანება, ხასიათი და მიმართულება, მაგრამ ამ საქმის დიდ ნოვატორებსაც კი არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ გასული საუკუნეებისა და უახლოესი წლების არქიტექტურულ ამოცანებს.

მშენებლობის სწრაფი ტემპები, მისი ინდუსტრიალიზაცია მიედროდა დაკავშირებულ სტანდარტის, ტიპური ელემენტების გაგებასთან. მაგრამ განა ჩვენი წინაპრები ერიდებოდნენ ასეთ ვაგებას. განა აკურის, თლილი ქუების, მოსაპირკეთებელი ტუფის ანდა სმალტის ნატყების შერ-

წყით არ იბადებოდა საუკუნეების მანძილზე უკვდავი შედევრებიცა და უნიჭო მწილებებიც?

მართალია, თბილისში ადგილი ჰქონდა ცუდად ნაგებ ახალ მშენებლობებს, მაგრამ საბედნიეროდ, სხვი ხანმოკლე აღმოჩნდა და უკვალოდ გაქრა, როგორც ნავარჯიშოვი ატლეტისთვის მსუბუქი გაცივება.

ორმოცდაათიანი წლების შუახანებში ქართულ ჭედურობას მხოლოდ სამუშეუბო ექსპონატებად იცნობდნენ, არქაულ, მივიწყებულ ხელოვნებად აღიარებდნენ და ტყუბოდენენ მისი მშენებლები. დღეს კი ქართული ჭედურობა კანონიერად დამკვიდრდა თანამედროვე თბილისის ცხოვრებაში.

თემატური ჭედური პანოები, მცირე ზომის დეკორატიული ჩანართები ამშვენებენ არა მარტო საზოგადოებრივი დაწესებულებების ინტერიერებსა და საცხოვრებელი სახლების კედლებს, არამედ უკვე ქალაქის ქუჩების კი წარმოუდგენელია მძაფრად სტილიზებული, ანდა მკაცრი რეალისტური ჭედური ნაგებობის გარეშე. ადმინისტრაციული დაწესებულებების, მაღაზიების, კაფეების, სასტუმროების შრავალიცხოვანი პირები შესრულებულია სპილენძის, თითბრისა და ალუმინისაგან, რომლებიც თავისებურ კოლორიტს ქმნიან და შესანიშნავად ერწყმიან შენობათა არქიტექტურულ ანსამბლებს.

ირაკლი ოჩიაურის სახელი ჭეშმარიტად უპირველესია მათ შორის, ვინც ააღორძინა ქართული ჭედურობა, ვინც დაუტკბომდა უფლებება და ხსნის განახლებული ხელოვნების ახალ საიდუმლოებებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ახალი შენობა მიიღო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემლობამ. შენობა სკადა, გარეგნულად არაფრით არ გამოირჩევა სხვა ნაგებობებისაგან. მაგრამ ინტერიერი მსატყურისა და ჭედურობისათვის მიერ სანტრეფსოდ და სიყვარულით არის შესრულებული. ამ მხრივ იგი ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს. გამოიმეუბლობის დაკვეთით ირაკლი ოჩიაურმა და კობა გურულმა ჭედურობით უხვად შეამკეს შენობის ერთი სართული.

ჭედურობის ორიგინალური ოსტატის — კ. გურულის ხელწერა თამამად და მტკიცად. მან შექმნა თობი დიდი ზომის რელიეფი — ორ-ორი ვრცელი დარბაზის გვერდით კედლებზე. ესაა პალესტინაში აღმოჩენილი რუსთაველის პორტრეტის მოტივზე შექმნილი გამოსახულება. მეორე მხრეც საუკუნის ოქრომჭედლების ბეჭენ და ბეჭე ოპიზარების თამარ მეფე, რელიეფი მადლია, მანერა დეკორატიული.

შენიშნის გრძელი, ყრუ კედლის - გასწვრივ გაშლილია ირავლი ორიაურის თორმეტი ორ-ორმეტრიანი პანო.

— რთული ამოცანა მქონდა გადასაწყვეტი, — გვითხრა ხელოვანმა, — უნდა შემიქმნა ქართული კულტურისა და ისტორიის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, რომელთა სახელები ფართლდა ცნობილი, მაგრამ მათი უნარ-აღვლესობის გამოსახულებები ან სრულიად უცნობია, ან საუკუნეთა მანძილზე დაკარგულა. გადაწყვეტი, ლითონში გადმოშვება ძლიერი ნებისყოფის, ნიჭიერ ადამიანთა ხასიათები. მეჩვენებინა, რისთვის სცემდა პატრიხ მათ მრავალი თაობა.

უნდა შემიწავალა მის ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თითოეული მათგანი. იმდროინდელი ფრესკების, წიგნის მინიატურებისა და ჭედური ნამუშევრების საშუალებით გავცანი შუასაუკუნეების ქართული ჩაცმულობის ინდივიდუალობას.

ფიქრის და ძიების შედეგად შევეჩრდი მთლიან ფიგურათა დაბალი რელიეფით გამოსახვას. როგორც ხედავთ, მოდა ყოველ საუკუნეში იცვლებოდა. მხოლოდ არა ისე ინტენსიურად, როგორც ჩვენს საუკუნეში, — ხუმრობს ირავლი, — ჩვენი წინაპრების ძირითადი ჩაცმულობა იყო ტუნიკა ან ქიტონი.

აქ არის ქართული მხატვრობის პრობის ფუძემდებლის იაკობ ცურტაველის მუწასარე, მაგრამ ბრძნული ხეი. მისი ხელი მინათრულია თავისივე ნაწარმოების გვირგვინი, შუშანის სახისაზე. სახისა და ტანსაცმლის დახვეწილი ხაზები შესანიშნავად ერწყმიან პანის მარცხენა დაბალ კუთხეში მოთავსებულ ძველქართული ასობების მოხაზულობას. ხელოვანი დიდი ოსტატობით აღწევს გამოხატულობას, სულ შემთხვევაში კი — პორტრეტულ ინდივიდუალობას.

შოამაგუდავია ფილოსოფოსისა და მოაზროვნის, იოანე პეტრიწის იერსახე, რომელს მონაწილეობით აიგო გელათის აკადემია და რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა მეცნიერების ისტორიაში.

აქვეა მამაცი მებრძოლის, მეცნიერისა და მეცენატის მეფე დავითის იერსახე, რომელსაც ხალხმა აღმასრულებელი უწოდა. ამის მინანიშნებლად ხელოვანმა დავითის მხრეთან გუმბათიანი ტარძის სილუეტი აღმტოდა.

თავისებური, ორიგინალური და დიდ შოთას გამოსახულება, რომელმაც მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა. საყურადღებოა ქართველი მეფის, ისტორიკოსის, პოეტის, საქართველოში ბეჭდვითი საქმის დამფუძნებლის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემლისა და რუსეთ-საქართველოს შტაკეც კავშირისათვის აქტიური მებრძოლის ანატაზე შექმნის პორტრეტი.

ფართობი დიდი რომ ყოფილიყო, პანოს განლაგება თავისუფალი, — კომპოზიცია მთლიანად მოიგებდა. მაგრამ მასანიშნულება — გამომცემლებმა ჩვენ და ავტორი დაგვაბეზვიდეს იმით, რომ ჭედურობისთვის სურთ შექმნან ინტერიერის ზედა განათება, რათა ნათლად გამოჩნდეს სეროთულ-ლი ნამუშევრის ღირსება. ახლა ფანჯრებიდან შემოსული მკვეთრი შუქი თითქოსდა ფარავს ისედაც დაბალ რელიეფს.

შემდეგ ჩვენ დაფათავლიერეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ხილის თათვექე მითავსებულ საგამოფენის დარბაზი. ირავლის არც თუ ხალისიანად შეფეხავდა დარბაზში და თან გვიხსნიდა, რომ ჭედურობა არ ასრულებს თავის ფუნქციებს, იგი უფრო მეტად ფარავს დარბაზის კონსტრუქციის უარყოფით მხარეებს.

ალბათ მხატვარი მართალია, როდესაც იჩენს მომთხზენლობას თავისი თავისა და დარბაზის საერთო ინტერიერის გადაწყვეტაში მინათრ.

რვა წლის წინ არქიტექტორებმა რ. კიკნაძემ და შ. ყაღალაშვილმა შექმნეს თბილისის ქორწინების სახლის პროექტი. მათ იცოდნენ, რომ ჭედურობით შეიძლებოდა შექმნილი სადღესასწაულო განწყობილების შექმნა. მის გარეშე საქორწინო რიტუალი უფერული, ულახათო იქნებოდა, ამიტომ ირავლი ორიაურის მიმართეს.

დაწყებითაობის ძნელი ყოფილივე, ამ შემთხვევაში მათ ამწვიდებენ: „დასაწყისისათვის არა უწყავს“. ეს არა აკმაყოფილებს ჭეშმარიტ მხატვარს. ირავლი შეუნდებელი ეძებდა გადაწყვეტას, ჩანაფიქრის უსიარებად მძას — გოგი ორიაურს, რომელსაც როგორც მოქანდაკეს, დასავლ-ბული ჰქონდა ქორწინების სახლის გარეშე გაფორმება.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ თავი საქორწინო პროექტის წრეში, მინარულ ახალგაზრდებთან, განწყობილებას აძლიერებს გ. ორიაურის რელიეფი, რომელიც მინარულად ეგებება სტუმრებს. მოქანდაკის პერსონაჟები ღრმად სიმბოლური, კეთილი და ნათელია, აქ არის ძლიერი აგებულების მეოხრანი და ხაზად მომზირანი ქალი, რომელთაც აკავშირებს პატარა ბიჭუნა.

ქორწინების სახლის პირველ დარბაზში მოყოლილია მოყვიალო კედელს სამი ჭედური ნაკვეთი ამწვენებს: „ახალგაზრდების დალოცვა“, „შემოდგომა, რთველი“ და „ოდნავ მომზირებით, მოწითალო სპილენძის დიდი რელიეფი — „ბედნიერი ოჯახი“.

პირველი ორი ფორფიტის ზედაპირი მთლიანად დაფარულია თავების სილუეტების რიტმული განყოფიებით. მათ თითქმის ადგილი არ ყოფნის საციკელურად განსაზღვრულ ჭედურ ფორფიტაზე. ეს დამაჯერებლობითა და ემოციურობით შესრულებული ნამუშევარი მაყურებელს გარკვეული სიუჟეტის აღქმის საშუალებას აღწევს.

ხეფე-დელიფილი მოთავარი დარბაზისაკენ მიემართება, ნათელი შუქის, თვალისმომჭრელი თეთრი მარმარილოს წიბოვანი კედლისა და საქორწინო გვირგვინით მორთული ვაიისა და ქალიშვილის ქვედის თავების შუქ პრინციპის-ფერთან შესაგება სადღესასწაულო განწყობილებას ქმნის.

განა ყოფილივე ეს არქიტექტორთა, მოქანდაკეთა და ჭედურსახისა დიდი გამაზრებება არ არის?

ირავლი ორიაური, უპირველეს ყოვლისა, მოქანდაკეა. ამას მის სახელოსნოში მოხვედრისთანავე იგრძნობთ. კარბეთან, დიდ დაზგაზე, ფაქიზად შესვეული დაწყებული სამუშაოა. სადარავ გულმოდგინედ არის გამოყოფილი თაბაშირში შესრულებული კომპოზიცია — დაძაბულობისაკენ ოდნავ ჩამოხულებული ცხენი და თითქმის გადმოფარდნილი მხედარი, ხელში გადამტკრეული ხმლი რომ უპყრია. შემდეგ შეიქცევა, რომ ეს ქანდაკება თბილისში, სამას აკრაველთა მოედანზე, უნდა დაიდგას.

ცხენი მეფე, სადღაც მენახა აშავარი დაუდგვარი, მკვირივი ცხენები, ოდნავ მოკლე, ძლიერი კისრით. რა თქმა უნდა, მინახავს — ირავლი ორიაურის ჭედურ ფორწე, რომელიც ავტორმა სსრ კავშირის პავილიონისათვის შექმნა ოსაკაში მოწყობილ მსოფლიო გამოფენის დასამწვე-ნებლად. სპილენძის უსარბაზარ ფორფიტაზე მსუბუქად, გრავიურად მონავარდობს მთელი რგმა, ოქროსფერი მისი სხივები ირაველს მათი დაკუნთული სხეულები.

მათალო მოთარე შემოდგმულ სკულპტურულ ნამუშევართა შორის თვალს უნებურად მოგტაცებთ მინაგანი დრამატუზმითა და სიმბძნით აღასეც მათს მგისნის — ვაგა-ფეხველას იერსახე. სწორედ ასეთ ვაგას შექმულ სიტყვის დაკვეთება, სწორედ ასეთ პოეტს შეეძლო ნისლი მთვის ფიქრებლად მოეხალათა.

ამ სახლისთვის უცხო არ არის პოეზია. მას გრძნობ, კითხულობ ლითონის ფორფიტებზე. ჭეშმარიტი ქანდაკება, ლითონზე ნიჭიერად შესრულებული სურვეტი პოეზიას ენათსავება. ალბათ ისინი უერთმანებლოდ ვერ იარსებებენ.



თითბრის, სპილენძის, ალუმინის მოყვარული ფირფიტები ამკობენ ოთახის, დერეფნისა და კბილების კედლებს, მაგრამ სასტუმრო ოთახში ნანახმა მოლოდინს გადავარბა. კედლები აქ ექსტრემალურად მოწყობილია, მგონა ზღაპრული სილამაზის სამყაროში ბრუნვადი, სადაც კადოქრობით თავმოყრილია უფაღვარევი სინდონი და არ მჯეროდა, რომ ამ შევნიშვნების შემქმნელი სათუთი, თავაზიანი სახლის პატრონი ჩემს გვერდით იდგა.

თავგანწირულ ორთაბრძოლაში რკალდა წაწინავე ერთ-მანეთს ხვეწარევი ვაჭარები და ვეფხვი. ეს მთელივე ცნობილი ხალხური თქმულების მხოლოდ ილუსტრაცია კი არ არის, არამედ მისი არსი და სული, ლითონში ამოღებული ვაჭარების ძიძვი. პოეზია აქ უშუალოდ მონაწილეობს, ვინაიდან ფონად ამ ამბავზე თქმული ქართული ლექსია ამოჭედილი:

„შვარდო ვეფხვსა ნაწოლსა,  
დროს იყვენენ შუალდობისანი,  
ვეფხვი რომ წამომოფრინდა,  
თვალნი მარხისხა ხოისანი“...

ირგვლივ უხვად იფრქვევა მასფრე ბრძოლის ყვეთელი ცეცხლი, ნაკადად მომდინარე ქუდური სტროფები მოვიტოვებენ, თუ როგორ დახიხიყენ მოწინააღმდეგეები, როგორ დასტრობის თავის შვილს მთელი დედა, უსაზღვროა მისი მწყურება. მაგრამ იგი მიდის ვეფხვის დედასთან, რათა საშიშარი უთხარას:

„იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა სტროხისა,  
წაიფიღ, მეც იქ მივიღე,  
სამძიმარ უთხრა ქორისა“...

ამ დიდებულ ნაწარმოებში გვერდით ორიგინალური, მაღალმხატვრული ქმნილება მთავსებული, — იგი მოუთხოვრებს მხანგელს ძველ ქართულ ლექსებს სხვისი მიწი-სებზე, რომელსაც ბუნების ენა ესმოდა, მაგრამ სასიკვდილოდ იყო განწირული. მეტი თითბრის ფირფიტაზე პოეტური ტექსტი არ არის აღბეჭდილი, მაგრამ იგი იკითხება გმირის მომავალე პოზაში, ქარიშხლისაგან გადათვლილ ბალახებში:

„ხოვასი მიწი კვდებოდა,  
მზე წითლდებოდა, ცხრანვდა,  
ცა კებდა, მიწა გრჯანვდა,  
სული გვიანა მხდებოდა,  
ჩამოდიოდა მასკვლავი,  
მთავრცე უაულოდ დგებოდა“.

პოეზია და პლასტიკა იგრძობა ქალისადმი მიძღვნილ ქუდურ ფირფიტებში. აი ცნობილი „დედა“ — ასულმა გაიღვიძა, ბედნიერი დედა. ქალის შიშველი სხეული უმანკობას, სიცოცხლეს გამოხატავს.

ირაკლი ოჩიაურმა საუბარში თქვა: „მთელი სილამაზე და პლასტიკა თავმოყრილია ქალში, მის სიარულში, მოძრაობაში, უპირველეს ყოვლისა, ხელების მოძრაობაში, მათში ქალისა და დედის სინაზია“. ყოველივე ეს უსტატადაა გამოსატყობი მის შემოქმედებაში და განსაკუთრებით კი ნამუშევრებში: „წყარო“, „შენ ხარ ვინახი“, „მეფა“, „მოცმეკავე ქალი“, „დედობა“ და სხვ.

დღეს პოპულარული ქართული ცეკვა „სამაია“ ერთხანს დაიწყებული იყო და ამავე სახელწოდების ქართული ხალხური სიმღერის ტექსტზე აღადგინეს. ახლა აღარ

დაივიწყებენ ძველ ცეკვას. მას ინახავს არა მარტო „სიმღერა და ცეკვა“, არამედ ქართველ ქუდურების ოსტატთა ნახელავიც. მეუძღვებელი არ მოგზიბოლით სამამასკვილის ცეკვას, რომელიც უსიცილო, გაყინული ხარკონის ტერაფიტაზე უსაზღვრო ფანტაზიითა და არანაშენებელი მხატვრული ხედვით გამოკვეთა ირაკლი ოჩიაურმა.

„სამაია სამთავანა — რა ტურფა რამ ხარო;  
სამასი თავი მიფარდა — რა ტურფა რამ ხარო;  
ღოსო, ღოსო, ქარი ქარისი — ლისნი დალაღლო;  
შვარდენი ფრახასა შღისო — ლისნი დალაღლო;  
არიგებულ, ჩარიგებულ — რა ტურფა რამ ხარო,  
დაუღლოდი, დაჰყვოდი — რა ტურფა რამ ხარო“.

ვერ დაივიწყებ ქუდურ პოემას „ცეკვა — მანდლითი“. მებრძახვერისანი თითბრის ფირფიტა ოსტატის ხელში საოცრებად იქცა, თუმცა თვით მხატვარი გაურბის ფრთაზედმეტ თამაშს ამ ნამუშევარში ცდამ სძლია თეორიას. შესაძლებელია, ჩანაფიქრის ხვეწარული საცეკვაო მოტივე-ბი დაუღო საფუძვლად. ლიონის ოქროსფერმა ფონმა, გამომწვევმა წიფელმა ფერმა, აფრიალებულმა მანდილმა, ქალის ტანის, ხელ-ფეხის დაძაბულმა დინამიკამ შექმნა ცეკვაზე უფრო მინიშნელოვანი. ეს უფრო მოწოდებაა ბრძოლისაგან, გმირობისაგან.

გარეშე მებრთა, შემოსეულ ურდოთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა ხალხში მამაცობის სიმბოლოების ბადებდა, ხალხი სამშობლოს დამცველებს ღმერთებს უტოლებდა, შემდეგი კი ღმერთების სახელს კონკრეტულ გმირებს არქმედებენ. მაკალითად, თამარ მეფის შვილს, ლაშა-გიორგის წმინდა გიორგის სახით წარმოიდგენდნენ.

აი როგორ ახასიათებს რიმსკი-კორსაკოვმა მაჟორის ტონალობას ზაბელსადმი<sup>9</sup> გაგზავნილ წერილში: «Эта тональность молодости и весны — и весны не ранней с ледком и лужицами, а весны — когда цветет сирень и все луга усыпаны цветами, тональность утренней зари, когда не чуть брезжит свет, а уже весь восток пурпуровый и золотой».

ბგერას არა მარტო ფერის ხასიათი აქვს, მას თერმული ხასიათაც კი ანიჭებენ. მაგ., Cis-moll და Des-dur ცვლის ერთმანეთს „ვეგეტების“ სცენაში ოპერა-ბალტიდიან „მლადა“, რადგან იწვევს სითბოს შვებინებას. ავტორის გამოყენებული აქვს ამ ტონალობების ცვლა სითბოს შვებინების მიზნით.

მ. ვ. იასტრბეცოვის მიხედვით (1918)<sup>10</sup>, რიმსკი-კორსაკოვის განსაკუთრებით თავისებურება მდგომარეობს არა მუსიკალური და მხედველობითი სახეების ასეთი ემოციური კავშირების ფაქტში, არამედ მხოლოდ იმაში, რომ მას გააჩნდა განსაკუთრებულად მკვეთრად გამოხატული ტონალობის შვებინება და ნათელი მხედველობითი, კერძოდ, ფერადი სახეები. სწორედ აქედან ჩაყვარა

საფუძველი ისეთ თავისებურ მოვლენას, როგორც არის „ფერადი სმენა“.

1914 წელს ჯგუფური ექსპერიმენტში დაწვინდა<sup>11</sup>, რომ G-moll ტონალობა წარმოიადგინება რუს ფერში და არ ემთხვევა მუსიკალური ნაწარმოებით გამოწვეულ ფერად სახეებს. ამ ავტორებმა ღრმად მისაზრებულ ექსპერიმენტებში გვიჩვენეს ფერის ბგერაში სამკვარი გაღაბის შესაძლებლობა სინესთეზიების ფენომენში:

1. ფერი შეიძლება გვესახებოდეს როგორც ბგერის მგრძობლობის ატრიბუტი და მან არ გამოიწვიოს მხედველობითი სახეები.

2. ფერი შეიძლება იყოს ბგერის განცდის ანალოგი.

3. ფერი შეიძლება იყოს მოცემული, როგორც მხედველობითი გამოხატულება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივად ავსებს მხედველობის ველს. ბოლო ორ დებულებას ავტორები უახლოვებენ „სიმბოლურ“ ასოციაციებს.

განარჩევნ ერთდროულ მხედველობით-სმენით სახეებს, რომლებიც გამოწვეულია მხოლოდ ბგერით (ფოტიზმი) და სმენით სახეებს, რომლებიც გამოწვეულია მხედველობით ან სხვაგვარი გაღიზიანებით (ფონიზმი); სახეები, რომლებიც გამოწვეულია ცალკეული ბგერით (ანალოგიური მითოსია) და ბგერათა შერწყმით (სინესტეკური მითოსია). ამ ორ უკანასკნელს ეკუთვნის „მეტყველების სინთსისი“ შემთხვევები, ახუ წარმოდგენები სიტყვების, რიცხვების, მეტყველების ბგერების კავშირით ფერად ტონებთან.

ზოგერთი უცხოელი ფსიქოლოგი (H. Pirogner, 1954<sup>12</sup>; P. Sholes, 1956<sup>13</sup>; A. Wellek, 1963<sup>14</sup>) სინოპტიკურ სახეებს შთაბეჭდილის მიხედვით მიკუთვნებს მგრძობის და აღქმის სახეებს და ამასთანავე უარყოფს ერთდროული მხედველობითი და ბგერითი გაღიზიანების სინოპტიკას.

მოვლენის ასეთი ფსიქოლოგიური გაგება ვერ ხსნის მრავალ საკითხს.

სინოპტიკა ატარებს მკვეთრად გამობატულ ინდივიდუალურ ხასიათს და ამგვარად დაუდგენელია ცალკეული მხედველობითი და სმენითი სახეების კავშირების საერთო კანონზომიერებაში. ამ საკითხის შესწავლილათვის საჭიროა სერიოზული ექსპერიმენტული გამოკვლევების ჩატარება.

მუსიკის ფიზიოლოგიური კავშირი და კერძოდ მ. ვ. იასტრბეცოვის (მუსიკის) არის სრულყოფილი გაგება მოითხოვს ღრმა შესწავლას. ამ მხრივ ძიება უნდა წარიმართოს უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის მიმდებარე კვლევის გზით, რამაც უნდა ახსნას ადამიანის მუსიკალური აზროვნების შინაარსი.

### შენიშვნები:

<sup>1</sup> А. Ф. Лосев, Античная музыкальная эстетика, М., 1960, стр. 40, 49, 52, 53, 218.

<sup>2</sup> Ades R. W. (A secondary acoustic ared in the central cortex of the cat. «I. of Neurophysiol.», G., 1, 59-63.

<sup>3</sup> Tunturi A. R. (Statistical properties of near threshold responses to brief sounds in the MES auditory cortex. «Amer. J. Physiol.», 196, 6, p. 1168-1174.

<sup>4</sup> И. М. Сеченов, Избранные прозв., т. 1, 1956, стр. 87.

<sup>5</sup> И. П. Павлов, 20-летний опыт, 1951, стр. 84.

<sup>6</sup> М. Блывина, Учение И. П. Павлова и некоторые задачи советского музыковедения, «Советская музыка», 1951, № 8, стр. 56-59.

<sup>7</sup> И. М. Догель, Влияние музыки и цветного спектра на нервную систему человека и животных. Невролог, вестник, 1889, 6, 1, 148-171.

<sup>8</sup> В. В. Ястребцов, О цветном звукоощерцении Римского-Корсакова, Русская музыкальная газета, 1918, № 39-40.

<sup>9</sup> ივე, ტაბულა.

<sup>10</sup> ნადეჟდა ივანეს ასული ზაბელა (1868-1913) — რუსი მომღერალი ქალი, კოლორატურული სოპრანო.

<sup>11</sup> В. В. Ястребцов, О цветном звукоощерцении Римского-Корсакова, Русская музыкальная газета, 1918, № 39-40; там же составленная таблица.

<sup>12</sup> Myers C. S. Valentine C. W. A Study of the individual differences in attitude towards tones. Breit. J. psych. 1914, 7, 68-111.

<sup>13</sup> Pfrogner H. Music Geschuchte ihrer Deutung. München, 1954. K. Freiburg. Мелодия, М.

<sup>14</sup> Sholes P. A. In introduction to music. London, 1956, Faber, Гапто-ния.

<sup>15</sup> Wellek A. Musikpsychologie und Musikaesthetic. Frankfurt, 1963. Akad. Verlag.



თეატრის დირექტორი გერეასი ცხადაძე

შთავარი რეჟისორი სიმონ ვანძაძე

# ქუთაისის თოჯინების თეატრის 25 წლისთავი

ლევან შენგელია

„არ უნდა გვივირდებ, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისი დიდი ადამიანისა“.

0. შამხაშვიძე

პარბა ხნის წინ ერთ-ერთი ჟურნალის ყდაზე ასეთი სურათი ვნახე — ქვაფენილთან ჩაცუცქეულიყთ მოთხუნული, პერანგამოხეული ბიჭუნა და სილაზე ჩხირით ამთავრებდა ბავშური გულუბრყვილობით წარმოდგენილი ყვავილის მოხაზვას. სურათის ფონად მხატვარის მთელს სიბრტყეზე შავი, ერთმანეთზე მიჯრული, თითქმის მოძრავი ჩქმები დაეხატა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი-ქრებდით — ჩქმები შემობრუნდებინა და ბიჭუნასაც და სილის ყვავი-

ლსაც გათუღავებო... ეს თემა მაშინაც საკმაოდ ცნობილი იყო და არ ვიცი, ასე რატომ ამალეღვა. ალბათ იმიტომ, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნეა პატარებთან ვმეგობრობ ჩემი პროფესიის მეშვეობით.

მოგვიანებით, როცა თოჯინების თეატრების მუშაკთა საერთაშორისო შეხვედრაზე სოფიის პიონერთა სასახლს თოჯინების თეატრის ხელმძღვანელის გიორგი კოსტოვის გამოსვლა მოვისმინე, ერთხელ კიდევ თვალწინ დამიდგა ეს უპრეტენზიო სურათი.

მაშინ გიორგი კოსტოვმა თქვა: „ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ მიზანი ერთი გვაქვს — ბავშვებს ვასწავლით სამშობლოს, თავისი ხალხისა და ადამიანის სიყვარულს, ვასწავლით, სწამდეთ ყველა ერთგულების კეთილსინდისიერ ადამი-

ანთა მეგობრობის ძალა. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს. დაე, ნუ აფეთქებულ იყვნენ თქისაგან გამოწვეული ხახპრით ჩვენი თეატრეისა თეათები, ნუ-რასაკროს გაესრისოთ დიდი სიყვარულითა და ზრუნვით დამზადებული ჩვენი თოჯინები ჯარსკაცთა ხალხით დაჭედვილ ჩქმებს. სიმართლე მშვიდობისათვის ბრძოლაშია, ამიტომ ძალაც ჩვენს მხარეზეა. პაწაწინა თოჯინებს ძალუძთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ბრძოლაში.

და აი, ნახავთ, ისინი მიაღწევენ შედეგს“.

მართლაც, თოჯინების ყველა თეატრს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ბავშვის სულიერი ფორმირება, მისი სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბება, მასში შეგნებულობა, სუფთა და სპეტაკი გრძობების ჩამოქობა, სწავლისა და შრომის სიყვარულის ჩანერგვა, მისი სულიერი სამყაროს გამდიდრება. აზროვნების სფეროს გაფართოება...

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც სწორედ ამ დაბინძურებით იღვწის ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი — ფორმითა და მასშტაბებით პატარა, მაგრამ დიდი საქმის მსახური.

ისტორიისთვის ოცდახუთი წელი მცირე მონაკვეთია. პატარა თეატრისათვის კი — ისტორიაა და საკმაოდ საინტერესოც:

1946 წლის აგვისტოს ბოლოს ქალაქის ხელმძღვანელობამ ფრიად სასიამოვნო შინაარსის დეპუტა მიიღო მოსკოვიდან — საკავშირო ხელოვნების სამმართველოს მამინდელი უფროსის სრამჩენკოს ბრძანებით ქუთაისში უნდა შექმნილიყო თოჯინების თეატრი.

გამოიყო შენობა. შეიკრიბნენ ენთუსიასტები.

თოჯინების თეატრის დირექტორობა საზოგადოებრივ საწყისებზე იყისრა ლ. მქსნიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მამინდელმა ხელმძღვანელმა დოდო ანთაქემ, მთავარი რეჟისორად კი დანიშნა თოჯინების სკოლისჩამდგმელი მსახიობი და რეჟისორი სერგო ცვაგარაშვილი.

დასში იმთავითვე ჩაირიცხნენ ეთერ და რაფიელ თოდუბი, მერისანიკოძე, ქეთევან მესხი, შურა ჭავჭავაძე, რუთი თავიღიღმევილი და ამ სტრუქტურების ატორი, მხატვარი ვლადიმერ კიკვიძე, მისწავლაც ვ-

ლერიან მიზანდარი, მუსიკოსები — თანარ ზედალა (ვიოლინო), ქეთევან რიანანცევა (ფორტეპიანო), გიორგი ჩილინგარაშვილი (ვიოლონო) და გიორგი სალაღიშვილი (კლარნეტი) დიდი ინტერესით ჩაებნენ საერთო ფერხულში.

ყოველ ახალ საქმეს დაბრკოლებები ახლავს. ჩვენს წინაშეც ბევრი პრობლემა დაისვა. უპირველესად უნდა დაგვეძლია თოჯინების ურთიერთობის ანბანი, უნდა აგვემოქმედებინა, გაგვეცოცხლებინა თოჯინა იმდენად, რომ მას საკმაოდ პრეტენზიული და მოთხოვნი მსუქრებივით — ანაშვი დავებინა და ახალ მისთვის უჩვეულო სამყაროში შევყვანა.

დასის უზრავლესობა დიპლუმატებისაგან შედგებოდა. მისორბობის თეატრში მიღებული გვერდნა გარკვეული გამოცდილება, მაგრამ თოჯინა? თუკი ჭაჭანისი გარდა, რომელსაც თბილისის თოჯინების ქართულ თეატრში მსახიობად ვმუშავებ, არაფერ ვიყავით ამ რთული ხელოვნების მნახველებს კი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვობისას უხო-უხო მთხეტალე მეთოჯინე ჭი-თავს, რომელსაც მინიატურული თეატრი დაჰქონდა და არანის თანხლებით პატრიკულას ამოქმედებდა. ისიც კი ბუნდოვნად გაგაოხდებოდა.

შანიც შევუღლებით მუშაობის. დასადგმელად ავირჩიეთ ა. ბილაშვილის მიერ ვაღმობართულეული კუპრინის „თეთრი ფინია“. ამით დაიწყო თეატრის ისტორია.

რეჟისორი ს. ცაგარეიშვილი ენერგიულად მოეცადა საქმეს. სისკამატურად გავსაზიარებოდა საპედიოკურთავისებურებებზე, გეაქნობდა თოჯინების ამოქმედების კანონებს. ჩვენც ვცდილობდით პრაქტიკული გამოუცდილობა ნაწილობრივ თეორიულ ცოდნით შეგვეცოცხლა. პარაოვებიდით და ერთმანეთს ვუზიარებდით თოჯინებისა და თოჯინების თეატრის ჭრადიციობთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ამბებს.

1946 წლის 31 დეკემბერი. ამ დღეს გაიხსნა პირველი ჭოთაისის თოჯინების თეატრის ფარდა. პირველად შეცხდით უჩვეულო მაყურებელს, პირველად ვივარძებთ მათი გულდა სიცილითა და გულწრფელი ტანით გამოვლენილი სიხარული... იმ დღეს ბევრი რამ მოხდა საინტერესო, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ყვე-

ლაფერი საინტერესოდ გვეჩვენებოდა და რაც მთავარია პირველი გამარჯვება.

„თეთრი ფინიას“ პარალელურად და ჯალაღანის „ფისანას“ ვამზადებდით. ეს თეატრის მთავარ საქმეტიკალი უნდა ყოფილიყო. პირველმა გამარჯვებამ ფრთები შეგვასხა და უფრო მეტი ინტერესითა და მონდობით მოგვიადრეო საქმეს. ამ პიესაზე რეჟისორის ასისტენტად დაიწინშენ და მუსიკალური ადგილები რეპეტიციები მთლიანად შე დამევალი.

„ფისუნია“ მშვენიერი თოჯინური ოპერეტა გამოვიდა, იგი დღესაც არის რეპერტუარში და თეატრთან ერთად ზეიმობს არსებობის ოცდახუთი წლისთავს.

თეატრში თავიდანვე შეიქმნა ტრადიცია, რომ პატარებისათვის, რამდენადაც შეიძლებოდა, მუსიკალურად სრულყოფილი პიესები მიგვეწოდებინა, რაც სანახაობით მხარესთან ერთად უფრო ადვილად მიიტანდა ბავშვთან ძირითად სათქმელს, პიესის იდეას, აღმზრდელბობით მომენტებს.

გულსატყვენად დაგვირჩა ის ფაქტი, რომ ჩვენთან, დასაწყისიდანვე არსებულ ინსტრუმენტული კვარტეტი, რომელმაც ძალზე მოკლე ხანში დაამტკიცე თავისი არსებობის აუცილებ-

ლობა, მცირე ხანს შერჩა თეატრს და ახლა სპექტაკლები მხოლოდ ფორტეპიანოს ან აკორდიონის თანხლებით მიდის. აუცილებლად მიგვანია, თეატრს ჰყავდეს თუნდაც მუსიკალური ჯგუფი, რისი შესაძლებლობაც არის.

ძნელია ჩვენი თეატრის ყველა წარმოდგენის ჩამოთვლა, რომელთა გმირებსაც იმდროინდელი ნორჩი მაყურებელი სამუდამად დამეგობრებია, მაგრამ სერგო ცაგარეიშვილის დადგმები „კურდღელი“, „კალმაღანია“, „სათავური“, „ორი ქოსატყუილა“, „კაცია-ადამიანი?“, „ჩუკი და გეგი“ უდავოდ შემოქმედებით გამარჯვებულ უნდა ჩათვალოს.

მოგვიანებით, როცა თეატრმა საკუთარი სახე მიიღო, მისი მუშაკები, გამოვლილების გაზიარების მიზნით მიაგვლინეთ მოსკოვში, თოჯინების ცენტრალურ თეატრში. ეს უთუოდ კარგი პრაქტიკა იყო.

ერთ-ერთი ასეთი მივლინების დროს ჩვენი რეჟისორი შეხვდა თოჯინების ცენტრალური თეატრის ხელმძღვანელს, საყვედურთაოდ ცნობილ სერგეი ოზანცოვს. იგი დინტერესდა ახალგაზრდა თეატრის საქმიანობით და გაესაუბრა ჩვენს წარმომადგენელს. საუბრის ბოლოს ოზანცოვმა სხვათა შორის იკითხა:

— კი მაგრამ, გეთაყვა, რამდენი

მსახიობი მ. სანიკიძე

მსახიობი რ. თოდუა







მსახიობი ე. თოდუა

ერთ თოჯინას ათამდე მსახიობი ამოქმედებს... ჩვენი თეატრის მასშტაბები მყარია, მაგრამ სასიამოვნო ის არის, რომ იგი ახერხებს მაყურებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

1951 წლის ბოლოს, რეჟისორ ს. ცაგარეიშვილის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, თეატრის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა.

„ფრიად პასუხსაგებია და ფაქიზ საქმეს ჰქვია ზელს, — მითხრა მამონ პატივექიმულმა დოლო ანთაძემ, — თეატრს ყოველწუთიერი ზრუნა და ყურადღება უნდა, თავი არ შეირცხვინო, ძალ-ღონე არ დაწოგო, პირველი წუთიდანვე მოჰქვია ხელი საქმეს და როცა იგი შენი ღვიძლი საქმე გახდება, თავისთავად მოვა შედეგოც და სიყვარულიც“.

ყოველწლიურად იზრდებოდა და შემოქმედებითად ვაგვაცდებოდა ჩვენი თეატრის კოლექტივი, იზრდებოდა მისი ავტორიტეტი, იგი პოპულარული ხდებოდა.

მსახიობთა დასს დრამატული თეატრიდან შეემატნენ პ. გაბუნია, ო. კობიძე, ნ. ქავია და ა. ყურაშვილი. ცოტა მოვიანებინე მთვინა ნიჭიერი ახალგაზრდობა: თ. ჭელიძე, ლ. ხინგავა, შ. ფხაკაძე, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, თოჯინების მექანიზატორი მ. ჩიქვილიძე... ერთი სიტყვით, ნაცვლად ოცდაერთისა თეატრს ორმოცდათერთმეტი თანამშრომელი ჰყავდა. შეიქმნა ორი შემოქმედებითი ჯგუფი, რამაც საწარმოო-ფინანსური გვემების შესრულება შედარებით გააიოლა.

თოჯინების თეატრი დასალოტი საჭრთველოს რაიონების ხშირი სტუმარი გახდა. ყველგან პატარაქმობა და სიხარულით გვევადებოდნენ.

საქმე სრული სვლით წავიდა.

ჩვენი შემოქმედების ყველაზე პირუთენელი შემფასებლები ბავშვები იყვნენ. რამდენჯერქნე მოზრდილთათვისაც ვცადეთ პიესების დადგმა.

თეატრის სახე მისი რეპერტუარია. შესანიშნავად ამბობს სტანისლავსკი: „არასდროს დაივიწყეთ, რომ თეატრი ცოცხლობს არა ცეცხლის ანარეკლით, დეკორაციებისა და კოსტუმების ბრწყინვალეობით, ეფექტური მიზანსცენებით, არამედ დრამატურების იდეებით“.

ჩვენი თეატრისათვის არასოდეს ყოფილა პრობლემა კარგი საბავშვო პიესა. გარდა იმისა, რომ საბჭოთა საბავშვო ორიგინალური დრამატურგთა საკომოდ მდიდარია და ჩვენი გოგონულ ლიტერატურულ კლასიკაში არის შესანიშნავი მარგალიტები, რომელთა გასცენიურება არა მარტო შესაძლებელია, აუცილებელია და მთავარი. თეატრმა მოახერხა ადგილობრივი ავტორების დაინტერესება და ასე შეიქმნა შ. კუხიანიძის „ბიჭები ძებნენ გასაფხულს“ და „ვინ დაბაჯას“, ნ. კეშელარიას „რევიზორი ვეფხვი“, დ. ხუროთის „უცნაური მოგზაური“, რ. ბერთის „არტურ-უჯული ჭაბუკი“, ს. ჭეიშვილის „დაიკვილეშ მამალს“, ეს ჟორჟოლიანის „ბაბაჯას“ და სხვები, რომელთაც მაღალი შეფასება ხვდა.

თოჯინების თეატრში ბიჭები უნდა შეირჩეს ასაკის მიხედვით. ს. ორანჯოვი ერთგან წერს: „...პატარებს, თურმე, არ შეიძლება აჩვენო რაიმე სამიში. თუ მგელი პატარების თვალს შეჭამს წითელქუდას, ეს მათთვის უფრო დიდი ტრაგედიაა, ვიდრე უფროსებისათვის ოტელოს ტრაგედია“.

უფროსები დუნდუმონას ანცალკეებენ მსახიობისაგან, მაგრამ მაინც ტირიან, ბავშვებს კი ბოლომდე სჯერათ მგლისა და არა მარტო ტირიან. შიშისაგან ყვირიან კიდეც, ასეთ სპექტაკლს მხოლოდ ზიანი მოაქვს და სხვა არაფერი. თუ მცირეწლოვანი „სამ გოჭს“, „დათუნის“ სამართალს“, „ფავალიტში“ ან „ციხფერ პლანეტას“ ვუჩვენებთ, უფროსკლასელებს ო. თუმანიანის „გიქორსს“, ს. პრეობრაჟენის „გაზაფხულის ყვავილს“, ბ. ნარეკლიშვილის „ქერაკებს გმირობანს“ ვთავაზობდით.

პიესებმა — დ. კლდიაშვილის „სა-

საშტატო ერთეული აქვს თეატრს?

— ამჟამად ოცდაერთი, — მიუგო წარმომადგენელმა.

— აქედან რამდენია მსახიობი?

— შეიდი...

სურვეი ობრანცოვის სახეზე ნათლად გამოჩნატა გაოცება.

— შეიდი?! ჰოო... იმუშავეთ, გეთავაზობა იმუშავეთ.

გასაგებია ობრანცოვის გაოცება, ძნელია ასე მცირე დასით შემოქმედებითი მასალით მისი მიღწევა, მაშინ, როცა ცენტრალურ თეატრში ხშირად

სცენა ქუთაისის თოჯინების თეატრის სპექტაკლიდან „წიქარა“.



მანიშვილის დედინაცვალი“ და უკვირებელი „არშინ მალ-ალან“, რომლებიც მოზრდილთათვის შეიქმნა, ჩვენი მოსაზრება გამართლდა. მოზრდილთათვის პიესების დადგამა ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა მტკიცედ ფეხი. მომავალში მას შეეძლება ყურადღებაც დაეთმოს.

ჩვენი თეატრის მუშაკებს კარგად ესმით ეს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მსახიობს, რომელიც თოჯინას ამოქმედებს, სტატუსის რა დონეს უნდა მიადღიოს, რამდენი შრომა უნდა გასწიოს, რომ თოჯინამ მისი სუნთქვით ისუნთქოს.

თავდაუხოტავად ვმუშაობდით, ვერასოდეს გაიჯონებდით — „ეს ჩემი საქმე არ არის“. თუ თეატრს სჭირდებოდა, ყოველთვის სპექტრს ვაკეთებდით. თოჯინის მოძრაობის ანბანს მძლღობიც კი ფლობდნენ და ამით, გვიასრებელია კიდევ. იყო შემთხვევები, როცა მხატვრობის, მუსიკის, თოჯინების შექმნაში მთელი დასი მონაწილეობდა...

ჩვენმა თეატრმა პირველმა გამოიყენა პარალონი თოჯინებისა და დიკორაციების დასამზადებლად, ჩვენზე დაინერგეთ მზრუნავი სცენა.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას — ქუთაისის თოჯინების თეატრს ჰყავს ისეთი მსახიობები, რომელთაც ბევრი, გაკვირებით დიდი მასშტაბების თეატრიც კი სიამოვნებით გაუღებდა კარებს.

აი, ზოგიერთი მათგანი:  
რ. თ. დუა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) თეატრში



მსახიობი ლ. გიორხელიძე

დასაბამიდან მოვიდა. იგი გამოირჩევა გარდასახვის შესანიშნავი უნარით. თოჯინების ტარების ოსტატობით. თავისი საჭმისა და პატარებისადმი დიდი სიყვარულით. მის თოჯინას ყოველთვის აწინა მსახიობის შრომისა და აზროვნების დიდი კვალი. ამ მხრივ საკამარისია შემოქმედის მიერ თოჯინაში გადაწყვეტილი თუნდაც ერთი სახე — დათუნია („დათუნისა სამართალი“).

პატარების საყვარელი მსახიობია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. სანიკიძე. მის მიერ მაღალი პროფესიონალიზმითა და სიყვარულით შექმნილი თოჯინურა სახეები: დედა ციყვი („დათუნისა სამართალი“), ჯენის დედა („თო-



მსახიობი თ. ჭელიძე

ჯინების აჯანყება“), ელენე („სამანიშვილის დედინაცვალი“) და შრამელიანა (სხვა თეატრის ოქროს ფონდში შედიან).

ერთნაირი საძლიერით ხსნის დრამატულსა თუ კომიკურ სახეებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ყურაშვილი. შეუდარებელია მისი ბეგია („სამანიშვილის დედინაცვალი“), მისტერ კუკი („თოჯინების აჯანყება“), მგელი („დათუნის სამართალი“), ჰერაკლე („ჰერაკლეს გმირბანი“) და სხვ.

შ. ჭავჭავაძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) კოლორიტული მსახიობია და მის მიერ განსახიერებული როლები — გიქორის



მსახიობი ნ. ცემულარია

დედა („გიქორი“), კირილე („სამანიშვილის დედინაცვალი“) და სხვა საინტერესო და დასამსახურებელია.

თეატრის თანატოლია ე. თოდუას შემოქმედება. იგი საკუთარი ხელწერის მსახიობია და ძალზე საინტერესო სახეები აქვს შექმნილი. თუნდვც დონდლა („დათუნისა სამართალი“), დეიანრა („ჰერაკლეს გმირბანი“), ჯენი („თოჯინების აჯანყება“), ფისუნია („ფისუნია“) და სხვა.

ახალგაზრდა, მზარდი შემოქმედია ლ. ხინგავა. იგი მუდამ პასუხისმგებლობითა და ინტერესით ეკიდება თავის როლს, ეძებს თოჯინის უკეთ ამოქმედების საშუალებებს და მიზანსაც აღწევს. ბუნებით ცოცხალი, მკვირცხლი, თოჯინასაც გადასცემს თავის ხასიათსა და განწყობილებას, რასაც მსახიობის შევნიერთ ვთალური მონაცემებიც ავსებს.

ბიჭუნების როლის უბადლო შემსრულებელია თ. ჭელიძე. გეტყველი, გულორფელი და უშუალო: მისი ჯონი („თოჯინების აჯანყება“), ცქიტა („დათუნისა სამართალი“), ილია („ჰერაკლეს გმირბანი“), ყვინჩილა („დაიყვილე, მამალი“). მსახიობი ადვილად ახერხებს მაყურებელთან კონტაქტის დამყარებას და ეს მისი ნიჭისა და შრომის შედეგია.

შ. ფსაკაძე მრავალფეროვანი შემოქმედებითა პალიტრის მსახიობია. მისი ნიჭიერების დასტურად იმის მოგონებაც კმარა, რომ ხუროძის „უხუანურ მოგზაურობაში“ ოთხი

სრულიად განსხვავებული და დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

დრამატული თეატრიდან მოვიდნენ ნ. ქაჯაია, პ. გაბუნია, ო. კობერიძე, შ. ბარქაია, ნ. კემულარი. მათ მალე აუღეს ალღო თოჯინების ამოქმედების სპეციფიკას და დღეს თეატრის საიმედო ძალები არიან.

გ. ბერეიკიძემ (რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი) სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე თეატრს მიაშურა. იგი კარგი გემოვნების, ნიჭიერი და შრომისმოყვარე შემოქმედია. მის მიერ გაფორმებულია ბევრიმა სპექტაკლმა მაღალი შეფასება მიიღო.

სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ძიებაშია თოჯინების მუქანიზატორი მ. ჩიქვილაძე, რომელიც ყოველი ახალი თოჯინისათვის ახალ ფიგურინიზაციას ნერგავს, რითაც სრულყოფს თოჯინას და ამარტივებს მისი ამოქმედების საშუალებებს.

ახლადარსებულ თეატრში მუსიკალური კვარტეტის წიგნად მოვიდა თ. ბეჟალაძე. სულ მალე იმდენად შეიყვარა თეატრი, რომ მეორე პროფესიაც კი ათივისა და დღესაც თოჯინების დამზადება-კერები საქმეს ემსახურება.

აღნიშვნის ღირსნი არიან მხატვარი-განმათავიბი გ. ნასარაია, აკომპანიატორი ე. ჩირაძე.

ჩვენი ქალაქის მუსიკოსებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა აწ განსვენებულმა გ. კემულარიამ, შ. ჩირაძემ და რ. ფურცელაძემ დიდი ამაგი დასდეს ქუთაისის თოჯინების თეატრს — მათ მიერ შექმნილი მთელი რიგი მქოლადიები პატარების საყვარელ სიმღერებად იქცნენ.

ქუთაისის თოჯინების თეატრს არასოდეს მოკლებია ქუთაისის საზოგადოებრიობის ყურადღება და ზრუნვა. ბევრი რამ მაქვს მოსაკონარი და სათქმელი, ბევრი ადამიანის სახელიც ვერა ვთქვით, ადამიანების, რომელთაც დიდი თუ მცირე წვლილი აქვთ შეტანილი ამ თეატრის არსებობაში.

დღეს ქუთაისის თოჯინების ხელმწიფო თეატრი საიმედო სტუდია. მას ხელმძღვანელობენ გამოცდილი მულაქები: თეატრის დირექტორი გ. გრჯასი ცხადაძე და თეატრის მთავარი რეჟისორი ხელმძღვანელი დამსახურებული მოღვაწე ს. იმომევაჩანაძე.

ამ ცნობას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს ჩელმაზე მოხდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, რომელმაც დაამტკიცა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირისა და საზოგადოებრივი მეცნიერული საზოგადოებრიობაც. საბაკროდ გამოტანილი თემა ცხებოდა ფოტოხელოვნებას. ამ დარგში დაცული დისერტაცია სამჭობო კავშირში პირველია. ვეროპაში კი იგი მხოლოდ რამდენიმე მეცნიერს გაუხდია თავის საკვალიფიკაციო თემა.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი იყო „ფოტოურნალისტიკის“ მხატვრული სპეციფიკის ზოგიერთი საკითხი“ (ხელმძღვანელი პროფ. დ. გამყარლაშვილი). დისერტაციას იცავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოურნალისტიკის უფროსი მასწავლებელი, ფოტოურნალისტი სანდრო მამასახლისი.

ამ სტრუქტურის ავტორს, როგორც სადისერტაციო შრომის აპრობატორს, პირველს მოუხდა ნაშრომის მეცნიერული ღირსებების შეფასება და საბაკროდ გატანა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის (ურნალისტიკის სპეციალობით) სამეცნიერო ხარისხის მისაძიებლად.

რა ძირითადი საკითხებია დაყენებული შრომაში და რით ამდიდრებს ავტორი ჩვენს წარმოდგენას აღნიშნულ სფეროში?

როგორც ვთქვით, სანდრო მამასახლისი ფოტოურნალისტიკის მხატვრული სპეციფიკის საკითხების მეცნიერულ კვლევაში წინაპირი არ ჰყოლია. თავის მონოგრაფიაში, რომელიც ვ. ი. ლენინის ასახვის თეორიის საფუძველზე განათიარა, ავტორი შეეცადა არსებითად წინ წაეწია ფოტოპუბლიცისტიკის თეორიული საფუძვლების დამუშავება.

გავარკვიეთ შრომაში დაყენებული საკითხები იმ თანმიმდევრობით, როგორც იგი მის ავტორს აქვს მოცემული.

ფოტოურნალისტიკა — პუბლიცისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობითა და თავისებურებით, კარგად მორგებულ სიტყვიერ მასალასთან ერთად, იგი წარმატებით ასრულებს პრესისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს — ეწევა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების პროპაგანდას, ხელს უწყობს მათი განხორციელებისათვის ბრძოლას.

ფოტოგრაფიით შეიარაღებულმა მეფედობმა სიტყვამ საკმაოდ გააფართოვა თავისი შესაძლებლობები. მისი დახმარებით იგი თვალნათლივ გაიჩვენებს ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, რომელსაც დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვთ.

ამ ძირითადი დებულებების შემდეგ, რომლებსაც ავტორი შრომის შესავალში ავითარებს, პირველ თავს მიუძღვნის ფოტოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების საკითხებს, მოგვითხრობს იმ უდიდეს წვლილზე, რაც ამ დარგის განვითარებაში მიუძღვით დავერს, ნიეპსსა და ტალბოტის.

ჩვენს ქვეყანაში ფოტოგრაფიის ჩასახვისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული რეალის-



# მეცნიერული კვლევის ახალი სფერო

ილია ნატროშვილი



ს. მამასახლისი.

ტური დემოკრატიული ხელოვნების ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ ფოტოგრაფიით დიდ დანტერესებას იჩენდენ და ხელს უწყობდნენ მის განვითარებას ვ. სტასოვი, ვ. ტომირიაშვილი, ი. ლევიტანი, ი. რეპინი და სხვები. საქართველოში ფოტოგრაფიის პიონერი იყო და მის განვითარებას დიდი ამაგი დასდო სახელოვანმა მაიულიშვილმა ალექსანდრე როინიშვილმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფოტოხელოვნების განვითარებას ფართო სარბიელი მიეცა. მართო ის ფაქტი რად ღირს, რომ, ვ. ი. ლენინის მითითებითა და განათლების პირველი სახალხო კომისრის — ა. ლუნაჩარსკის ხელშეწყობით, 1921 წელს პეტროგრადში დაარსდა ფოტოგრაფიის უმაღლესი სასწავლებელი.

გრძობდა რა ფოტოგრაფიის ფართო შემოქმედებით მნიშვნელობას, დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ა. მ. გორკიმ 1931 წელს დააარსა ილუსტრირებული ჟურნალი „სსსრ ნა სტროიკა“. ამ ჟურნალის მეშვეობით ფოტოგრაფია დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა. მის ფურცლებზე დაბეჭდილი ფოტოები, რომლებსაც მოხდენილი ტექსტები ამკობდა, მოგვიხსრობდნენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ახალ მშენებლობებსა და ცხოვრების პერსპექტივებს. სწორედ ამ ჟურნალში გამოიკვეთა ნათლად საბჭოთა ფოტოჟურნალისტიკის ძირითადი ორიენტაცია.

ფოტოაპარატი, როგორც მხატვრული შემოქმედების იარაღი, — ამ საკითხის ეძლევა შრომის მეორე თავი.

შეიძლება თუ არა ფოტოტექნიკა ვაქციოთ სინამდვილის მხატვრული აღქმის საშუალებად? — სვამს კითხვას ავტორი და დადებითად უპასუხებს. ე. დელაკურა ამბობდა:

„თუ ფოტოაპარატი გენიოსის ხელში აღმოჩნდება, იგი მიუწვდომელ სიმალემდე ავაო“. აქედან გამომდინარე ავტორი ასკვნის: „მხატვრული ფოტოგრაფია ცხოვრებას გვიჩვენებს არა იმდენად მისი ფიზიკური და ობიექტურ-მატერიალური არსის თვალთახედვით, არამედ ობიექტური რეალობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ღირებულების, ადამიანის სულიერი, ზნეობრივი გამდიდრების გათვალისწინებით“ (გვ. 45). ს. მამასახლისი ხაზს უსვამს, რომ მხატვრული ფოტოგრაფია გულისხმობს თვით ავტორის შემოქმედებით შესაძლებლობებს, მხატვრული სახეობით აზროვნებას, მის უნარს, ფანტაზიასა და აგრეთვე ყველა ამ შესაძლებლობათა გამოყენების თვისებებს. ავტორის ეს დასკვნები დასაბუთებულად და სწორად მიგვაჩინა.

შრომის მესამე თავში განხილულია დოკუმენტურობისა და მხატვრულობის ურთიერთობა ფოტოჟურნალისტიკაში. ამ თავის ძირითადი დასკვნა ასეთია: თვით უტილიტარული ფუნქციის შესრულებისას ფოტოჟურნალისტს საყვებით შეუძლია იხელმძღვანელოს სინამდვილის მხატვრული სახევის შემოქმედებითი მეთოდით.

მომდევნო თავში დისერტანტი განიხილავს ფოტოგრაფიისა და ხელოვნების სხვა დარგების ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგავლენას. ჩვენს ღრმა რწმენით, სწორია ავტორის დასკვნები, რომლებიც მიღებულია მრავალი ფაქტის შერჩევისა და მათი მყენიერული ანალიზის შედეგად.

აი, ზოგიერთი მათგანი:

„როცა პოეზია ობიექტური რეალობის გამოსახატავად სიტყვას მიმართავს, მხატვრული ფოტოგრაფია რეალურად არსებულს ასახავს კონკრეტული სახეობით“ (გვ. 108).

„ლიტერატურაჲ კი — ხელოვნების ეს ურთულესი და უზნიშნელოვანესი დარგი — გულგრილი როდია ფოტოგრაფიისადმი და მომავალში არაერთხელ გავხდებით მოწმენი მათი ურთიერთნაყოფიერი თანამშრომლობის“ (გვ. 109).

დაბოლოს: „ყველაზე „მიუდგომელი“ დოკუმენტური ფოტოგრაფიაჲ კი არ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც აბსოლუტურად თავისუფალი, სუბიექტური საწყისის გა-

რემე, რომელსაც შეუძლია სრულიად ობიექტურად ასახოს სინამდვილე“ (გვ. 128).

მრომანი ყველაზე დიდ ადგილი აქვს დათმობილი ფიტოგრაფიისა და პრესის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას (მეხუთე თავი). ამ პრობლემის ანალიზის შედეგად ავტორი მოგვითხრობს რამდენად ნაყოფიერია მათი კავშირი, რომელიც მიმართულია საბჭოთა უნივერსიტეტის შესაძლებლობათა შემდგომი გაფართოებისაკენ. ამ ურთიერთანამშრომლობაში, ცხადია, უპირატესობა პრესას ჰქვია. „ამჟამად, — წერს ავტორი, — ძნელია წარმოვიდგინოთ ფოტოგრაფია მისი ძლიერი მწარველის — პრესის გარეშე“ (გვ. 171). ეს მართლაც ასეა. პრესაში მრავალნაირი გამოყენების გარეშე ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების, შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია.

ჩვენ ვილაპარაკოთ სანდრო მამასახლისის ნაშრომის დადებით მხარეებზე. არის თუ არა მასში ნაკლოვანებანი, დასუსტებული დებულებები, რომლებზეც შემდგომ უნდა იმუშაოს ავტორმა? ცხადია არის. ამასვე ილაპარაკეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გ. მერკვილაძემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა შ. გაგოშიძემ და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, დოცენტმა ფ. ფერაძემ. მაგრამ მათ საზუსტით აღნიშნეს ისიც, რომ ეს ნაკლოვანებანი სრულიადც ვერ აყენებენ ჩრდილს სადისერტაციო შრომის მადლ ღირსებებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პირველად წარმოსდა ფოტოხელოვნებაში მეცნიერული ხარისხის მოსაპოვებლად.

ჩვენი მონათხრობი სრული არ იქნება, თუ რამდენადმე არ შევეხები არაოფიციალურ გამოსვლებსა და გამოხმაურებებს. სამეცნიერო საბჭო ინტერესით მოისმინა იგი. აი ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ პასუხისმგებელი მდივნის გ. ჩუდაკოვის (იგი დისერტაციის დაცვას დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვიდა მოსკოვიდან) სიტყვები: „ს. მამასახლისის დისერტაცია უთუოდ ძვირფასი წვლილია ფოტოგრაფიისტიკის მდიდარი გამოცდების თეორიული დამუშავებისა და განზოგადების საქმეში, და იგი ნამდვილად კეთილი დასაწყისი იქნება ხელოვნების ამ დარგში მეცნიერული მუშაობისა და პრესის ფურცლებზე მისი ამოუწურავი შესაძლებლობების გამოყენებისათვის“.

ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ მთავარმა რედაქტორმა მარინა ბუგაევამ, თავისი და სარედაქციო კოლეგიის სახელით, მოკლე დასკვნა გამოუტანა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრას. „ავტორი, — ნათქვამია დასკვნაში, — ნაშრომში აყენებს მთელ რიგ თეორიულ დებულებებს და ახდენს მათს დამაჯერებელ არგუმენტირებას, განსაზღვრავს ფოტოგრაფიისტიკის ჯანრებს, იძლევა მათს დასაბუთებებს, აზუსტებს ტერმინოლოგიას. დისერტაცია სერიოზული წვლილია ფოტოგრაფიისტიკის თეორიული საფუძვლების მეცნიერულ დამუშავებაში“.

საბჭოთა ფოტოხელოვნების გამოჩენილი ისტორიკოსი

ს. მოროზოვი, რომელიც ცნობილია ამ დარგში შექმნილი მრავალი მონოგრაფიით, ს. მამასახლისის სადისერტაციო შრომის ავტორფერატისაგან მიღებული შედეგებიდან შედეგად სამეცნიერო საბჭოს წევრად, რომ ფოტოგრაფიისტიკის საკითხების კვლევის ავტორისეული ასპექტი აქტუალურია. ს. მამასახლისი საინტერესოდ ეძიებს ფოტოგრაფიის ახლო ურთიერთობის საკითხს ლიტერატურის ჯანრებთან, კინოსა და ტელეხედავასთან. „ავტორფერატის თეზისების მიხედვით შეიძლება დაავსებინოთ, რომ რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა ავტორს შეუსწავლიდა, და საერთოდ თემის ისტორიული ასპექტი სათანადო ზომითაა მოცემული. ამასთან ერთად, დამოუკიდებელი დირებულებისა ავტორის ექსპერტული თეორიული საკითხებში. ძირითადი პრობლემების: „მხატვრობა და დოკუმენტურობა“, „ფოტოგრაფია და სახე“ კავადწყვეტის გუნდის ავტორისეული ძიება სწორია, საინტერესოა და საინტერესო“.

რამდენიმე სიტყვა საზღვარგარეთულ გამოხმაურებებთან დაკავშირებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დებუშთა საავტორო (ან) ჰენიგ ფოტოგრაფიის წერს, რომ საავტორო ავტორფერატს გერმანულად სცემს და დისერტანტს სთხოვს მომავალ წელს ბერლინში წაითხოს ოთხი ლექცია ფოტოგრაფიისტიკის საკითხებზე.

პოლონური ჟურნალის — „ფოტოგრაფიის“ სარედაქციო კოლეჯია ს. მამასახლისის ულოცავს დისერტაციის დაცვას და აცნობებს, რომ ავტორფერატის მიხედვით პოლონურ ენაზე გამოსცემენ წიგნაკს სათანადო ილუსტრაციებით.

ფოტოგრაფიის მსოფლიო ასოციაციის — „ინტერ-კამერის“ — პრეზიდენტი, ფოტოხელოვნების გამოჩენილი ისტორიკოსი, პროფესორი რუდოლფ სკოპოვი თავის წერილში დისერტანტს ულოცავს წარმატებას და აცნობებს, რომ მან ავტორფერატის ძირითადი თეზისები გამოსცა ჩეხურ ენაზე.

სხდომაზე დამსწრე სამეცნიერო საბჭოს 41 წევრმა ერთხლოვნად მისცა ხმა სანდრო მამასახლისისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. საბჭომ აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, რათა წარმოედგინოს სადისერტაციო შრომა — „ფოტოგრაფიისტიკის მხატვრული სპეციფიკის ზოგიერთი საკითხი“ — გამოცემის ცალკე წიგნად.

ყიწული გატყდა! ფოტოხელოვნება გახდა მეცნიერული კვლევისა და თეორიულ განვითარებასა საგანი, მეცნიერული ხარისხის ძიების სფერო და ეს პრეცედენტი, რომელიც საბჭოთა კავშირში პირველია, ჩვენს რესპუბლიკაში, თბილისის უნივერსიტეტში მოხდა. სასიამოვნოა, რომ სსრკავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა ს. მამასახლისისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

# დავიცვათ

## კულტურის ძეგლები

გივი ელიავა

3. 0. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა კულტურის ძეგლებს, როგორც სახალხო სიმდიდრეს. „თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ“<sup>1</sup> გვასწავლიდა ბელადი. ვ. ი. ლენინი ამ სიმდიდრის დაცვას პროლეტარიატის საჭიროებოტო საქმედ თვლიდა: „აუცილებლად საჭიროა მთელი ძალდონე, რათა არ წაიქცნენ ჩვენი კულტურის მთავარი ბურჟები, ვინაიდან ამას ჩვენ პროლეტარიატი არ გვაპატიებს“<sup>2</sup> ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების პირველ დღესვე სწორედ ამ საქმეს მიაქცია ყურადღება ვ. ი. ლენინმა და მისი უშუალო მითითებით ახალშექმნილმა განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა მიმართვა: «К рабочим, крестьянам, солдатам, матросам и всем гражданам России». სადაც აღნიშნავდა: «...Кроме богатств естественных, трудовой народ унаследовал еще огромные богатства культурные: здания дивной красоты, музеи, полные предметов редких и прекрасных, поучительных и возвышающих душу, библиотеки, хранящие огромные ценности духа, и т. п. Все это теперь воистину принадлежит народу. Все это поможет бедняку и его детям бы-

стро перерасты образованностью прежние господствующие классы, поможет ему сделаться новым человеком, обладателем старой культуры, творцом еще невиданной новой культуры». და კატეგორიულად მოითხოვდა: «Товарищи, надо бдительно беречь это достояние народа!»<sup>3</sup>

ეს მოთხოვნა დაედო საფუძვლად დებულებას კულტურის ძეგლთა შესახებ: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები, რომელთაც აქვთ მეცნიერული, ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა, წარმოადგენენ სახალხო ქონებას და ხელშეუხებელია, მათ იცავს სახელმწიფო“<sup>4</sup> ყოველი ერის ეროვნული საუნჯე — მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები საკაცობრიო მნიშვნელობისაა და მათი დაცვა, მოვლა და შესწავლა თანაბრად მოეთხოვება ყოველ ადამიანს. ცნობილი გერმანელი პედაგოგი კარლ რისტერი წერდა: „როგორც ჩვენის საკუთარს ერის პატივისცემაში ვსწავლობთ სხვა ერის პატივისცემასა, ჩვენს ქვეყნისაში — სხვა ქვეყნისას, ისეც პატივისცემა პატარა ნაწილისა მთელის პატივისცემა გვასწავლის“<sup>5</sup>

ჩვენი პარტია და ხელისუფლება ყოველთვის მოგიწოდებდა პასუხისმგებლობით მოგვიადგომოდათ კულტურის ძეგლთა დაცვისა და შესწავლის საქმეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავისი დად-





ნახარებაოს ეკლესია სამრტველოთი (XVIII ს.) ანტონ ცაგარელ-კუონდიდელის უკანასკნელი რეზიდენცია და საძაღუე.

გენილებით: „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შექმნაზე“ ერთხელ კიდევ მთელი სისრულით აღნიშნა ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა, მკაცრად გააკრიტიკა არსებული ნაკლოვანებანი, მოითხოვა, მთელი პასუხისმგებლობით მოეკვიდრათ ამ მეტად საჭირო საქმეს, დასაზღვრონ სერვისულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელი.

კულტურის ძეგლები საერთო სახალხო სიმდიდრეა, ერთგული თავსაშეგნია. ერთ მასში ჩაქსოვა თავისი შემოქმედებით გენია, თავისი შრომისა და აზრის სიღრმე, მისი აღმავალი ხასით სწრაფვა; ამიტომ „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩნდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს რაშია მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიანდა კეთილად და რა კეთილი აჯდა. რა უმართავედ ხელს და რა აწრკობდა. რისთვის ირჯებოდა და მხნებობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდ მხნე და გამრჯელი იყოს, უსორთუყო საილის ემგვანება დაკით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.“<sup>6</sup> ხოლო ეს წარსულის დიდებული მოწმე, მამების, წინა თაობების ეს ნაღვაწი ხომ მატერიალური და სულიერი კულტურის დიდებულ ძეგლებშია გაცხადებული. ექ. თაყაიშვილი 1914 წელს დაბეჯითებით მოითხოვდა: „ყველაზე გავილოთ წვლილი, დიდმა და პატარამ, ერთმა და ბერმა, განათლებულმა და გაუნათლებულმა, გვეყვოდან ამდენი გულგრილობა ჩვენი ძვირფასი ნაშთებისადმი.“<sup>7</sup>

მარტვილი VII საუკუნის ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშია, „ატრების სიონის, ძველი შუამთის, აგრეთვე, მარტვილის აშენება, უშუალოდ დამოკიდებული მცხეთის ჯვარზე, გუთუნის მე-7 საუკუნის დამდეგს.“<sup>8</sup> — წერს აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი. მონასტრის ჩრდილოეთ მხარეზე, ზედ გალავანში, ჩაშენებულია სასმართლი-

ანი მცირე ეკლესია, ოდესღაც კარიბჭე მარტვილისა, რომელშიაც შესანიშნავი პრობოლვი აღიღდა თაღოვანი სახურავის ქვეშ. ამ ნაგებობის ზედა სართული ჯვარის ფორმისაა, რომელსაც ექვსფანჯრიანი მაღალი გუმბათი ადგას წრიული კოშკით. ნაგებობის მთელი ტანი ისეთი პეროვანი და საოცრად მხატვრულია, რომ თავისი მშვენიერებით, სიმსუბუქითა და არქიტექტურული სიღრმით გიპყრობს, გაღვლეებს. „სილამაზე ამ ეკლესიისა სწორედ მომხიბლავია და მარტო ამის სანახავად ღირს, რომ კაცი გაემზავროს მარტვილში. ამ ეკლესიას სახელს დებენ ჩიქვანების ეკლესიით“<sup>9</sup> — წერდა აკადემიკოსი ექვთ. თაყაიშვილი.

მარტვილის კომპლექსის ცენტრალური ნაგებობის — ღვთისმშობლის მიძინების საყდრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადების არქიტექტურული ნაკეთები, ამ ფასადთა ლავგარდანები, კარებისა და სარკმელთა ორნამენტული არხები მხატვრული სიღრმითა და შესრულებული ისტატიობით აღაფრთოვანებს ადამიანს. ეკლესიის შიდა კედლები შემოსილია მეტად ღირებული ფრესკებით, განსაკუთრებით საინტერესოა კანკელის თაღზე ღვთისმშობლის გამოსახულება ჩვილით. აქ წმინდანის კდემამოსილებასა და ღვთიურ სიმშვიდესთან ერთად, აღბეჭდილია ერის დიდებული ქალისათვის დამახასიათებელი უშუალობა, მანდილოსნური სილავა და ღიადებულება. ეს მოწამებობრივი და საერო ხასიათთა ერთობლიობა, შერწყმული ღირსებით მოსავს ამ მეტად საინტერესო ფრესკას. ძლიერ შთაბეჭდავია სამხრეთის კარის თავზე შესრულებული ფრესკები. აქ გამოსახულია სამეგრელოს სამთავროს სამხედრო დიდკაცობა. მაღალმხატვრული გემოვნებითაა შესრულებული მრავალ სხვა სურათთა შორის, ჩრდილოდასავლეთის სვეტზე გამოსახული კეთილშობილი ქალის სახე. მისი დიდებული და მკაცრი იფრთხი, შუბლის სინატიფე და თვალის ნუშისებური ჭრილი, გრძელი წარბები, ხაზს უსვამს მისი სახის არისტოკრატიულ წარმოშობას, კანის ფერსა სახის მედიდურ იფრთხან არის შერწყმული.

დიდ შობაგვლილებას ასდენს მონასტრის კომპლექსის შესამე ერთეულიც — სვეტი, ფანჯრისა და კარის არმების მსატრეული გაფორმებით, ძველის საერთო სივრცითა და სიმაღლით.

ამ კომპლექსის ხილვისას დამოუკიდებელი განიცდის დიდებულების, მკაცრი და ნატიფი არქიტექტურული გადაწყვეტის, მდებარეობასთან, ცის სილურჯესთან შერწყმული სივრცისა და სიმაღლის ღრმა, ემოციურ გრძობას, შეიგრძნობს ჩვენი წინაპრების დიდი მსატრეული გარდასახვის უნარსა და შემოქმედებით წვას. ეს მარტვილია აღმაშენებლის აღზრდისა და წვრთნის გენიალური აღმდგარი. მარტვილი — სტეფანე I სახანისძისა და ივანე მინჩხის პირობაგვლი, პოეტური მოღვაწეობის კათედრა. გიორგი და ანტონ ჭყონდიდელების სამწიგნობრო, საკამანათობლო კერა, ბაგრატ IV საძაგლე და დავით აღმაშენებლის აღზრდისა და წვრთნის გენიალური აკადემია. ეს მარტვილია, სადაც XVIII საუკუნეში, ამ ხანგრძლივი ინტელიტობის დასასრულს, ქართული სასწავლებლებისათვის პირველად დაწერა ლიტერისა და ფსიქოლოგის სახელმძღვანელო ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდეშ. ახლახან საქართველოს კე გვეგჭკორის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის კულტურის ძველებს დაცვის მდგომარეობა და დააყენა საკითხი მარტვილის ფრესკების გამაგრებისა და საერთოდ მარტვილის მთელი კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ.


საქართველოში უამრავი კულტურის ძეგლია და მათი ერთბაშად დაცვა სახელმწიფო ღონისძიებებით შეუძლებელია. მართალია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები კისრულობენ შეფხობას და ცდილობენ მათ საგულდაგულად დაცვას, მაგრამ ხშირად ასეთი შეფხობა ვერ ხორციელდება. მაგალითად, აღურტი გვეგჭკორის რაიონის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ბორცვებზე გაშლილი სოფელია. აქ ძველთაგანვე იყო აღავერდის ხატი, წინამართული რიტუალით, სარიტუალო ნაგებობით და კერპით (მუხა). ძველი ნაგებობის პიედესტალზე XVIII საუკუნეში აიგო მაღალ-გუმბათიანი ლამაზი ნაგებობა, მშვენიერი სამხარეთული-ისამარეკლოთი. ძეგლის გარე კედლებზე დღესაც შემორჩენილია ბარელიეფური ჩანართები. აღსანიშნავია კარფანჯრის არსიათა ორნამენტებიც. ძველის მიდამოებში შემორჩენილია ქიანის (ქინი-ჯვარი) საკულტო კერა და ჯგვერდის სალოცავი. მასზე ფეხობა კოლმურენობამ და სკოლამ იკისრეს, მაგრამ ძველის მიდამოების ნაწილი ვერ გადაურჩა გადათხრას. ასეთ ადგილას თვითნებური გათხრითი სამუშაოები მეტად სახიფათოა. ძველს უქმნის უსოზიის საფრთხეს და დაიღუპება არქეოლოგიურად საინტერესო კულტურული ფენაც. საქართველოს კე გვეგჭკორის რაიკომის ბიურომ კატეგორიულად აკრძალა აქ ასეთი თვითნებური წამოწყებები და დაავალა გვეგჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მოაწყოს ფართი არქეოლოგიურ-დაზვერვითი მუშაობა ძველის მიდამოებში.

მეტად საყურადღებო ძეგლია დადიანთა სალხინოს კარმიდამო. იგი XVIII საუკუნეზე ადრეა ფუძემდებელი. აქ შემორჩენილი კარის ეკლესია ერთნაიანი ბაზილიკაა. ძველი იმით არის საყურადღებო, რომ ადრეული ნაგებია და მისი მთელი ქვედა ნაწილი ნაიალი ქვითაა წყობილი. შემდეგ, კარის თავის ზემოთ, რიყის ქვით გადმოუშენებიათ. ნაგებობაში ჩაურთავთ კარისა და ფანჯრის უძველესი მორთულობანი. განსაკუთრებით დიდებულია დასავლეთის კარის თავზე ჯვრის ვებერთელა ამბოურთული ქანდაკე-

ბა, რომლის ზედაპირი ულამაზესი ორნამენტებითაა მოკუჭობიებული. ასეთივე რუქურთმითანი არსებობს კარის თავზე და ფანჯრის გონივრულზე. ხოლო ჩრდილოეთის კარის თავზე ჩასმულია ფიქალი, რომელზედაც მფლნით შესრულებული წარწერა ბათქაშით დავუფრავთ და დრთთა განმეკლომაზი გადასულა, ზედ მცოდნე ცალკეული ნუსხაზეცური ანაზია შემორჩენილი. ცენტრში კვითხულობთ: ქრისტე შეწავალთ თავადი ს/ციმონი/ა. ძველის შიდა, ჩრდილო-დასავლეთის სვეტზე არის მხედრული წარწერა, რომელიც კაცია დადიანის განაგრელებით ამოუკრათ 1762 წელს. გარდა ამისა, გზობი დაცულია ჭადრებისა და ზისი ხეივანი, უძველესი წყლის წისქვილი, სასახლის ნანგრევი, კარმიდამოში მისასვლელი ხეობის კლაკინი გზა. ყოველივე ეს დიდებული ისტორიული წარსულის მოწმეა. აქ დადიანთა საზაფხულო რეზიდენცია, ეტყობა, ძალიან ადრეული დროიდან (XV საუკუნიდან მიიხ) ყოფილა. ეკავრინე ჭეჭეაგაქეს თავისი დეფოლობის დიდი დრო აქ გატარებია. მართალია, თოდუას საიდუმლო საბჭოს — „სხუნუს“ აქ ქმინია ადგილსამყოფელი. აქ იყო სამეგრელოს გლეხთა 1918 წლის მეორე აჯანყების შტაბი. გარდა ამისა, იგი ქართველ ფეოდალთა კარმიდამოს ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც შედარებით ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული. ამ ძეგლის ხელყოფა უდავოდ დანაშაულია. ახლა ზოგიერთი რამ გადააკეთეს, რაც ძველს ღირებულ ბას შეტარავს, საჭიროა იგი პირვანდელი სახით აღსდგეს.

მეტად საინტერესო ძეგლია სორათის (ხატამულის) გორაკზე, ქვაითში, ბაზილიკური მცირე საყდარი, რომელიც მასიური ქვების ლოდებისგანაა ნაგები. ძველი თავისი არქიტექტურული აღნაგობით XI-XIII საუკუნეს შეიძ-

მარტვილის მონასტერი (VII ს.).





ლება მივაკუთვნოთ. მასთან ბევრი გადმოცემა და ლეგენ-  
და დაკავშირებული. იგი საინტერესო სტრატეგიულ-გეოგ-  
რაფიულ ადგილას მდებარეობს, მის ქვემოთ ათასწლოვანი  
ცაცხვი დგას, ამბობენ, რომ ეს ცაცხვი სანიშნო ხეც ყოფი-  
ლა. ძველის მიდამოებში მუხუგებმა არქეოლოგიური დაზ-  
ვერვის საშუალებით შეკრიბა ენოლოგიისა და ბრინჯაოს  
ეპოქის ნივთები. სამწუხაროდ, ეს საინტერესო ძეგლი არ  
არის სათანადოდ შესწავლილი. მუხუგებმა შეადგინა ამ ძეგ-  
ლის პასპორტი, სადაც დაცულია მისი გვეგმარი, ფოტოსუ-  
რათები, აღწერილობითი მასალა. ლეგენდებისა და გად-  
მოცემების კრებული და სხვა. იგი ნათელ წარმოდგენას  
იძლევა ძველის შესახებ. საერთოდ მუხუგების სამოქმედო  
ზონაში — გვეგმპირის, აბაშის, ცხაკაიასა და ჩხორწყვის  
რაიონებში სულ 599 ძეგლი და ისტორიული ადგილია მუ-  
ხუგების მუშაკთა მიერ აღრიცხული. მხოლოდ გვეგმპირის  
რაიონში 391 ძეგლი და ადგილია. მუხუგებს მათი ურავ-  
ლესობისათვის შედგენილი აქვს პასპორტი. მათგან ყველაზე  
მნიშვნელოვანია ტყვირის ეკლესია (XVI ს.), რომელიც  
უძველესი დროიდან ჭილაძეთა ძირითადი სალოცავი ყო-  
ფილა. დღეს იგი უყურადღებოდა მიგდებული რიონის  
გაშლილ ჭაღალში.

ამ ეკლესიის გარეთა კედლების ფიქალზეზე ნუხახუ-  
ცრითი შესრულებული მრავალი მეტად საინტერესო წარ-  
წერა შემორჩენილი, დასავლეთის კარის თავზე კი დაცუ-  
ლია მხედრული წარწერა. ადრე დასავლეთის ეკვტერიის ში-  
და კედლები შემოსილი იყო ფრესკებითა და წარწერებით.

მარტილი. კომპოზიციის დეტალი (XVI ს.)



ამ სამი წლის წინ მუხუგებმა და პარტიის აბაშის რაიონში  
ეკვტერის კედლებში შენიშნეს ბზარი და სთხოვეს ეკლესი-  
ის ძეგლთა დაცვის საზოგადოებებსა და კულტურის სამსა-  
ნისტროს სასწრაფო ზომები მიეღოთ. სამწუხაროდ, ზომები  
არ იქნა მიღებული და დასავლეთის ეკვტერი ჩაიხრია, დაი-  
ლუკა ფრესკები, სამიშრობა ემუქრება უნიკალურ წარწე-  
რებსა და არქიტრასს. საჭიროა ძველი აყვანილ იქნას გან-  
საკუთრებულ აღრიცხვაზე, სასწრაფოდ ჩატარდეს სარეს-  
ტავრაციო სამუშაოები და გამოიყოს მცველი ასევე. უყ-  
რადღებეს ღირსია მადნიასა და კადარის (XIII საუკუნის  
უნიკალური ძეგლი) გვეგმებზეც.

უდიდესი მნიშვნელობის არქიტექტურულ კომპლექსს —  
ნოქალაქევის ციხესიმაგრესაც (ცხაკაიის  
რაიონი) მეტი ყურადღება სჭირდება. ძეგლი ჯერ კიდევ  
არ არის საკმაოდ შესწავლილი. გარდა იმისა, რომ მის მი-  
დამოებში უნდა დაიწყოს ფუნდამენტური არქეოლოგიური  
გაოსხრები, კომპლექსის ყველა ერთეული საკულდავლოდ  
უნდა გაიწმინდოს, აღდგეს მისასველები. მართალია ამ  
ძეგლის მიდამოების დასაცავად სერიოზული ღონისძიებები  
ჩატარდა. გადამდგენი ხიდი, გააუქმეს პარკისპირით ფრ-  
ედული და დაიწყეს მისი დემონტაჟი. ძეგლის მიდამოებში  
აიკრძალა თვითმფრინო მიშენება და გაოსხრები, მაგრამ ეს  
არ არის საკმარისი.

უფრო მეტიც, სოფელ ლეძამებში, დ. დადიანის სა-  
სახლის გადასახედზე არის მეტად საინტერესო ძეგლი —  
წმ. მარიამის სახელობის ჭეჭემა რიონის ეკ-  
ლესია.

იგი ოფსიდრ მისრას, მითრას საკულტო კერა იყო.  
მის მიდამოებში დღესაც მრავალ ადგილასაა შემორჩენი-  
ლი მისრას სალოცავები — მისარონები. ეს გუმბათიანი  
ძეგლი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. ოდესმდე იგი,  
ექვთბა, ბაზილიკა უნდა ყოფილიყო, ოდნავ ოვალური გო-  
ნიობით და ღია კედლებით, რომლებიც თაღოვანი მკლავ-  
ებით იკვრებოდა. შემდეგ ილა სივრცე ამოუვსიათ, შენსა  
წარქმედლებითა და გუმბათი წამოუდგამთ. ეს უძველეს-  
ნაგებობა ნოქალაქევის ეკლესიის ეზოში მდგარი თხოუთ-  
ს ნაგებობის ადგევადი უნდა ყოფილიყო და შესაძლებელი  
წარმართული სამლოცველოს მოვალეობას ასრულებდა. ძეგ-  
ლი სრულიად უყურადღებოდა მიტოვებული. გვეგმპირის  
მუხუგებმა ძეგლის შესახებ შექმნა ვერცხული დოკუმენტა-  
ცია და არქეოლოგიურ-დაზვერვითი მუშაობა ჩაატარა მის  
მიდამოებში. მაგრამ საჭიროა უფრო სერიოზული ღონის-  
ძიებების გატარება ამ მნიშვნელოვანი ძეგლის დასაცავად  
და შესასწავლად.

ისტორიული ძეგლებით მდიდარია ჩხორწყვის რაი-  
ონიც.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა მალაღმობიანი სა-  
ფელი ოსინდალე (იგივე ოცინდალე, ოწინდალე).

ამ სოფლის ბოლოს (ვაკის გადასახედის სამხრეთი კი-  
დურზე) დგას სამნავიანი ბაზილიკა. მას კარს უკლს  
მთლავ ბურჯებზე დაყრდნობილი გალავანი, რომელიც და-  
შენებულია რაღაც უფრო ადრეული ნაგებობის პიედესტალ-  
ზე, რომელიც ზოგან ციკლოპური ქვებითაა ნაგები. საინ-  
ტერესოა თვით ეკლესიის ეზოში დაცული მთლიანი ლო-  
დებით ამოყვანილი სამარ-გვეგმეთა და მცირე სამლოც-  
ველოთა უძველესი ნანგრევები.

ეკლესიის ეზოში (მის დასავლეთით) დგას მაღალი ციხ-  
ე, რომლის მხოლოდ ორი საბურთაა შემორჩენილი. სარ-  
თულები თალითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.


ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა თვით ბაზილიკაა —  
წმინდა გიორგის საყდარი, რომელსაც ნაგები მრდილოე-  
თით და დასავლეთით აქვს. დასავლეთის ეკვტერი კარიბ-  
ჭეა წახანგოვანი ჭერით. წახანგებს შორის ამობურცული



სხივები ცენტრში, შუის დისკოსთან იყრიან თავს და თაღების საყრდენებზე ნახევარწრიულ ბარელიეფურ მოდილიონებს ეყრდნობიან. ეკვტერის ჭერის ეს არქიტექტურული აღნაგობა (სობისა და წალენჯიხის ეკლესიათა შემდეგ) წამატებული ფრთების სვემენტთა ჭერის არქიტექტურულ ხაზს იმეორებს. ამდენად, შეიძლება იგი იმავე პერიოდის ნაგებობად (XIV ს.) ვივარაუდოთ. გარედან ეკლესია მოპირკეთებულია ლამაზად თლილი ტუფის ქვით. აღმოსავლეთის ფასადზე რელიეფური სვეტებით გამოყოფილია სამი ნიში. შუა ნიშში საკამელია ჩასმული.

საინტერესოა სამხრეთის ფასადის გაფორმება. იგი სამ რეგისტრად იყოფა. პირველ რეგისტრზე კედლის ცენტრალური ნაწილი დაყოფილია სამ ნიშად, შუა ნიშში მოთავსებულია კარი. კარის გონიობზე ჩამოშვებულია სვეტები, რომლებზედაც დაყრდნობილია ნიშის ოვალური თალი. მეორე რეგისტრზეც ამოკვეთილია სამი უფრო დაბალი ნიში, სოლო მესამეზე — ორი მაღალი ნიშა სვეტებით გამოყოფილი. შენობას ირგვლივ უვლის შესანიშნავი კოშნიკი — წინული ჩუქურთმით ამოყვანილი ჯვრის ფორმის ორნამენტოვანი არშია, რომელიც დამზადებულია კირქვის საკმაოდ გაპირილებული ლოდებისაგან. ქვემოდან ძველი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა მისი ხელყოფა ნაკლებად საშიშია მიუდგომლობის გამო, მაგრამ მისი შესწავლა და რესტავრაცია აუცილებელია. რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები გვემავენ ღონისძიებებს, რათა სოფელი სავტრომობილო გზით მალე დაუკავშირდეს რაიონის ცენტრს.

...და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ამ მხარეში არსებული იმ ძეგლებისა, რომელთა მარტვილობა და მტილობა ფასდაუდებელია. იგი მტილია (ზოსტანია), სადაც ასე თვალსაჩინოდ ბიზინებს ჩვენს ხალხს კულტურული შემოქმედებითი გენიის ჭირნახული. ამასთან, იგი მარტივია, მოწამვა ათასგზის ბარბაროსული თავდასხმისა და განადგურებისა, შურისა და ბოროტების მსხვერპლიც, ათასჯერ შერისხული, ათასჯერ გადამწვარ-აოხრებული და



კაღარის ეკლესია (XIII ს.)

კვლავ ათასჯერ წარმომდგარი, სიცოცხლეგაუკრობი, ახალი შუქით აელვარებული. გვიყვარდეს, ვსწავლობდეთ, გუფრთხილდებოდეთ და ვიცავდეთ მას — აი, ჩვენი მამული-მეილური საზრუნავი.

შენიშვნები:

- 1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 343.
- 2 „ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ“, თბილისი, 1957 წ., გვ. 617.
- 3 Известия ЦИК Петроградского Совета рабочих и солдатских депутатов, 4 ноября 1917 г.
- 4 დებულება კულტურის ძეგლთა შესახებ, გვ. 6.
- 5 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1928 წ., 83. 219.
- 6 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1927 წ., გვ. 241.
- 7 „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., № 31-32.
- 8 გ. ჩუბინაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, ტ. I, 83. 139.
- 9 „ქველი საქართველო“, ტ. III, გვ. 43.
- 10 ი. მეუნარგია, „სამეგრელო დავით დიდიანის დროს“, თბილისი, 1939 წ., გვ. 63-64.





## ქართველ მხატვართა შეოქმელებაში

ნუგზარ ბოკუჩავა

მომქმნის ნახევარი საუკუნე გადის მას შემდეგ, რაც სოფელად საფუძველი ჩაეყარა საკოლმეურნეო მშენებლობას, ლენინური მოძღვრების შუქმა ქართული სოფელიც გაანათა. საკოლმეურნეო შრომის განუხრებლმა ზრდამ, სოფლად სოციალისტურმა გარდაქმნებმა მკაფიო ასახვა პოვეს ქართულ ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში.

ამ დიდმნიშვნელოვან მივლენის ცხოველყოფილად გამოცხადებულ მხატვრებშიც, რომელთა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკოლმეურნეო შრომის თემას. ყოფილი მხატვარი თავისებურად აღიქვამს შვილობიანს, შემოქმედებითი შრომის პროცესს და ცხოვრებისეული სიმართლეთ სახვითად წარმოსახავს თავის ნაწარმოებში.

ამ თემისადმი მიძღვნილ უამრავ მხატვრულ ნამუშევართაგან მხოლოდ ზოგიერთს შეეცხებით, რომლებშიც ინდივიდუალური მხატვრული ინტერპრეტაციათა და სამყაროს თავისებური ხილვით არის ასახული სოციალისტური სოფლის ცხოვრება.

დასალოთ საქართველოში დიდი ფართობი უჭირავს ჩაის პლანტაციებს, რომელიც ორგანულად შეერკვა მოშიზი-ველად ბუნებას, მის განუყოფელ ნაწილად იქცა და ქარს-ველ ხელოვანთა ქმნილობის მრავალფერობად აღიბეჭდა.

გამორჩენილ ქართველ ფერმწერს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ლადო გუდიაშვილს არ გამოირჩევა ბუნებისა და მშრომელ ადამიანთა ეს ახალი სილამდე და სილამაზე.

„ჩაის მკრეფაებში“ — ასე ეწოდება მალაღი პროფესიული ოსტატობით, გემოვნებითა და მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხედვით შესრულებულ ფერწერულ ტილოს, რომელშიც ხელოვანი წინა პლანზე მკვიდრი, კონტრასტული ფერებით ხატავს კოლმეურელ კალიშვილთა იერსახეს. მაიო პლასტიკური, თავისუფალი, რიტმული მოძრაობა უშუალოდ და აღსახვავა შინაგანი ძალით. ნახატის გამოხატულებისა და კომპოზიციური მთლიანობისათვის მხატვარი ფინიდ მუქ ტონებში წარმოსახავს პეიზაჟს, რაც ამოიერებს საერთო განწყობილებას და კიდევ უფრო დამაჯერებლად, აღნიშნული ხდის ფერტილოს.

მავე თემას სხვაგვარად წყვეტს გამოჩენილი ხელოვანი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ქუთათელაძე. მისი „ჩაის კრეფა“ მოზრდილი ფერწერული ტილოა, კომპოზიცივა გამაღვი და ნათელია. ნაწარმოებში არ იგრძნობა ფერთა ინტენსიურობა, თუმცა ტონების ლაკონიური, მსუბუქი განათებით ხელოვანი მხატვრული სისუსტით აღწევს რეალურ სიწყაროს. ჩაის პლანტაციებში გაუანტლებადამიანთა ენერგიული მოძრაი ფიგურები დაწერილია ფერისა და ხატების პარმიონული შერწყმით, ცხოვრებისეული სისახეობა.

აპოლონ ქუთათელაძის მიერ შრომის თემაზე შექმნილ ფერტილოთაგან აღსანიშნავია კომპოზიციურობის საოცარი შერქმნებით დაწერილი „ყურძნის კრეფა“, რომელშიც მხატვარმა პოეტური დეკორატიულობით აღიქვა შრომის პროცესი.

პირმცინარი ქალიშვილთა და გაყთა ფიგურების რიტმული მოძრაობა, პლასტიკურობა, რბილი, მაგრამ კონტრასტული ფერების ურთიერთშეხვევა ხელს წყნობს კომპოზიციის სრულყოფას, ნახატის დინამიკას. ხელოვანი მკაფიო მხატვრული მეტყველებით ხატავს იერსახეთა სულიერ სამყაროს, შინაგან ექსპრესიას, ხასიათებს. კარვად არის გადმოცემული სიღრმე, ჰაერი, პერსპექტივა. ნაწარმოები უშუალოდ და რომანტიკული ზეაწელობით გაქვნილი. ასევე საინტერესოა მხატვრის სხვა ნამუშევრებიც: „დაბრუნდა კოლმეურნეობაში“, „მეზაზღვრე სტუმრად გურულ მეჩაიე ქალიშვილებთან“...

ქართული ფერწერის საუკეთესო ნიმუშად ითვლება დიდი ქართული მხატვრის დავით აკაკაძის „რიონქსი“, რომელიც საუცხოოდ ასახავს სოფლად სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს. ფერების გვერტური შერჩევით მხატვარმა შესლო საქართველოს ბუნების მკვეთრი, დამამახსოვრებელი ფერტილოს შექმნა, რომელიც გზიზღავთ კონტრასტულობით, დეკორატიულ-ფერწერული მეტყველებით, კოლორიტით, ტონების ინტენსივობით. ხალხის შრომითა და გარჯით შექმნილი რიონქსის გრანდიოზული ნაგებობა შესანიშნავად შეხამება ბუნებას და მის განუყოფელ ნაწილად ქცეულა. ხელოვანის შემოქმედებითა და დიაპაზონმა, მხატვრულმა ფუნქციამ და გამოსახვის უშუალოდ სურათის თავისუფლად წაითხვის საშუალება მოგვცა.

კარგი. ყოველწლიურად 80-ზე მეტი წარმოდგენა იდგება, ასობით შემოქმედის შრომაა მასში ჩაქსოვილი. მაგრამ ყოველივე ეს მეტწილად უნებობა დედაქალაქის მაყურებლისათვის, უცნობია რესპუბლიკის ფართო აუდიტორიისათვის და უნებობა ხდება მომასიისთვისაც, რადგან აღარაფერი არ რჩება მათ შესასვენ თქმული ან დაწერილი.

...ვარშავაში ცივი ამინდები იდგა. ეს განსაკუთრებით საგანძობი იყო ჩვენთვის, სამხრეთელთაგან, მუშუხედავად ამისა, მაყურებელი მაინც დიდ გალმუნურაფებებს იჩენდა. დარბაზი ყოველთვის საყვე იყო. მაყურებელი თეატრისადმი ცხოველ ინტერესს გამოხატავს არა მარტო ფესტავალის დღეებში. უცხო თეატრისთვის ადგილად შეუამწმინდე იყო თუ როგორი გულისხმობი გამოიწველი მაყურებელი თავისი თეატრისადმი... შე გამოთავ ყველივე ამან. მაყურებელი ტაშიში აჯილიდებდა მსახიობის პატარა შრომასაც კი. რა დასამალოა და სუსტი სპექტაკლებიც ვნახე (არა ერთი!), მაგრამ ყველაზე იგრძნობოდა თეატრისადმი მაყურებლის აქტიური მხარდაჭერა. პირდაპირ შემწურდა...

ყოველი ერთი თეატრში არის კარგი და ცუდი, არის ძლიერი, სანტერესო, სუსტი და უდიდამო გამომდევნები. არც თანამედროვე პოლონური თეატრის განმარტალინი ამ შრივ, ზოგი რამ ჩემთვის გაუგებარიც იყო, ესთეატურად გამყოფივანაც კი. არ იწვევდა სიმპაზიხს, სექსის სახესამული გამობატავა, მაგრამ როდესაც მგვარობა ქვეყნის მიწაზე დადიხარ, როცა გრძნობ მისი შრომელი და მართალი ხალხის სიბოხს, სიყვარულს, ნაკლი მაღლ გავიწყდება. მესსიხრებას შემორჩება ნათელი და წმიდა. ყოველივე ის, რაც შეადგენს ამ ხალხის კულტურას, მისი ისტორიის სიმართლეს, სილამაზეს.

პოლონეთის თეატრს კი დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი ფესვივლი შორეულ საუკუნეებში იწყება. იგი ვითარდებოდა რთული და წინადადმეგობრივი გზით, მაგრამ ყოველთვის იბრძოდა მაღალი ჰუმანური იდეალუბისათვის. პოლონური თეატრის ერთ-ერთი ყველაზე წინაეული ფუნქციონა ა. მიცკვირისაა ი. სლოვაკის მოღვაწეობის პერიოდი, მათ რეჟოლუციურ რომანტიკას ახალი მწვერვალებისაკენ მიჰყავდა პოლონური თეატრი.

პოლონეთის თეატრებიდან განსაკუთრებით გამოირჩეულა კრავიკის სკოლა. ეს იყო მოწინავე რეალისტიკური თეატრი, იგი გაემიჯნა ყალბი პათოსის, პოპულარ, მაგრამ მისთანად ნიკიონ თეატრს და შექმნა ფსიქოლოგიური სიმართლის ხსოვრება. ფართო იყო კრავიკის თეატრის დიაპაზონი, მისი რეპერტუარი მოიცავდა როგორც პოლონურ, ასევე დასავლეთ ევროპის დრამატურგის ნიმუშებს. აქ იდგებოდა ა. მიცკვირის, ი. სლოვაკის, შილერის, შექსპირის, მოლიერის და სხვათა ბიუტები. იდგებოდა რუსული დრამატურგების (მაგ. ნ. გოგოლი), პიესებიც. ათეული წლები ჩქივდა კრავიკის კულტურული ცხოვრება. მის თეატრში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მსახიობები და რეჟისორები. კრავიკის ერთხანს „პოლონეთის ათინას“ უწოდებდნენ.

ი. სლოვაკის სახელობის კრავიკის თეატრი თავისი ისტორიული და დამსახურებით ქუთაისის თეატრს მაგონებს. ისე როგორც ქუთაისის თეატრის სცენა იყო დიდ მსახიობთა და რეჟისორთა სარბიელი, კრავიკის თეატრსაც ისტორიულად ეს მისია ხვდა წილად.

შორეულ ერთი სპექტაკლი ვნახე ამ თეატრში. შთაბეჭდილების დღიურში ჩავიწერე.

...კრავიკი თოვს. გადაუფლავა თოვს. კარგია, როცა თოვს, სიცივე აკლავს, ზამთრის სუსხი თითქმის სილამაზეში ქრება. თეატრი ქალაქის გამორჩეულ ადგილას დას, მისსეულად გზები დათოვლილია, შევიდვიართ თეატრში და შემოვგანათებს უხეი თქონელი დარბაზი.



იარუსები, ყველაფერს სიძველეს, ტრადიციული თეატრალიზმის იერი დაპყრავს. ეს მართლაც და ძველსძველი თეატრია. სათუთად მოვლელი და შენახული. ფიფიში მსახიობთა ფორწურული პორტრეტებია. იარუსები რუსთაველის თეატრის იარუსებს მაგონებენ, მაგრამ ეს უფრო პატრანა, უფრო მეტი ინტიმია, ავლთა რუსთაველის თეატრის სახეშიმ ამაღლებულბობა, მსახიობთა თათბირი მიგვიწვიანა სპექტაკლის რეჟისორმა ე. გოლინსკიმ. ყვეთი გაგვიმსაპინძლდა, რეჟისორი წარმოსადგო, სანდობიანი, ასე შუა ხნის გაცნა. დიდი ინტერესით გველაპარაკა თავის მიმავალ მუსავარბობაზე საქართველოში. სასამოვნოდ ამ კაცის მომსენა. საქართველო მას ლეგენდარულ ჩეჩენად წარმოუდგინა. ჩემთვის უძველესი ციცილიანის ნახვას ნიშნავს საქართველოში მოგზაურობა. ასენა თავისი გატაცება საბერძნეთითა და საქართველოთი...

ორივედ კვირის შემდეგ თბილისის ტელევიზიით გამოვიდა ე. გოლინსკი და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ქართველ ტელემაყურებლებს. იგი აღტაცებული ლაპარაკობდა ნანახას და განცდილზე. კაცია, რომ მისი დიდი იმედი ამ გაპილდა.

კრავაჯის თეატრში ი. სლოვაკის დრამატული პოემა „მარკვი“ ვნახე. პოემის დადგმა ყველგან მივლია და ეს ხართული აქედ იგრძობობდა, მაგრამ რეჟისორის ნიჭიერი ხელი მინც აქედ სპექტაკლს.

დამამსსორდა „არტისტული უბორნია“, ეს არის მეტად ორიგინალური უბორნია ალბათ მივლს ვერბაში. კედლი სასუბა გამოჩენილ მოღაწეთა ავტოგრაფობობა და მხატვრობით. აქ შემხედვითი მწერლების, კომპოზიტორების, მსახიობების სახელებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში. ზოგიერთი წარწერა თუ ნახატა აღბეჭდილია დიდი იუმორით. კრავაჯის თეატრს დიდი ავტორიტეტი აქვს მივლს პოლონეთში.

ი. სლოვაკის „მარკვი“ იწყება ემოციური დეტალით, მუსიკის სასამოვნო მანერების ფონზე ისმის ორი ბავშვის გალობა. შუქრიდობები, მუსიკა და ბავშვის უშუალო თავიდანვე ემოციურად განაწყობს მაყურებლებს. ენის არცოდნა ხელს ვევიშობდა პოეტური ტექსტის მუსიკალობის, მისი რიტმის გაგებაში, მაგრამ იქ, სადაც იქმნებოდა პოეტური ატმოსფერო, ჩვენთვისაც ახლობელი და გასაკვიბი იყო. ყოველთვის ასეა, პოემის დმერთი ყველას ერთხანიად შეფარველობს ხოლმე!

სპექტაკლი პატრიოტულ თემზავა შექმნილი. თავისუფლებობა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს კლასიკური პოლონური დრამატურგიაში და ეს ნაწარმოებებიც ამ ხალს აგრძელებს.

ხალს სჯერა, რომ დმერთი დახმარება მათ მხავრელების წინააღმდეგ ბრძოლაში, სჯერა რომ თითქმის იარბლის გარეშე შეიძლება გამარჯვება. წარმოდგენაში მხირად ლოცვის მიმართავენ ღვთაებას დახმარებისათვის. ზოგჯერ რელიგიური ექსტაზი ერთგვარ მისტერიულ იერსაც იძენს. ასე მეჩვენა, რომ მეორე მოქმედების მიმდეგ სპექტაკლი ერთგვარად მოდუნდა. აღარ ჩანდა ის ამაღლებულბობა და შინაგანი სისასუბე, რომლებიც ასე გაბიორჩეოდა თუნდაც მეორე აქტი. დგორბატოლდაც მეორე რამ იყო საყურადღებო წარმოდგენაში, იგი დიპლომანტს გაუფორმებია, როგორც ჩანს, დრამატული პოემის სასიათის ერთგვარად შეუბორკავს ახალგაზრდა მხატვარი. ზოგჯერ ცენზა შეიძლება იყო გადატვირთული დგორბატოლული აქუსურებებით, იხულებდნენ ცენზურის სიგრცე, მაგრამ საერთოდ მინც იგრძობობდა პერსპექტიული მხატვარი.

კრავაჯის თეატრში ნანახი ისტორიული პიესის (იგი დაიწერა 1843 წ.), სულსკეობა ვროგვარად გაგრძელებდა, როცა თანამედროვე დრამატურგ ე. ბრილის „შუშაზე

დახატული“ ვნახე „პოლონურ თეატრში“, ბრილის საყვარული თემა — ფოკლორის გაცოცხლება, ხალხის პატრიოტიზმის, მისი იუმორის, ხალხის სულისკანაძმურეცხვა, მწერალი აზროვნების სახიერად, მკვეთრ თეატრალურ ფორმებში ხატავს ტიპებს, იძლევა მათი კონტრასტის ნიჭიერი ინტერპრეტაციას. მუსიკალურად გადაწყვეტილი სპექტაკლი ადვილად იკვლავს გზას მაყურებლისაკენ. მაყურებელი დიდი უშუალობით იღებს თავისივე სულის ორბულს — ხალხურ ფორმებს, მის ნათელ შინაარსს, „შუშაზე“ დახატული „სანტერესთა სახილველად და მოსახმენადც, მარტეგ დგორბატოლ დახატული მსახიობები მსუბუქად მოძრაობენ, წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალურ ფენებს. იძლევიან მათ კონკრეტულ დახასიათებას.

მარტეგია სპექტაკლის სიუჟეტი. სახალხო გმირის თემა, რომელიც შორეულად ჩვენს არსენას გავიზიარა, გამოხატულია ძუნწად. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ თითქმის იგი მეორე პლანზე დგას და უშუალოდ აქტიური მონაწილეობას არც იკ იღებს მოვლენების განვითარებაში. მოვლენების ცენტრში მინც ხალხია. მახვილონიერება და სასამოვნო სიმღერები ერთგვარად არბილებენ სოციალურ პათოსს, მაგრამ ჩანს, რომ დრამატურგს ხალხურად სხვა მიზანი არც კნობია იმის გარდა, რაც სცენაზე ვნახეთ. საერთო შთაბეჭდილებას რამდენადმე ახელებს მოქმედების შედმეტი გაბილობობა, კომპოზიციური თავისუფლება, რომელიც ზოგჯერ მოქმედების მიდუნებასაც ი იწვევს.

ზღაპარი „შუშაზე დახატული“ გ. ნახუცრიშვილის „ქიწურკავში“ გავიზიარე. მათ შორის არის საერთო. ხალხურბობა, ფოკლორული ნიღბები, სიმართლისათვის ბრძოლის იდეა, არის ამ ორი განსხვავებული პიესის შემხედვითი წერტილები.

მძელია გადატვირთი ლაპარაკი თანამედროვე პოლონურ თეატრზე, ვიდრე ღრმად არ გაეცნობი მის შემოქმედებას, მის მიღწეობასაც და ნაკლავს, მაგრამ ის, რაც ვნახე, მაყურებლებს, რომ თოული, მრავალპლანიანი და საუბუნისხმო ცვლილებები ხდნენ თეატრებში. პატრიოტული რეალისტური სპექტაკლების გავიზიარე იდგმება მკვეთრი პირობითი სტილიზებული წარმოდგენები.

მეტად საყურადღებო იყო გიოთის „ფაუსტის“ თავისუფალი ინტერპრეტაცია „პოლონისის თეატრში“. სპექტაკლის პრემიერა 1971 წლის ივლისში შემდგარა, ჩვენ იგი ნოემბრის მიწურულს ვნახეთ, დარბაზი მაყურებლებით იყო სავსე. წარმოდგენის რეჟისორი და მხატვარი (ი. შინი) ერთი და იგივე პიროვნებაა. სპექტაკლიდან ჩანს, რომ სანტერესული მოზარტული ხელოვანობა გაეკავს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ თეატრალური ესთეტიკის თვალსაზრისით ზოგი რამ სადავოდ გვეჩვენება. მრავალფეროვნის როლს ბ. პავლიკი ასრულებდა. იგი სხვა რეგისტრაცია ვნახეთ. გვიანტერესებდა მისი შესაძლებლობანი. პავლიკი საქართველოში იყო იმავე სასიათის მივლინებით, როგორც ჩვენ. ი. გოგოლევისა და ბ. პავლიკი პირველები იყვნენ, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ეწვივნენ საქართველოში, ამით საბჭოთა კავრისათვ და პოლონეთის კულტურული ურთიერთობის კიდევ ერთ ფორმას ჩავყარა საფუძველი. ი. გოგოლევის თავის წერილში „ქუთაისიდან ვარშავაში“ (იხ. „მოამბე“ 1970, № 2) ვწერდა, რომ იგი დიდად კმაყოფილი დარჩენილა ლ. გუდიანოვილთან შეხვედრით. „მივალ ნახატა შორის პავლიკის ყურადღება ერთმა ბავშვით — „გულის გადმარება“ — ასე ერქვა ნახატს. პავლიკი დანტერესდა იმით თუ როდის შეიქმნა ნახატს. პირველ ოქრანკამდე თუ შეიძენ? ოპერაქანამდე ძალიან დიდი ხნით ადრე. ასე, როცა ხელოვნება უსწრებს ცხოვრებას. ჩვენ ეგრედებით „თემარი ცხე-



ნების", „ხილის კრფის“, „მომღიმარე ქართველი ქალის“ და „გაზაფხულებს“ წინ. ჩვენ სპეციალისტები არ ვართ. ამ შთაბეჭდილებათა სრული გადმოცემა შეუძლებელია. და მიიღოს, შეგვეჯერო მითქვამს, რომ ვარშაველი კაცის სათვის პარსხ, ბუდაპეშტს და ლენინგრადს სპეციფიკური მომხმარებლობა გააჩნია მთელი. დღეს ამ სამ ქალაქს მე-ოთხეს — თბილისს გუმატენ.

სხვებზე პავლიცა შევხვდით მეფისტრადის რთული ვეჭვით, ზედმეტია თქმა იმისა, თუ როდენ არილი როლია. ბ. პავლიცის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მის შესძლო რთული ხლართებიდან ოსტატური თავის დაღწევა. თამამად, მგონი, მეტისმეტადც თამამად არის სპექტაკლი გადამწყვეტილი. სცენაზე ბეჭია კომპარტი, საშინელებათა და სიმამინჯეთა ხილები. შესანიშნავად არის დგომარეული ფორმა მოძებნილი. გრანდიოზული აპარატურა, რომელიც მთელ სცენას აკვს, რაღაც კოსმოდრომის ილუზიას ქმნის. მისი მოძრაობის რიტმი და სიჩვენების ხმა, საგანგაშო ატმოსფეროს ქმნიან, მით სპექტაკლში შეაქვთ დაძაბულობა. ყოფილი, ჭანრული დრამატული გათქმნა და მისი შუბრისპირება ფართო განზომილების სცენურ მონახებთან, წარმოდგენის შექსპირული კონტრასტების იერს აძლევს.

„ფაუსტმა“ მსჯელობა შეიძლება უფრო ვრცლად, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი ეს არაა. ამჯერად უფრო ზოგად, შესაძლოა ემპირიული შთაბეჭდილის გადმოცემით დავემსოფიოთ მხოლოდ.

ჩვენი მოზაურობის მიზანს გამოცდილების გაზიარებაც შეადგენდა. გამოცდილება კი პოლინურ თეატრებს ცოტა როდი აქვთ, მდიდარი და მრავალმხრივია იგი. ჩვე ყურადღება მიიქცია თეატრის ფოიერის გაფორმებაში. თეატრში პოპულარული წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გაყიდვის ორგანიზაციამ, პროგრამებისა და ავიდების მართვამ კულტურამ. მე ვეჭვობ, რომ თეატრის პროგრამები აქ შესანიშნავი რეკლამაა. პროგრამაში ხშირად დრამატურების პორტრეტაცაა დაბეჭდილი. აქ არის მოთხრობილი პიესის მთელი შინაარსი. ამასთანვე ხშირად დაბეჭდილია მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეების მიერ სპექტაკლისა თუ პიესის შესახებ გამოთქმული საინტერესო მოსაზრებანიც.

როცა ვარშავას ათავალიერებთ, თქვენს ყურადღებას უსათრავდ მნიშვნელოვან ახალი სახლების სიმრავლე. ახალია მთელი ქუჩები, კვარტალები, სახელმწიფო დაწესებულებათა მთელი კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, კულტურის კერები. ვარშავაში მილიონ სამამი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. ყოველწლიურად ამდენი და უფრო მეტი ტურისტები ეწვევა ხლმდე პოლინეთს. შენდება, იხრდება და შეიკეთებება იგი. ყველაფერ ამას ვარშავაში ჩასვლის პირველსავე დღეს იგრძნობთ, მაგრამ როგორც კი ძველ ქალაქში მოხვდებით და იქ შეუჭრებით მოკლებულ რაიონს დოკუმენტურ სურათს ნახავთ, სულ სხვა თვალეხით დაუწყებთ ყურებას იმავე ქუჩებს, იმავე სახლებსა თუ პრისპექტებს. უფურები მას და პირდაპირ თვალეხს არ უჯერებ. ნეთუ ასე მალე, ისტორიულად უმოკლეს პერიოდში აღდგა ყველაფერი ის, რაც ფაშისტებმა ურდინდა დაანგრეს. მთელი ქალაქი როგორც ძველი კართაგენი აბჯავს პირისსავან მიწისა, მაგრამ დამთავრდა ომი და ფეიქსისებურად აღდგა ვარშავაც. დოკუმენტური სურათი და ის, რასაც ნახევაჩი საათის შემდეგ ვარშავაში დანახავთ, სავსებით კონტრასტია. თითქოს არ გჯერათ, ნეთუ ეს ქალაქია, რომელსაც თქვენ ვარშავა უჯერებდით. ვერანზე კი ქალაქი კი არა, ნანგრევების გროვა იდ-

გა. მტრის ასობით თვითმფრინავი ბომბავდა ვარშავას იხორციებდა ათასები, დიდები, პატარები. შემპრწეული სურათი იყო. კინდარბაზს მიმიე განუყობილებურად ტრეფე, ერთხანს ვერ განვთავისუფლდი, ეგრანზე ნაცისტსავან, მაგრამ ისტორიის თანამედროვეობა სძლია. სიკვდილის სავსე, განახლებული ვარშავის შთაბეჭდილებებმა დაფარა წარსული. იქქია მთლიონი პოლინელი შესწავლა მთელი მსოფლიო ომს. 1946 წელს პოლინეთის მოსახლეობა 24 მილიონამდე შემცირდა, მაგრამ დრომ და განახლებულმა ვენერამ თავისი გაიტანა. ახლა 32 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს პოლინეთში.

ვარშავის ძველი ნაწილი თავისი პირვანდელი სახით არის აღდგენილი. სარესტავრაციო მუშობა ჩატარებულია გონივრულად, დიდი ტაქტით. როცა მის მიუღწეზე და ქუჩებში დაღიხართ, ისეთი ილუზია გექმნებათ, თითქოს დგომარეობაში გისდებათ სიარული.

...გამახსენდა ძველი თბილისი უბნები. მსგავსება შორეულია. ორივე ქალაქს ძველი ყოფა და ისტორია აქვს შემონახული, ეს არის და ეს, მაგრამ განახლება სხვადასხვაა. თქვენს მიხედვით მოვალე-პატრონობა მაინც აკლია ძველ თბილისს. ამ იგრძნობა თუ გნებავთ ერთგვანი მორბა-ლებაც კი იმისაღონ, რაც თბილისის წარსულთან. მის განუყოფილებელ კოლორიტთან არის დაკავშირებული...

თეატრალური შთაბეჭდილებები და პარალელები შეიძლება გავრცელდეს. რასაკვირველია, ერთ წელიწადში ყველაფერს ვერც დატყ. მაგრამ რაკი პარალელებზე მოგვიხსნა საუბარი; სხვაგ უნდა ითქვას. მხედველობაში მაცეს თეატრების და მყურებლის ურთიერთობის პრობლემა. როგორც კარგი სპექტაკლი, ისე სასამოფნო კარგი მაყურებელი თეატრში. ამ მხრივ ბედნიერია პოლინელი მსახიობი და რეჟისორი. მათ მკათ ბულწრეული და მათი მზრობის დამფასებელი მაყურებელი. ყველა სპექტაკლი, რომელიც მე ვხანე, მიუხედავად იმისა კარგი იყო თუ სუსტი, ტარდებოდა მაყურებლის კეთილი განწყობილების ატმოსფეროში. დარბაზში იდგა სრული სიჩუქე. მსახიობის მცირე შრომაც კი არ იკარგებოდა შეუფასებლად. ერთი სიტყვით, პოლინეთის თეატრს ჰყავს აქტიური მხარდაჭერი და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ამას იმიტომ ვამბობ ხანჯასმით, რომ ხშირად მაყურებლობა გულგრილობა და ერთგვარი „გადაპრანჭული“ პონხ ხელს უწლის წარმოდგენას და საერთოდ თეატრს. სცენასა და პარტებს შორის დამყარებული კონტრაქტი არის ის ურთიერთვაკება, რომლის გარეშე წარმოდგენილია თეატრში რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა. ცხადია, ჩვენ იმას არ მივითხოვთ, რომ მაყურებელმა სუსტი სპექტაკლი აქოს, არა, მაგრამ როცა კარგი სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ტაშის დასასრავად აღარ სცლია და ისე მიზნის თეატრიდან, — ეს უკვე ძალზე ცუდია. მსახიობის შრომას ღირსეული დამფასებელიც უნდა!

თეატრისა და მაყურებლის სულიერი ერთობის მრავალი ფაქტ იცის ისტორიის.

თეატრის იდეალიც ეს არის. მიუხედავდეს და შეიწყვას მაყურებლის სულსა და გულს. ესოდენ ძნელი მისია ქართულ თეატრს არაერთხელ შეუსრულებია წარმატებით.

მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ დღეს მიღწეული იყოს იმგვარი ერთიანობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვეჩინდა საუბარი. პოლინეთის მაყურებლის მხარდაჭერამ თავისი თეატრისადმი, დიდად გაამარა. ვისურვილად, რომ ჩვენი მაყურებელიც (ცხადია ყველამ აც ენება!) ასე გულისხმიური იყოს თეატრისადმი!



### ბიბლიოგრაფია

პროფესორი ალ. ლონტი

საბჭოთა ლექსიკოგრაფიას ახალი კაპიტალური შრომა შეემატა. გამოვიდა ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის I ტომი, პროფ. ალ. ლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971 წ., რედაქტორი პროფ. დ. მგელაძე).

1961 წელს ჩვენი დაუღალავი მკვლევარის ალ. ლონტისავე რედაქციითა და ვრცელი გამოკვლევით გამოქვეყნდა ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი. ეს იყო მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი დედაენის სიტყვიერი ფონდის აღწერა-შესწავლასა და მნიშვნელობათა დადგენაში. მის ხელნაწერებს მკვლევარმა ლენინგრადისა და თბილისის საცავებში მიაკვლია 1954 წელს, ისინი ერთმანეთს შეუჯერა, ტექსტი რედაქციულად გამართა და სამეოთხე გამოიტანა.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ ყოველი ენის ექსპრესიული ძალა და გამოხატველობითი შესაძლებლობანი, პირველ ყოვლისა, ლექსიკური საუნჯის მოცულობით განისაზღვრება; ამიტომ გარკვეულად გამართულ ლექსიკონთა მასალის სიუხვე ეროვნული ენის შინაგანი პოტენციის პირდაპირი მარკვემელოცე არის და მისი სიცოცხლისუნარიანობის დადასტურებაც.

ლექსიკონების შედგენის ტრადიცია საქართველოში ძველი საუკუნეებიდან მომდინარეობს. ამაში ადვილად ვერწმუნდებით, როდესაც ვგეგნობთ ჩვენი კლასიკური მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლების ექვთიმე, იოანე და გიორგი მთაწმინდელების, ფერე მცირის, ექვთიმე ათონელისა და სხვების ფართო ლიტერატურულ-მეცნიერობრიობისა და სარედაქციო-ფილოსოფიურ მუშაობას,

რასაც ისინი გარკვეულად უთავსებდნენ ორიგინალური ნაწარმოებების თხზვას. ქართული სასულიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის ეს ნაყოფიერი მუშაკანი გამოწვლილვით სწავლობდნენ ყოველ მშობლიურ სიტყვას, ტერმინსა და გამოთქმას, გულისხმბერებში ადგენდნენ მათ მნიშვნელობას და დიდი ოსტატობით იყენებდნენ ბერძნული ტექსტების გადმოქართულებისას.


ეს ურთულესი და ფაქიზი სტილისტურ-შემოქმედებითი მუშაობა, ისევე, როგორც განყენებულ საღვთისმეტყველო ნაწარმოებთა კომენტარების დაწერა, რასაც ტექსტოლოგიური ძიებით გატაცებული მთარგმნელ-მწიგნობარნი მზირად მიმართავდნენ, შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა სახის ლექსიკონის, სპეციალური საძიებლისა თუ სიტყვარ-ცნობარის დაუმარებულად. ბოლო ხანებში აღმოჩნდა კიდევ ვფერე მცირის მიერ შედგენილი მომცრო სიტყვარი, რომელიც „შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ქართულ ლექსიკონად“.<sup>2</sup>

ჩვენთვის ცნობილი პირველი მოღვაწე, რომელმაც ფართო მასშტაბით განაახლა და განაგრძო კლასიკურ ხანაში გაშლილი ლექსიკოლოგიური საქმიანობა, კოლოსალური შრომა გასწია და მე-17 საუკუნის ბოლოს ვრცელ განმარტებით ლექსიკონი შეადგინა, იყო გამოჩენილი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი.

„სიტყვის კონის“ შესავალში სულხან-საბა გარკვევით მიუთითებს ძველ საქართველოში ლექსიკონების არსებობაზე, რომლებიც „ერთმა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო“, ამ აზრს ლექსსადე გამოთქვამს:

# ერთა კულტურული ურთიერთობის ნაყოფი

ილია მაისურაძე



აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაქარგოდათ ქართველთა,  
უკრძალველობით ფურცელით გაებნიაყე ქართ ველთა.  
ახლად შევიკრიბე, შევიწყვიტე, ჩემი ვიწრომე სულ ხანი,  
და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი.

საბას ლეჟისონი უშუალო გამგრძელებლად მე-19 საუკუნეში პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სიტყვიერების კათედრის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი ითვლებოდა. 1887 წელს მან საკმაოდ ვრცელი, 33 ათასზე მეტი სიტყვის შემცველი ქართულ-რუსული ლექსიკონი გამოაქვეყნა (საბას ლექსიკონი 16 ათასამდე სიტყვას შეიცავდა და მთელი ეს მასალა თითქმის უკლებილად შეიტანა თანხის შრომაში).

ჩვენს სიძველეთა საცავებში შემონახული მასალებიდან ირკვევა, რომ ჩუბინაშვილამდე სალექსიკონო მუშაობას ჩვენი კულტურის სხვა ამაგდარი მოღვაწეებიც ეწეოდნენ (იოანე ბატონიშვილი, დავით რექტორი და სხვ.) და, მათ შორის, როგორც ალ. ლონტის გამოკვლევებიდან გახდა ცნობილი, ყველაზე თვალსაჩინო ნიკო ჩუბინაშვილი იყო, რომელმაც თავდადებული შრომის შედეგად შექმნა ფართო პროგრამით მოფიჭრებული, პროგრესულ მეცნიერულ მეთოდებზე აგებული აკადემიური ხასიათის სალექსიკონო შრომები. ამით მან გზა გაუკაფა მომდევნო მეცნიერთ, კერძოდ, თავის მძინწულს დავით ჩუბინაშვილს, რომელიც დიდად არის დაჯალბებული თავისი წინაპრისაგან.

ნიკო ჩუბინაშვილი (1788-1845 წწ.) გასული საუკუნე

ნის I ნახევრის მეცნიერი და მოღვაწე იყო. იგი ღირსეულად აგრძელებდა ქართული კულტურის შესასწავლად მიმართულ იმ დიდ საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ რუსეთში გადასახლებული მისი წინამორბედი მკვლევარ-განმანათლებლები. გარდა ენათმეცნიერული მუშაობისა, ნიკომ სხვა ამაგიც დასდო ქართულ ფილოლოგიას: 1845 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, გაეცნო იქ დაცულ ქართულ სიძველეთა ძეგლებს, პირველი ცნობა მოგვაწოდა გიორგი მერჩულე ცნობილი თხზულების „გრიგოლ სანძეთელის ცხოვრების“ არსებობაზე; ინახულა ჯერის მონასტრის კედელზე გამოსახული დღეს ყველასათვის ცნობილი შოთა რუსთაველის პორტრეტი და რუსეთში დაბრუნების შემდეგ მისი ასლი შეკვეთით დაასატყინა.

5. ჩუბინაშვილის შემოსწინებელი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლის მასალების შეკრება-შესწავლა ავტორის ჭაბუკობიდანვე დაუწყია („ჩემი ცხოვრება სრულდებით ამის შრომაზედ გამიბარებია“ — ამბობს იგი), დასათარებულა როგორც «Полный словарь русско-грузинский». მასში დაასლოებით 80 ათასზე მეტი სიტყვაა განმარტებული (გამოცემულ I ტომში 35 ათასზე მეტი სიტყვაა შესული) და ქართულ-რუსული ლექსიკოგრაფიისათვის ძვირფასი ნაამგარია. ნაშრომი ასახავს ორივე ენის ლექსიკური ფონდის ვითარებას XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, კერძოდ, წარმოდგენას გვაძლევს რუსული ენის სიტყვიერ საუნჯეზე, სანამ მას დიდი პუშკინი მოველინებოდა და ასევე ქართული



ენის სიტყვათა მარჯვე ილია ჭაჭავაძისა და „თერგა-  
ლუელის“ მოღვაწეობის დაწვებად.

ლექსიკონი შედგენილია დიდი გულისხმიერებით, სფ-  
როსილითა და კეთილსინდისიერებით. გამოყენებულია  
მედიდარი წყაროები (მათ შორის რუსული სასულიერო  
მწერლობის ძეგლები). მითითებულია ენები, საიდანაც  
წარმოსვლილებს ნასესხები სიტყვები, გათვალისწინებულია  
ეტიმოლოგიური საწყისები და სიტყვის გრამატიკული აგე-  
ბულება.

ავტორი ღრმა ცოდნასა და განსწავლულობას ამჟღა-  
რებს ენობრივ ფაქტების კვალიფიკაციის, მისი გრამატიკ-  
ულ კონსტრუქციას თავისი დროის დონეისტრუქტურითა  
და მეოთხედილოის სიმარლუვე დგას. ეს მელაუნდ-  
და სალექსიკონი ერთეულთა დახასიათებისა. აქ, როგორც  
წესი, მოცემულია სიტყვათცვალებადობის სახეები უმთავ-  
რესი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (ბუნება,  
რიცხვი, სქესი, დრო, გვარი და სხვ.), გამოყოფილია მე-  
ტყველები ნაწილები და მითითებულია სიტყვათა სემან-  
ტიკური ჯგუფები, აღნიშნულია მწივნობრილი, ყოველ-  
დღიური სასაუბრო ხმარების არქაულ სიტყვათა რიგები.

საგანებო ყურადღებას იმსახურებს ლექსიკონის  
მიერ გაწეული დულაღავი შრომა ცალკეულ რუსულ სიტ-  
ყვათა მნიშვნელობის დადგენასა და ქართულად გადმო-  
ცემა-განმარტებაზე.

ავტორი რუსულ სიტყვას ჯერ მოკლედ ხსნის, მოწინა-  
ხას რა მას ერთ ან, საჭირო შემთხვევაში, რამდენიმე ქარ-  
თულ შესატყვისს (მაგ. Дробь, საფანტი; Дикарь,  
ვეფრონი, გარეული; Дом, სახლი, სადგომი, ვანი) და ამის  
შემდეგ, ქართულმა შეითხველმა რომ უკეთ შეიმეცნოს ასა-  
ხსნელი სიტყვის შინაარსი, იძლევა განმარტავი სიტყვის  
მონაწილეობით შექმნილ ბუნებრივ თქმებს, უფრო ხშირად  
კი ფრაზეოლოგიურ შენაერთებს (იდომებს) თავისი ქარ-  
თული შესაბამისობით. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა  
День რომლის ქვეშ ვკითხულობთ: днѣ, уменьши-  
тельное денек, -нѣка, существительное  
мужского (Книга бытия, 1, 5) დღე, ნათელი შუის  
მიერ. || (Евангелие от Матфея, 12, 10) დღე, ვაპი.  
აღმოსკლავან შუისათ ვიღერ დასტადმდე||დღე 24  
საათი ანუ ვაპი.||Множественное (Евангелие от  
Матфея 2, 1), დღენი, ვაპი ცხოვრებისა, სიცოცხლე. —  
День за день — დღე დღეზე მიგდებოთ, დაკვახებით. —  
День ото дня, დღე და დღე უჯობებს ანუ უარესად. —  
Со дня на день, დღე დღეობით მოლოდინი. — День  
денской (простонародное), მთელი დღე დღილად  
სალოდინი. — Среди белого дня, დღისით, შუისით. —  
Белый день, თერთად გათენებული დღე. — Всякий  
божий день, ყოველ ცისმარ დღეს. — Днем, დღისით.

უხეი კონტრასტის გამოყენება სიტყვათა განმარტება-  
ში წინადადებებისა და ფრაზეოლოგიურ შენაერთათა სახით  
აქ გამოხატულია როდია. აქ წესი გადასდეს მთელ ლექსი-  
კონს, რაც მას ფრაზეოლოგიური სიტყვიანის ხასიათს ანი-  
ჭებს და ადვილად მოსახმარად ხდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი განმარტავი სიტყვის  
შინაარსს რაც შეიძლება დეტალურად გადმოცემს, მიმარ-  
თავს მოცემული სიტყვის მიერ აღნიშნული იმიჯების საგ-  
ნობრივ აღწერას ქართულ ენაზე (Алебарда, Акшаз,  
Беседка, Вешняк, Грот, Гуж, Жерло, Канал, Камень,  
Камемер, Коромысло, Млечный и др. სხვ.).

სალექსიკონო სიტყვათა რაოდენობას საგრძნობლად  
ზრდის დერეგატები, ე. ი. ძირეული სიტყვიდან წარმოქმნი-  
ლი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ავტორის ავრთველ  
განმარტებით ნაწილში მოუცვევია. მაგალითად, Амбар  
სიტყვის ქვეშ ჩამოთვლილი და განმარტებულია რიგრიგო-

ბით Амбарный ამბრისა, საამბრე — Амбарное и ам-  
баршина ამბრებზე დადებული ქობა. — Амбарщик,  
ამბრისი პატრონი ანუ მებაზრე, ამბარაღი. Амбарщик

ყველა ჩამოთვლილი ინფორმაცია, რომლებიც სხვადა-  
სხვა შემთხვევაში მეტ-ნალები ოდენობისა გამოყენებულ-  
ი, აშიდღებენ ე. ჩუნიანაშვილის ლექსიკონს, ახსენებენ  
მასში წარმოდგენილი ლექსიკური ფონდის სემანტიკას  
და უმეტეს შემთხვევაში, სწავლებიან როგორც რუსული, ისე  
ქართული ენების ბუნებასა და თვისებას.

ავტორის პასუხისმგებლობა მაღალია, მას ყოველი სი-  
ვება სერიოზულ ძიების საგანდ უქცევიდა და მათ ირგვლივ  
საინტერესო, მისი დროისათვის შესაბამისი შეცნობიერული  
განმარტება-სტატები შეუდგენია, ზოგჯერ საკმაოდ ვრცე-  
ლი და დაუსტებულეც. მაგალითად, Бог სიტყვის გან-  
მარტება 56 სტროქისაგან შედგება, ЖИВЫЙ სიტყვის  
48-ისაგან, Бери წმინსა 22 სტროქონი აქვს დათმობილი,  
Вратаს — 18, Гораს — 15 და ა. შ.

ნაშრომი, რასაკვირველია, შორს დგას როგორც რაო-  
დენობრივი სიბრტლისა, ისე თანამედროვე თვალსაზრისით  
გაგებებულ ლექსიკონადერთი თხზულების იდეალური ნი-  
მუნისაგან, მაგრამ დიდი მისი ისტორიული ღირებულება.  
უნდა გაითვალისწინოთ, რომ ის პირველი რუსულ-ქარ-  
თული თარგმნითი ლექსიკონია, რომლის ავტორს წინამორ-  
ბედი არ ჰყოლია და მხოლოდ თავისი დიდი გრუდღივითა  
და დაუსტველი შრომით შექმნილ ველო გაკვეთილ  
გზით, დადილია რუსული ლექსიკური ერთელების ქართულ-  
ლად გადმოცემის სიმწელები და ამასთან ნიადაგი მოემ-  
ზადებინა რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შეს-  
წავლავზე მომუშავე მომავალ მკვლევართათვის.

სარგებელია ნაწარმოების გამოყენებით ჩვენს წინაშე  
წარმოდება ქართული ლექსიკონარაფის ს-ს. ორბელიანისა  
და დ. ჩუნიანაშვილის შუალედური ხანის აქამდე უცნობი  
საფხური, რითაც საშუალება გვეცვლება თვლი გაავადე-  
ნით ამ საგანთმეცნიერო დარგის განვითარების უწყვეტ  
პროცესს. მაგრამ ამითაც არ ამოიწურება ე. ჩუნიანაშვილის  
ნაწარმოების ძალი და მნიშვნელობა. საბას „სიტყვის გო-  
ნი“ მსგავსად, იგი დღემდე ინარჩუნებს სიცოცხლისუნა-  
რინაობას. მის წიაღში თანამედროვე რუსული და ქართულ  
ეტიმოლოგიური მყენიერებანი ბევრ საგულისხმოდ ფაქ-  
ტურ მასალად და პრინციპულ დეტალებს ნახავენ შემ-  
დგომი კვლევა-ძიების წარსამართავად. შევებით ამის და-  
მადასტურებელ ორიოდ ფაქტს თხზულების ქართული ნა-  
წილიდან.

ლექსიკონში წარმოდგენილ Баю и байსა ამხსნელ  
ქართულ „ნანას“ სინონიმად ახლავს უწყველ სიტყვა  
„არუუ“ ფრჩხილებში მოქცეული განმარტებით: „არუად  
დასაძინებელი ხმა“, რომელსაც სხვა ლექსიკონებში ვერ  
ვხვდებით, მაგრამ ქართულ და მეცხური კოლმისათვის  
ესემა არ არის. მისი მნიშვნელობა აქაც პავვის დამტყნა-  
სთან არის დაკავშირებული და შემოიხასხულია „არსრუ“-ს  
სახით, როგორც პავვისსადმი მოწოდების შეძახილი. ამით  
განსხვავდება იგი იაფანისაგან, რომელიც ტკილპანგანი  
საკალიობელია. ჩვეულებად, ატირებელი პავვისს აკვანს  
დვად ძლიერად გადაარაწებს და შესძახებს: „არუუ-რუ-  
რუ!“ შესრულების მოწოდებითი მანერა და სიტყვის ფო-  
ნოლოგიური შედგენილობა საუბრეებს ვაძლავებს ვიფიქროთ,  
რომ რუუ-არუუ წარმართული ღვთაების სახელი უნდა  
ყოფილიყო. წინააშუირო უქველესი რელიგიური მსოფლ-  
მოდელისათვის პათეონში ვხვდებით მსგავს სახელწოდებ-  
ებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართლში ძველთაგან შემ-  
ორჩენილი ჭიაკოთონის დღეობაზე დაწინებულ ცესლს  
რომ გადასატყობდნენ, სავალდებულ იყო დაეძახათ: „არუ-  
ლი კუდიანებს!“ არსსი დისიმილებული სახეა არუუ-არუ-

რისა, ისევე, როგორც რური-საგან შეიძლება წარმოდგა-  
რიყო ცნობილი სიტყვა რსლი.

ამრიგად, სიტყვა რურუც გამოყენებით ნ. ჩუბინაშვილ-  
მა საყურადღებო ცნობა მიგვცა და ერთი ანტიკური ხანის  
ლექსიკურ ფაქტზე.

ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვა Антидот-ს ავტო-  
რი ხსნის, როგორც „საწამლაკის საკურნებელს ანუ დამა-  
ყენებელს“ და მის შესატყვისად მშშრასს ასახელებს. ეს  
უკანასკნელი საბას მიხედვით „იკუნდის მაჯუნია“, ხოლო  
„ვეფხისტყაოსნის“ შემდგენლის პროფ. იუსტ. აბულაძის  
მითითებით — „ნაღლის ანუ სვედის გამწარებელი სა-  
შუალება, მწუხარების უკუმყრელი რაჟი“, აკად. აკ. შანი-  
ძე კი მას ასე ხსნის: „კი გუნებაზე მოყვანი წამალი“.

ფიქტირობთ, რ. შუსთაველის უკვად პოემაში გამოყ-  
ნებული ამ სიტყვის მნიშვნელობის მეტი დაზუსტებისათ-  
ვის ნ. ჩუბინაშვილისეულ ინფორმაციას გარკვეული მნიშ-  
ვნელობა ექნება.

ამგვარი ლექსიკური ფაქტების სიმრავლე საინტერესო  
სამაგიდო წიგნად აქცევს ნ. ჩუბინაშვილის თხზულების  
მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთათვის.

ხელოვნებაში მოცდენებს უთუოდ გამოადგება საკრავი  
ინტერუმენტების, სამხატვრო, სათეატრო და სამუსიკო  
ცნებების აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინები, რომელთა ასხ-  
ნა-განმარტებაში საგულისხმო ცნობებს ვხვდებით (მაგა-  
ლითად, Балет, Бандура, Бубен, Варган...).

სალექსიკო ერთეულების ერთი ნაწილის განმარტე-  
ბა უთუოდ ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველს.  
ასეთ სიტყვებს დღეს ან სხვანაირი სემანტიკური განხრა  
აქვთ, ან შესამწევად შეზღუდული და ღარიბი შინაარსი.  
ეს ადვილი გასაკვირა. ლექსიკონი დახლოებით საუკუნენა-  
ხვერის წინათ არის შედგენილი, მას შემდეგ ბევრი სიტყვა  
შეიკვალა, მასშტაბი გაიფართოვა, შინაარსობრივად გამ-  
დიდრდა და ამაღლდა. რამდენიმე მაგალითიც დაგიმტკი-  
ნებს ამახ: Зачочный განმარტებულია, როგორც „მუნ  
არ ყოფაში მომხდარი“, ხოლო Заочно — „თავსუკანა“,  
Зачочность — „იქ არ ყოფა, არ დასწრება“. ასეთი

ასხნა კარგად მივიხსნით სიტყვის ოდნედილ შეზღუდუ-  
ლობაზე. დღეისათვის კი ყველასათვის ცხადია ამ სიტყვის  
ინტენსიურობა. იგი ფართო ასპარეზზე გამოვიდა და უმაღ-  
ლეს სასწავლებელთა ცხოვრებაში აქტიური მოხმარების  
ტევად ტერმინად იქცა (დაუსწრებელი სწავლება, დაუს-  
წრებელი სტუდენტი, დაუსწრებლობა და სხვ.); Выкло-  
уаю ზმნის შესაბამისად დღეს ვამბობთ: „ერთავ“.

აქედან მიღებულ „გამორთავ“, „ჩართავ“ ამჟამად ტექნი-  
კასა და ყოფაცხოვრებაში გაბატონებული სიტყვებია. ნ. ჩუ-  
ბინაშვილი კი მათ არ იცნობს და ხსენებულ ზმნის ასე გან-  
მარტავს: „გამორიცხავ, გამოვხვეცი გამოვადგამ, გადა-

ვაყენებ“; Выковыиваю-ს ქვეშ ვითხოვლობთ: „გამო-  
კვერავ, კვერში გამოვიყვან“. აქ არ არის მოხსნილი დიფ-  
ფართოდ გავრცელებული „გამოვიწართობ“;

ამგვარ ფაქტებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა  
ნათლად წარმოვადგინოთ ქართული ენის გიგანტური წინ-  
სვლა, მისი განვითარება განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდ-  
ში, როდესაც უჩვეულად გამდიდრდა და დაიტვირთა მისი  
ლექსიკა, დაიხვეწა და ჩამოიქნა გრამატიკული ფორმები.

ლექსიკონის განმარტებითს ნაწილში აქა-იქ ვხვდებით  
ზოგიერთ სარვეზსა და უზუსტობას, ენის ბუნებისათვის  
შუებუნებულ ხელოვნურად შექმნილ სიტყვა-თქმებს, რო-  
მელთა თავიდან აცილებს, მრავალი სინქსის გამო, უნდა  
ვიფიქტროთ, ავტორს არ შეეძლო. მაგალითად, ხელოვნურ-  
მის შობამებდობას ტოვებს უმეცნიერо Беспамят-  
ный-ს ასხნაში, თუმცა აქვე ბუნებრივი სიტყვებიც: უგუ-  
ლისყურ და გულმაგიწყი, ვედადეგარობ, ვპკარინაობ  
(Ветренник-ის ქვეშ წარმოდგენილი ზმნური ფორმის  
Ветренничю-ს ასხნადა), მეთავლე (Наглядник-ის  
შესატყვისად) და სხვ.

ქართული კულტურისა და ენის ისტორიით დაინტერეს-  
ებულნი ყოველი მკითხველი კმაყოფილებით შეხვდება მი-  
ვიწყებული ლექსიკოლოგიური საუბრის გამომწერებებს  
უანგარო ვართლი შექმნილი ნაშრომის სახით, რომელიც  
ქართულთა ერთად რუსული ენის ზღვა ლექსიკურ სა-  
განძურშიც გვახვდებს. იგი ენათა და ერთა სასარგებლო  
ურთიერთობისა და მეგობრობის უებრო ნაყოფია.

**შ ა ნ ი შ ვ ნ ა ი :**

1 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანი-  
ურით, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვეცივით, გამო-  
ცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961 წ., რედაქტორი  
ს. ყაუხჩიშვილი.

2 შ. შანიძე, შესავალი ევრემ მციერის ფსალმუნთა თარგმანე-  
ბისა, თბ. უნივერსიტეტის აველ ქართული ენის კათედრის შრო-  
მები, II, 1968 წ., გვ. 81-96.

3 ავტორისეული შემოკლებანი აქ ჩვენს მიერ გახსნილი თა-  
ნახმად წინ დართული შემოკლებათა განმარტებისა (იხ. გვ. 23-2).

4 ა. სვანიძე, შესავალი ალაროდელილ ტომთა ისტორიისა, ტფ.  
სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, III, გვ. 302, 305.

5 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951 წ. ლექსიკონი.

6 „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“, შეადგინა აკ. შანიძემ (იხ.  
შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957 წ.).





ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი. 1919 წ. მეორე რიგში მარცხნიდან მეექვსე მელიტონ ბალანჩივაძე, მისგან მარცხნივ ლარისა ქუთათელაძე. მეორე რიგში მარცხნიდან მერვე მისეილ შარაბიძე. პირველ რიგში მარცხნიდან მეორე კ. ფოცხვერაშვილი. იქვე ხელთი ხელში ანდრია ბალანჩივაძე.

# ქართული პროფესიული მუსიკის

## ს ა თ ა ვ ე ე ბ ტ ა ნ

ირინა სარუხანოვა

ქალაქ ქუთაისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა. აღდგა საქალაქო სტამბა, რომელმაც დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, გაიხსნა წიგნების მალაზიები, ჩამოყალიბდა ჟურნალ-გაზეთების გამაგრებლებელი კანტორები. 1881 წლიდან გამოდიოდა ქართული გაზეთი „შრომა“. ქუთაისის სასწავლებლებში თავს იყრდა მთელი დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური იდეებით იყო შთაგონებული.

განთქმული იყო ქუთაისის დრამატული თეატრი, სადაც 1861 წელს პირველი წარმოდგენა დაუდგამს დ. ბაქრაძეს. შემდეგ თეატრალურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგნენ ა. წერეთელი და ა. ლორთქიფანიძე. 1880 წელს კ. მესხის ინიციატივით აშენდა თეატრის შენობა, შედგა მუდმივი პროფესიული დასი, რომელსაც 1895 წლამდე თვითონვე ხელმძღვანელობდა. იგი შეცვალა ლ. მესხი-შვილმა, რომელმაც დასაბამი მისცა ქუთაისის დრამატული თეატრის დიდ აღმავლობას. ეს იყო ჰეროიკულ-რო-

მანტიკული სულისკვეთების რეალისტური თეატრი.

ქუთაისში პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარება საფუძველს იღებს ზოგად-საგანმანათლებლო სასწავლებლებში, სადაც მუსიკის სწავლებას დიდი ადგილი ეთმობოდა.

ქუთაისის სასწავლებლებსა და სკოლებში მოღვაწეობდნენ მუსიკოსები: მ. ბალანჩივაძე, ა. ბენაშვილი, ა. მრველივი (მრველიშვილი), მ. მაჭავარიანი, ვ. სალიჩი, ვ. ჩეტვერუხინი, ა. გრიგორივი. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვ-



ნული მუსიკალური განათლების საქმეში, ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს იოსებ, მიხეილ, ნიკოლოზ შარაბიძეებმა და კორნელი მაღრაძემ.

იოსებ შარაბიძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მისი ხელმძღვანელობით პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება მიიღეს შემდეგში ცნობილმა მოღვაწეებმა: ფილიმონ ქორძემ, მედიტონ ბალანჩივაძემ, კოტე ფიცხვერაშვილმა. იოსებ შარაბიძემ შეადგინა ქართულ ენაზე მუსიკის ელემენტარული თეორიის პირველი სახელმძღვანელო, რომელიც 1890 წელს გამოიცა თბილისში.

იოსებმა მუსიკაში სიყვარული ჩაუნერგა თავის ორ ვაჟს — მიხეილსა და ნიკოლოზს.

მიხეილმა (1872-1933) ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამფუძნებლის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია დაასრულა (ამ პერიოდში პარალელურად ი. რატილის გუნდში მღეროდა). შემდეგ პეტერბურგის სასიმღერო კაპელაში ჩაირიცხა, 1897 წელს დაამთავრა ამ უძველესი სასწავლებლის სარეგენტო კლასი, ერთხანს გალობის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იგი 1900 წლიდან მუსიკალურ საგნებს ასწავლიდა ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში.

1918 წელს დაარსდა ქუთაისის

მუსიკალური სასწავლებელი, სადაც მიხეილი მოსწავლეთა გუნდა ხელმძღვანელობდა, აქვე ასწავლიდა თეორიულ საგნებსაც.

90-იანი წლებიდან მიხეილმა ხელი მიჰყო ხალხური სიმღერების ჩაწერას. მისი ძმის — ნიკოლოზის დამოწმებით, მიხეილის ქალიშვილთან დაცულია მამისეული ხელნაწერები. ნ. შარაბიძის დხმარებით ჩვენ ჯაკეცანიძე მხოლოდ ერთ სიმღერას — „ფაცხასა“, რომელიც მიხეილმა 1894 წელს ჩაუწერია.

იოსების მეორე ვაჟის — ნიკოლოზის თვალწინ მიმდინარეობდა ქართული პროფესიული მუსიკის ჩასახვა-განვითარება. იგი თავად მონაწილეობდა ეროვნული მუსიკის ფორმირებაში. 1869 წლის 13 აპრილს ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებამ აღნიშნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის უხუცესი წევრის ნიკოლოზ შარაბიძის დაბადების 90 წლისთავი. მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ნიკოლოზ შარაბიძემ პირველი დაწყებითი მუსიკალური განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. დამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი (თეორიის კლასით, პედაგოგ ნ. კლენიოვსკისთან). შემდეგ კი სწავლა დაასრულა პეტერბურგის სამომღერლო კაპელაში ა. ლიადუვის, ნ. სკოლოვისა და ს. ლიაპუნოვის ხელმძღვანელობით. 1907 წელს ახალგაზ-

და მუსიკოსი მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა. აქ დაიწყო ნ. შარაბიძის ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ნ. შარაბიძე მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და „საგუნდო სიმღერის მოყვარულთა საზოგადოებაში“. ეს საზოგადოება 1908 წლის 11 აპრილს ჩამოაყალიბეს ივლიანე ანჯაფარიძემ და მიქეილაძემ. დირიჟორებად მიიწვიეს მძებნე შარაბიძეები, რომლებმაც 70-კაციანი (ოთხხმიანი) გუნდი შეადგინეს. ამ გუნდის რეპერტუარში შედიოდა ქართული ხალხური სიმღერები, დასავლეთევროპული, რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. 1912 წლის 31 მარტს ქუთაისის თეატრში გამართულ კონცერტზე გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები: „მარიკელა“, „ოი, შვადა იავდა“, „ოი და დელა“, „ქვედრულა“, „ფაცხასა“, „ორა რაგოო“, რატლის მიერ გადაამუშავებულა სიმღერები: „მიცურავს გვმა“, გაზაფხული“, „ეს ბაღი“, „მუხნუხი“, ნაწვევები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცივირი“ (ცირას „ნანას“ ასრულებდა ნიკოლოზის მუღულე ანასტასია შარაბიძე), ა. ყარაშეილის „სამშობლო“ და რამდენიმე გუნდი გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“.

გუნდი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მის კონცერტებს მუდამ ინტერესით ხედებოდნენ მუსიკის მოყვარულნი. ნ. შარაბიძე იკონებს, რომ ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ

პეტერბურგის კარის კაპელა. მეორე რიგი სხედან (მარცხნიდან) ა. ლიაპუნოვი, ს. ახევი, მ. ლიაპუნოვი, შჩეპოლოვი, სტეპანოვი. მესამე რიგში მარცხნიდან შეიძლება ნიკოლოზ შარაბიძე.





კრინივტელთა გუნდი მიხეილ შარაბიძის ხელმძღვანელობით. მესამე რიგში მარცხნიდან მოთხე მიხეილ შარაბიძე.

აკაკი წერეთელმა გუნდის ხელმძღვანელებს მხურვალედ მიულოცა წარმატება, ქება შესხა მთელს კოლექტივს. შარაბიძეების გუნდი მთელ დასავლეთ საქართველოში მართავდა კონცერტებს, მაგრამ მძიმე პირობებმა (პერძოდ კი სარეპეტიციო დარბაზის უქონლობამ, რის გამოც გუნდი იზვიათად იკრიბებოდა, ისიც საღამოობით, სანთლის შუქზე) 1915 წელს გუნდი დაშლამდე მიიყვანა.

1923 წლიდან ნ. შარაბიძე თბილისის კონსერვატორიაში ხელმძღვანელობს საგუნდო-სადირიჟორო კათედრას. პარალელურად ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობასაც. მან ჩაწერა და დაამუშავა მრავალი ხალხური სიმღერა. შექმნა საკუთარი ნაწარმოებები, მათ შორის: საბავშვო სიმღერების სამი კრებული (გამოცემულია სამჯერ — 1927, 1936 და 1952 წლებში), ვოკალური კვარტეტი: საბავშვო ოპერები — „მამლაცინა“, „გაზაფხული“, „სარგველა ბალახი“; მუსიკა საბავშვო სპექტაკლებისთვის, ორი საორკესტრო მარში, რომელთაგან ერთი 1918 წლის კონკურსში პირველი ადგილი მიეკუთვნა. თავის დროზე პოპულარობით სარგებლობდა მისი სიმღერები „განთიადვი“, „უცნობი მზარე“, „ჩვენ ვართ მჭედელნი“.

ახლანა მთავრდებოდა 1918 წელს ქუთაისში გამოცემულ ხალხური სიმღერების კრებულს, შემდეგი სახელწოდებით: „ქართული სამხმინი სიმღერების კრებული, მოკლე განმარტებით, ჩაწერილი და შედგენილი ქუ-

თაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის ნ. შარაბიძის მიერ ქართული სკოლებისათვის. ნაწილი პირველი“.

როგორც სახელწოდებები ჩანს, კრებული საერთო-საგანმანათლებლო სკოლებისათვის იყო განკუთვნილი. ამიტომ მასში მოცემულია მოკლე ცნობები მუსიკის ელემენტარული თეორიის სხვადასხვა საკითხზე. ნ. შარაბიძის კრებულში ხალხური სიმღერები ძირითადად უცვლელადაა მოტანილი. კრებული 1918 წლით არის დათარიღებული, თუმცა ავტორის სიმღერების ჩაწერა 1907 წლიდან დაუწყია. კრებული 18 სიმღერას შეიცავს, მათ შორისაა: იმერული — „ვა, პა, ჰეი“, „ერეკლე და პამპულია“, „მგზავრული“, „სუფრული“, მგერული — „ორერო და“, „საცეკვაო“, „მაყრული“, გურული — „ალავერდი“, „აბადელია“ და სხვა. კრებულში წარმოდგენილია სიმღერათა შედარებით მარტივი ვარიანტები. ნ. შარაბიძეს ზოგიერთი სიმღერის მგლოდია, ინტონაციური სვლები და ტექსტურა შეგნებულად გაუმარტივებია, რათა გაავადვილებინა მათი შესრულება 6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ამასთან ხალხური მუსიკის პარმონიული თავისებურებანი შენარჩუნებულია.

შარაბიძის ამ კრებულს დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება.

ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის კ. მადრაძეს. იგი ხალხური სიმღერების ჩინებული

მცოდნე იყო და თავადღვით იცავდა ქართული სიმღერა-სავალდებულის სიწმინდეს. ამასთან განუმარტავდა საზოგადოებას მათს დანიშნულებასა და ღირსებებს. ქუთაისის პრესაში შირად იბეჭდებოდა კ. მადრაძის სტატიები. იგი მოუწოდებდა ჩვენს საზოგადოებას ხალხური მუსიკის ნიმუშების დაცვას, შეკრებას, ჩაწერას. 1915 წელს კ. მადრაძე წერდა: „ქართველები რომ მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე გავიდნენ, ამისათვის უნდა ჰქონდეთ სამხმინი და თონხმინი მუსიკა“.

კ. მადრაძის (1870-1936) მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან. 1890 წელს ოლქის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისში დაბრუნდა. ჯერ სასულიერო სემინარიაში მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად, ხოლო 1906 წლიდან რეალური სასწავლებლის გუნდს ხელმძღვანელობდა. 1916 წელს გაზეთი „სამშობლო“ ნ. ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საღამოს შესახებ წერდა: „...ყოველგვარ მილოდინს გადააჭარბა რეალური სასწავლებლის გუნდის მიერ მრავალგამიერის „დიდება შენს გამჩენს“ შესრულებამ, რომლის სიტყვები და მუსიკა გუთინის მადრაძეს, აგრეთვე გუნდურმა სიმღერებმა „მიყვარს, მიყვარს“ და „მერანა“.

1 გაზ. „სამშობლო“, 1915 წ. № 117.



მართლაც კ. მადრაძის დაულალავი მეცადინეობით რეალურმა სასწავლებელმა წარუშლელი კვალი დატოვა ქუთაისის მუსიკალურ კულტურაში. ამ სასწავლებელში მოწოდებული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოებს ახასიათებდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება. დიდი ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (1912 წ.) დაიწყო კ. მადრაძის კანტატი მისსავე სიტყვებზე, შესრულდა აგრეთვე სიმღერები ილიას ლექსებზე „ჩემო კარგო ქვეყანაზე“, „სტუდენტების სიმღერა“, „მემისი, მემისი“ და სხვა. ეს სიმღერები კ. მადრაძემ ხალხურ მოტივებზე ააგო. მადრაძე არ იყო კომპოზიტორი-პროფესიონალი, მაგრამ მისი ნაწარმოებები მაინც საყურადღებოა.

მადრაძის კალამს ეკუთვნის საგუნდო სიმღერები და რომანსები ბარათაშვილის, ილიასა და ავაკის ტექსტებზე, მუსიკა საბავშვო სექტაკლისათვის. ისინი დღესაც ხელნაწერის სახით არის შემონახული.

ფიქრობენ, რომ 1891 წელს თბილისში გამოიცა კ. მადრაძის ვოკალური დუეტი (ქალთა სმებისათვის) მისივე სიტყვებზე „ჩემს ვარსკვლავს“, მაგრამ დღემდე არ არის შევსებული ამ სიმღერის გამოქვეყნებული ვარიანტი.

მადრაძემ ფოლკლორისტური მოღვაწეობა დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. მას ჩაუწერია: იმერული — „ჭონა“, „ოკრებული ნანა“, „წვეური ოდილა“, „წვეური ნადური“, „კვატიდა“, მღვრული — „ფაცხა“, „კუნა“, „სი ქოული, ბატა“, გურული — „ხზო“, რაჭული — „სუფრული“ და მრავალი სხვა. კ. მადრაძეს ჩაუწერია ხალხური სიმღერების იშვიათი ვარიანტები. მაგალითად, სიმღერა „ალოფაშა“, რომელიც კილო-პარამონიული ელემენტებით საგრძნობლად განსხვავდება ამ სიმღერის ყველა სხვა ვარიანტებულ ვარიანტისაგან.

განსხვავებულია აგრეთვე „წვეური ნადური“ მადრაძის მიერ ვარი-

ანტი, რომელიც უნიკალურად უნდა ჩაითვალოს. „ნადური“ კოლექტორული შრომის ამსახველი უძველესი სიმღერაა, მას გურიასა და აჭარაში მარგვალს, სიმინის ტყეხისა და რთვლის დროს ასრულებენ. არსებობს აგრეთვე ძალზე სპეციფიკური „ნადური“, რომელსაც მღერიან უფრო რთული სამუშაოს შესრულებისას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია თოხმხანი სიმღერა „ელენა“, რომელიც აწ ვარდაცვლილ განთბობის სამხრეთ აჭარაში ჩაუწერია.

კ. მადრაძის მიერ ჩაწერილი „წვეური ნადური“ არ წარმოადგენს ამ ჟანრის სიმღერებისათვის ტიპიურ ნიმუშს. მით უფრო მისასაღმებელია, რომ კ. მადრაძემ შემოგვიანხა მიეწვეული სიმღერა.

ამრიგად, ქუთაისში მოღვაწე მუსიკოსებმა ქართული პროფესიული მუსიკის გარიჟრაჟზე თავისი წვლილი შეიტანეს მის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ქართული მუსიკალური ლექსიკონის შედგენა-გამოცემა მტკად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეა. ამიტომ გამოცემლობა „განათლებლის“ მიერ ამას წინათ გამოცემულ ლექსიკონს ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა. უთუოდ მისასაღმებელია ესოდენ საჭირო და უადრესად შრომატევადი ლექსიკონის შედგენა-გამოცემა, რადგან მუსიკაში დღემდე არა გვექნა დაზუსტებული ამა თუ იმ ცნების შესატყვისი ქართული ტერმინები, სპეციფიკური გამოთქმები და საკუთარი სახელები. ეს მაშინ, როდესაც ქართული პროფესიული მუსიკა უკვე ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ლექსიკონის შეფასებისას პირუთენელობასთან ერთად, განსაკუთრებული სიფრთხილე და კეთილმოსურნეობა გვმართებს.

ბიბლიოგრაფია

# ს ს ს ს ს

## მუსიკალური ლექსიკონი

ნიკოლოზ ჭიაურელი

„მუსიკალური ლექსიკონი“ შედგენილია თბილისის ვ. სარაკიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უცხო ენათა კათედრის დოცენტ, აღიას ყიფშიძის მიერ, ხოლო ქართული თარგმანი და რედაქტირება პროფ. გრიგოლ ჩხავაძეს ეკუთვნის.

ლექსიკონის თავისებურება და უმოაგრესი ღირსება ის არის, რომ ყოველი ტერმინი, სპეციფიკური გაჰოქმა თუ მნიშვნელოვანი ნაწარმოების დასახელება მიცემულია უცხოურ ენებზე, რუსულად და ქართულად. ცხადია, შედგენის ამგვარი პრინციპი ბევრად ართულებს ისედაც შრომატევად საქმეს და ამიტომაც უდავო დამახუბრებად უნდა ჩაითვალოს ლექსიკონის შედგენა-გამოცემა.

ლექსიკონის ღირსება ისიც, რომ მასში შეტანილი და განმარტებულია




მუსიკის ყველა ჯანრის სახასიათო ტერმინოლოგია.

ეს გამოცემა ქართული მუსიკალური ლექსიკონის შექმნის მეორე ცდაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი დასაინარსებებელია და უსუსტობისაგან თავისუფალი არ იქნებოდა. მხედველობაში გვაქვს, როგორც ბეჭდვის დროს გაპარული ტექნიკური შეცდომები (მაგ. 251-ე გვერდზე გერმანული სიტყვა Spise მოხსენებულია როგორც იტალიური და სხვა), ასევე შედგენისას დაშვებული უსუსტობანი და მცდარი განმარტებანი: (მაგალითად, 159-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ Kleine oktave მცირე ოქტავაა C-დან B-მდე. რატომ სიბერძნულად? ან 38-ე გვერდზე არ არის განმარტებული Basso ostinato-ს არსებითი მნიშვნელობა. არც 197-ე გვერდზეა სათანადოდ განმარტებული Ostinato. აქ მთავარი მისი პირველადი მნიშვნელობა კი არ არის, რომ Ostinato იტალიური სიტყვაა და ჯიუტობას, დაქინებებს, ჩაცეხებს ნიშნავს. აბამედს, რომ ამ გამოთქმით მუსიკაში ერთი და იგივე რიტმული ან მელოდიური ფიგურაციის დაქინებით, ჯიუტად, ჩაცეხებით მრავალჯერს გამოვლინება აღინიშნება.

ამ ხარვეზების თავიდან აცილება ადვილად შეიძლება ლექსიკონის მეორე გამოცემისას, მაგრამ ბევრად უფრო რთულია და მეტ დაკვირვებას მოითხოვს უცხოური ტერმინებისათვის შესატყვისი ქართული ცნებების შერჩევა და დადგენა. მით უმეტეს, რომ ქართული მუსიკალური ლექსიკონგრაფის ჩამოყალიბება სწორედ ჩვენს თაობაზეა დამოკიდებული. უნდა ვიზრუნოთ ქართული ენის ბუნებისათვის მისაღები ტერმინების შერჩევა-განვითარებაზე. აუცილებელია ერთობლივი ძალებით დავიცვათ ჩვენი დედაენა მოძალებული ბარბაროზებისაგან და ქართული მეტყველებებისათვის შეესაბამო გამოთქმებისათვის ცნებებისაგან. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ქართულ მუსიკალურ ტერმინოლოგიაში სრულ არეუ-დარევისა აქვს ადგილი. დღეს, როდესაც ქართული მუსიკალური

ტერმინების დასაპეფიკური გამოთქმების შერჩევა-დახვეწა მიმდინარეობს, აზრთა სხვაობა საცემბით დასაშვებია. მაგრამ მიუღებელია ხელაღებით იმის უგულებელყოფა, რაც უკვე მიტკვეულია და სათანადოდ დასაბუთებულიც. მით უმეტეს, თუ ავტორი დიდად ავტორიტეტულია და ღრმა პატივისცემის იმსახურებს. მხედველობაში გვაქვს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ცნობით შრომა „ქართული მუსიკალური ისტორიის ძირითადი საკითხები“. მართლაც, ეს



შრომა ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის შემუშავება-დადგენასა და ფასდაუდებელ სამსახურს გვიწვევს.

თვლილ შევავლოთ საკრავიერ მუსიკასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ გამოთქმებსა და ტერმინებს.

ივ. ჯავახიშვილს თავის შრომაში ზემოხსენებული და სხვა მატერიალური ძეგლების საფუძველზე, იმდენად დეტალურად აქვს დამუშავებული ეს საკითხი, რომ საშუალებას გვაძლევს ყველა ტიპის საკრავის თითქმის ყოველ შემადგენელ ნაწილს შესაბამისი ქართული სახელწოდება მიუყვებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელოვანი მცენიერი ეძებდა საკრავებისა და მათი შემადგენელი ნაწილების არა მარტო ქართულ დასახელებას,

არამედ ქართული სახელწოდების საბოლოო დადგენისას თითქმის ყველთვის პარალელს ადგენდა უცხო დასახელებებთან, ითვალისწინებდა მათ სემანტიკურ მნიშვნელობას და სხვა.

ასე მოიქცა იგი, როდესაც რუსული смычек-ის, გერმანული Bogen-ის, იტალიური Archet-ისა, ფრანგული Largeto-სა და ინგლისური Bow-ის (შვილი, რკალი, თალი, ცინატყეკლა) შესატყვისი ქართულ სახელს ეძებდა. მან ამ ხელაწყისათვის ყველა არსებული ქართული სახელწოდებიდან (შვილდაკი, ხემი, ქამანი, მიზრაფი და სხვა) ხევსურული შვილდაკი გვირჩია, (იხ. აღნიშნული შრომა, გვ. 213).

ფიქრობთ, შვილდაკის შემოღება დასაბუთებული იყო და გამართლებულიც, მაგრამ რატომაც შვილდაკის ნაცვლად ხემი დამეფიქვდა.

კვლავინდებურად დასაზუსტებელია შემდეგი საკუთარი სახელები: კლაპანი, კალოდაკა, მუშტუკი, ფისტინი, დეკა, გრიფი... ცხადია, რომ თითქმის ყველა უცხო გამოთქმას (საკუთარ სახელს თუ ტერმინს) შესანიშნავი ქართული შესატყვისი მოეძებნება.

უცხოური და ქართული ხალხური მუსიკალური ტერმინების შედარება-ძიების გზით ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ გერმანული Decke-ს (სახური, საფარი, გადასახური, ქერი და სხვ.) შესატყვისი ქართული სახელწოდებაა გულის ფიცარი (ჩინგურსა და ფანდურზე შვიდგან გადაკრული ფიცრის სახელია). ამრიგად გერმანულიდან რუსულში შესული შვილდაკიანი საკრავების верхняя и нижняя дека-ს აღსანიშნავად ქართულში გვექნება გულის ფიცარი და ზურგის ფიცარი, ქვედა და ზედა დეკების საცვლად (იხ. ლექსიკონის გვ. 347). იგივე თქმის გერმანულში Griffbrett-ისა და აქედან რუსულში მუსული грифчик-ის და подгрифик-ის აღნიშვნელი ქართული ხალხური ტერმინის საქცვისა და მისგან წარმოებული მცირე საქცევის შესახებ (იხ. ლექსიკონი გვ. 347).

მუსიკოსები სრულიად სხვადასხვა სახელს ანიჭებენ შვილდაკის იმ მოძრავე ნაწილს, რომელზედაც ძუის ბოლოა დამაგრებული. პრფ. გრ. ჩივივაძემ მას შორასკ უწოდებს (გვ. 347); პრფ. შ. შველიძე სახელურს ან ხუნდს; გ. კეშელარია ფესოს<sup>2</sup> და სხვა. საკითხი იმითაც რთულდება, რომ არც ერთობულ ენებშია შემუშავებული ვირობანი ტერმინი. რუსები მას колодка-ს ანუ კალაპოტს უწოდებენ, გერმანელები — Frosch-ს, რაც ბაყაყს ნიშნავს, იტალიელები და ფრანგები Talon-ს ე. ი. ქუსლს. ცხადია, ქართულში არც ერთი მათგანის თარგმანი არ გამოგვადგვამოდა. ივ. ჯავახიშვილმა გაითავალისწინა რა ყოველივე ეს, მიგვიითია, რომ შვილდაკს ძუის საბანი აქვს (ამიტომ შვილდაკის მოპირისპირე მხარეს, ე. ი. Spitze-ს წვერი ან თავი უნდა ვუწოდოთ, შვილდაკის ზემო ნაწილშია კანსხვევითი). ვფიქრობთ ყველა ზემოთ მოყვანილ სახელებთან შედარებით ძუის საბაბის უპირატესობა ცხადზე უტყდავსია.

ივ. ჯავახიშვილი ქართული ლექსიკისა და მეტყველების თავისებურებებიდან გამომდინარე მანამაც, როდესაც ერთი ჯგუფის საკრავებისათვის საერთო სახელწოდება აუსტლებდა. სახელოვანმა სწავლულმა იმდენად შესატყვისი სახელწოდებანი შეარჩია, რომ ისინი ყოველგვარი განმარტების გარეშე შესანიშნავად გამოხატავენ საკრავთა ამა თუ იმ ჯგუფის ბუნებას — მათზე დაკვირის ხერხს. ასეთია, მაგალითად, „მოსაზიდი საკრავები“. გაუმარტლებელია ამ სახის საკრავთა სახელის „საწვემეტი“ შეცვლა (გვ. 347). როგორც ვხედავთ, რუსული გამოთქმა шишковые инструменты ამ შემთხვევაში გამოსავალ წერტილად არ გამოგადგება, ქართულში უფრო საზოგადოებრივი არსებობის გამო.

რუსულიდან არ უნდა ვთარგმნოთ ასევე трость, язычек წვილიათი და ენაკით (გვ. 347), რადგან ჩვენში ცნობილია ენაბი და უენო-ჩასა-

ბერი საკრავები და არა წვილია და წვილილო, ან ენაკიანი და უნაკიო საკრავები. ან კიდევ КЛЮВ-ის, МУНДШТУК-ის აღსანიშნავად ჯობია წაკვირებული სატუქე, ვიდრე ნისკარტი (გვ. 347). რუსულიდან არ უნდა ითარგმნოს აგრეთვე კლარნეტის იმ ნაწილის სახელი, რომელიც საკრავის ტანს თათვან (სატუქესთან) აერთებს (ГОЛОК). ტანი თათვან ყელით არის შეერთებული და ამიტომ შეუსაბამო იქნებოდა რუსული ГОЛОК-ის აღნიშვნელად „კასარი“ გვეხმარა (გვ. 347). ხალხში, დღევანდელის შესაბამის ნაწილს ხომ ყელს<sup>4</sup> უწოდებენ და ამიტომ ბუნებრივი იქნება და ყოველმხრივ მისაღებია ამ სიტყვის შემოღება ხმარებაში.

ლექსიკონში სწორად არ არის მოცემული საკრავის ფრანგული (და რუსულშიც დამკვიდრებული) სახელწოდება cornet a pistons-ის ქართული დასახელება — „ფისტონი“ (გვ. 347). საქმე იმაშია, რომ ეს საკრავი ჩვეულებრივი საყვიროვან უპირატესად იმით განსხვავდება, რომ მასზე ინტონირება ხდება არა მბრუნავი სარქველების (გერმ. Drehventil) საშუალებით, არამედ დგუშისებური სარქველებით (გერმანულად Druckventil, ფრანგულად pistons). აქედან წარმოსდგა მისი სახელიც — cornets à pistons. ამრიგად, მას უნდა ვუწოდოთ ან დგუშისანი საყვირი, ან უნდა შევუწინარჩუნოთ ის პირვანდელი ფრანგული სახელი, რომელიც თითქმის ყველა ვეროპულ ქვეყანაშია გაავრცელებული — კორნეტ ა პისტონი. ჩვენ უპირატესობას პირველს ვაკუთვინებთ. ხოლო რაც შეეხება ამ ტიპის საკრავების ნაწილებს (ventil-ს და piston-ს), ისინიც შესატყვისი ქართული სახელებით სარქველითა და დგუშით უნდა შეიცვალოს.<sup>5</sup> იგივე ითქმის გერმანულ Krone-ზე, Stimmgug-ზე, და აქედან რუსულში შესულ کرونا-ზე, цуг-ზე, ან кулица-ზე. თვით გერმანული სიტყვები (Stimme — ხმა, ბგერა; Zug —

დინება, მისწრაფება, წევა; Krone-გვირგვინი) ბგერწვის, ხმის სახელის, სახმო რკალის აღნიშვნელებია. და რაკი ვალტორნისა და საყვირის ან ნაწილებს, ხოლო ტრომბონის მობრავ მილს ბგერის საგაღის მნიშვნელობა აქვთ, მათ სახმო მილი ან სახმო რკალი უნდა ეწოდოს და არა კრონა, ცუგნი ან კულისი (გვ. 347). ეს უკანასკნელი ჯობია თვითრალურ ტერმინად დარჩეს, მით უმეტეს, რომ სახმო მილი ან სახმო რკალი უფრო მეტის მიქმელია, ვიდრე აბსტრაქტულად ვლერადი უცხო სიტყვები — კულისი, კრონა და ცუგნი. ანალოგიური მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ დაეაყვინოთ საკითხი: რა უშლის ხელს კონსერვატორის ბაზაზე ქართული მუსიკალური ტერმინოლოგიის დამდგენი კომისიის შექმნას?

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულია, გამოცემული ლექსიკონი უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძინია. ალბათ ტრავლის სიმცირის გამო (3000 ცალი) მისი მეორე გამოცემის მოწმენი გახდებოდა. სასურველი იქნება ლექსიკონის ტექსტის საბოლოო დახვეწა და რუსულწოდებებს ავტორებმა შევსონ იგი კიდევ სხვა საჭირო ცნობებითა და მასალით, უპირატესად ქართული მუსიკის ნიმუშებით.

